ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 3 ივლისი 1999 №124 (897) | ფასი 50 თეთრი


2

## ათი მილიონის ანატომია



გიორგი დემეტრაძის მარჯვენას სატრანსფერო ბიზნესის ექსპერტები 3,5 მილიონ დოლარად აფასებენ

4

## ჰოლანდიელმა იოჰან ბოსკამპმა დინამო საშოგლოში იახლა

საქართველოს ჩემპიონი ხვალიდან ორკვირიან შეკრებას გაივლის ჰოლანდიურ დაბა ეპეში

5

## შევჩენკო მილანელია



იტალიის ჩემპიონმა უკრაინელ თავდამსხმელში 25 მილიონი დოლარი გადაიხადა. ამდენი არცერთ ყოფილ საბჭოელ ფეხბურთელში არ გადაუხდიათ

14

## სტეფანიას კალათბურთი მოენატრა



ვოგას თბილისში ისიც ჰკითხეს, კალათბურთზე ხომ არ დადიხარო...

# ფინალი: ესპანეთი — იტალია

EURO BASKET 99 FRANCE

**დღეს პარიზში ევროპის ჩემპიონატის 16 წლის წინანდელი ფინალი გამეორდება. 1983 წელს საფრანგეთშივე, ოღონდ ლიმოჟში, იტალიამ 105:96 მოუგო ესპანეთს. იმ იტალიის ნაკრებში დინო მენეგინი თამაშობდა, დღევანდელ იტალიელთა ერთ-ერთი ლიდერის ანდრეა მენეგინის მამა**

*ნახევარფინალები ფავორიტთა კრახით დასრულდა. მსოფლიოსა და ევროპის ბოლო ორი ჩემპიონატის გამარჯვებულ იუგოსლავიას და მასპინძელ საფრანგეთს დღეს ბრინჯაოსთვისღა მოუწევთ ბრძოლა. შემადგენლობაშეთხელებული იუგოსლავია იტალიამ შეიწირა, ხოლო ნაბახუსევი საფრანგეთი — ესპანელმა ფორვარდმა ალბერტო ერეროსმა*

იხილეთ მეცამეტე და მეთხუთმეტე გვერდები



საფრანგეთი — ესპანეთი 63:70. გამარჯვებულთა მწვრთნელი ლოლო საინსი ეხვევა ალბერტო ერეროსს, ესპანელთა ფინალში გამყვან კალათბურთელს

REUTERS



იტალია — იუგოსლავია 71:62. იუგოსლაველთა ლიდერი დეიან ბოდიროგა (ბურთით) იტალიელებმა ხაფანგში გააბეს

# სამპრასი დაზომბვას გადაურჩა

THE CHAMPIONSHIPS WIMBLEDON

წვიმით გატანჯულ და განრიგს საგრძნობლად ჩამორჩენილ უიმბლდონზე გუშინ ნახევარფინალისტების ვინაობა გაირკვა. კაცებში დღეს „სკად" ფილიპუსისის დაბომბვას გადარჩენილი პიტ სამპრასი და მასპინძელთა კერპი ტიმ ჰენმანი შეხვდებიან ერთმანეთს, კიკინიანი ოზი პატრიკ რაფტერი და ხოტორა ანდრე აგასი კი ფინალის საგზურის გარდა პირველი ჩოგნობისთვისაც იპაექრებენ. ქალებში თაობათა ბრძოლა გაიმართება: ვეტერანებს — შტეფი გრაფსა და ლინდსი დევენპორტს ღლაპები, შესაბამისად, მირიანა ლუჩიჩი და ალექსანდრა სტივენსონი შეებმებიან. პიტ სამპრასის ბედნიერი ვარსკვლავის, ერთი მულატის ისტორიაში დამკვიდრებისა და მარტინა ჰინგისის ახალი ბოიფრენდის შესახებ კი მე-11 გვერდზე წაიკითხავთ

REUTERS



პიტ სამპრასი

# გიორგი დემეტრაძე
# ათი მილიონის ანატომია

**ერთი** წლის წინათ თქმული სიტყვები ამ ბოლო დროს ალანიელი გიორგი დემეტრაძის გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა გამახსენა. გადაშალეთ გუშინდელი „სპორტ-ექსპრესი“ და... თუმცა „სარბიელმა“ გუშინწინ ამცნო ქართველ გულშემატკივრებს დემეტრაძის შესაძლო ტრანსფერის შესახებ.

უახლოეს დღეებში გიორგი დემეტრაძე ალბათ ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი იქნება მათ შორის, ვინც კი ოდესმე გაყიდულა რუსეთისა და საბჭოთა კავშირის კლუბებიდან. 2 ივლისის გაზეთმა „სპორტ-ექსპრესმა“ ეს მონაცემები და სხვა უამრავი პუბლიკაცია გამოაქვეყნა „ალანიას“ ფორვარდის შესახებ.

იტალიურმა „რომამ“ 8 და 6 მილიონი დოლარი გადაუხადა მოსკოვურ „სპარტაკს“ და „ლოკომოტივს“ დმიტრი ალენიჩევისა და სერგეი გურენკოს სანაცვლოდ. თავის დროზე კიევის „დინამომ“ ალექსეი მიხაილიჩენკო და ალექსანდრე ზავაროვი 5,3 და 5 მილიონ დოლარად დაუთმო იტალიურ კლუბებს — „სამპდორიასა“ და „იუვენტუსს“. 12 ყველაზე მსხვილი ტრანსფერის სიას კახი ცხადაძის მოსკოვის „დინამოდან“ გერმანულ „აინტრახტში“ 1,2 მილიონად გადაბარგება აბოლოვებს.

ძალიან დიდი შანსია იმის, რომ ამ ცხრილის სათავეში გიორგი დემეტრაძის უახლოესი ტრანსფერი მოექცეს.

საფეხბურთო აზროვნება — 3 000 000 დოლარი

თავით თამაში — 1 300 000 დოლარი
მკერდით თამაში — 200 000 დოლარი
მარცხენა ფეხი — 2 000 000 დოლარი
მარჯვენა ფეხი — 3 500 000 დოლარი
სულ — 10 000 000 დოლარი

აი, ასეთი შეფასება ერგო რუსეთის ჩემპიონატის ივნისის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულ დემეტრაძეს სატრანსფერო ბიზნესის ექსპერტებისგან. თუმცა, როგორც რუსი სპორტული ჟურნალისტები იუწყებიან, „ალანიას“ ქართველ ლეგიონერში ჯერჯერობით ორი უცხოური კლუბი 7 მილიონ დოლარს სთავაზობს.

რუსეთის ჩემპიონატის მე-13 ტურში ვლადიკავკაზში დემეტრაძემ სამი გოლი გაუტანა „ურალანს“. სწორედ ამ შეხვედრამდე შეუტყვიათ ჭორის დონეზე „ალანიას“ გულშემატკივრებს თავიანთი კერპის გაყიდვაზე და ხელმოწერების შეგროვება დაუწყიათ.

„გიორგი! ძალიან გთხოვთ, დარჩე ჩვენთან“! „შენა ხარ ჩვენი ბოლო იმედი, რათა ვისიამოვნოთ მაღალი კლასის ფეხბურთით!“ — ამ მიმართვებს ასობით ვლადიკავკაზელი აწერდა ხელს. „ალანია“ — „ურალანის“ მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე, ოსური კლუბის თავკაც ვალერი გაზაევს ხელმოწერებიანი ქაღალდები გადასცეს. მან დიპლომატიურად დაიხია უკან და ქომაგებს დაჰპირდა — ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მასას და სხვა ალანიელებს მალე არ დავშორდეთო, თუმც ისიც დაამატა, კლუბის მომავალზეც უნდა ვიფიქროთ, ფეხბურთელების გაყიდვისგან მიღებული თანხა ჩვენი არსებობის ერთადერთი ფინანსური წყაროაო.

დარჩა კი ფრანგული „ოსერი“ იმ ორი გუნდის ჩამონათვალში, რომელთა მესვეურებიც დემეტრაძის გადაბირებას



[illegible] ფოტო

30 მაისი. ოსლო. ნორვეგია — საქართველო 1:0.
გიორგი დემეტრაძე (№11) ბერგდოლმოსთან ორთაბრძოლისას

ცდილობენ? სვამს კითხვას „სპორტ-ექსპრესის“ კორესპონდენტი დმიტრი დიუბო და ინფორმაციის უქონლობის გამო მეორე კლუბს ვერ ასახელებს.

— ქართველმა ფორვარდმა თავის პიკს მიაღწია და იგი მეტს ველარ მოუმატებს რუსულ უმაღლეს დივიზიონში. ამიტომ მისი სოლიდურ კლუბში გაშვება აუცილებელია — ასკვნის ჩვენებურის მიმართ კეთილად განწყობილი დიუბო და ირონიულად იხსენებს ისტორიას, რომელიც ორი წლის წინ მოხდა.

— მახსენდება 1997 წელი, როცა დემეტრაძემ გადააბიჯა თბილისის „დინამოს“ დონეს და ძალიან უნდოდა რუსეთის ჩემპიონატში თამაში. თავად ფეხბურთელმა გამიმხილა, რომ ცსკა-ში სურდა გადაბარგება. მაშინ არმიელთა გუნდის თავკაც პაველ სადირინს ჰკითხეს, შეეძლო თუ არა დემეტრაძეს გასინჯვაზე ჩამოსვლა მოსკოვში. სადირინმა უპასუხა — „ვინ არის? მე მას არ ვიცნობ!“ ცსკა-ს მწვრთნელს აუხსნეს — პატარა სწრაფი თავდამსხმელია, ბევრი გოლი გააქვს. „პატარა? — თავს იცავდა ცსკა-ს დამრიგებელი — მე არ მჭირდება პატარები!“ ახლა კი ის პატარა ქართველი ფორვარდი იმაზე ძვირი ღირს, ვიდრე სადირინის მთელი მაშინდელი გუნდი — ამბობს დმიტრი დიუბო.

ალბათ გახსოვთ, ზამთარში კიევის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ გამოთქვა გიორგი დემეტრაძის საკუთარ გუნდში ხილვის სურვილი. გამოცდილმა სპეციალისტმა თავიდანვე დაიწყო თავდამსხმელ ანდრეი შევჩენკოს შემცვლელის ძიება. როგორც ამბობენ, ლობა-

**1998 წლის 8 აგვისტოს „სარბიელი“. წერილი „აგრე იცის ჯაყომა...“ ამონარიდი: „ვლადიკავკაზის „ალანია“ რომ რუსეთის ჩემპიონატს თბილისის „დინამოს“ ნოსტალგიას უქარვებს, არც ეს გვგონია უსაფუძვლოდ ნათქვამი. სხვა-სხვა და რუსეთს ჯერაც არ დავიწყებია ქართული ფეხბურთის გემო. კავკასიური ცეცხლი და ტემპერამენტი ენთოს მოედანზე და რუს გულშემატკივარს ჩირადაც არ უღირს ვისი სახელი ჰქვია ამ ცეცხლს „ალანიასი“ თუ „დინამოსი“. მეორე უარყოფითი მომენტიც ახლავს ამ ამბავს „ალანიას“ ხელმძღვანელობა თითქმის ყოველთვის ჩალის ფასად ჩაიგდებს ხოლმე ხელში ქართველ მოთამაშეებს, სანამ სჭირდება, ათამაშებს მას თავის გუნდში და მერე ისეთ თანხად გაასხვისებს ან გაჰყიდის, ბარე ორ სეზონს რომ ეყოფოდა ჩვენს ჯაგლაგ გუნდებს. ვერაფერს იტყვი. იცის ამ ხალხმა რაც უნდა“.**

ნოვსკის ძალიან მოსწონს ჩვენებურის თამაში, მაგრამ იმ პერიოდში, როცა მას ალანიელის გადაბირება სურდა, დემეტრაძე 3 მილიონ დოლარად ფასობდა, ახლა კი ეს თანხა გასამკეცდა. თუმცა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ სულ ახლახან კიეველებმა 25 მილიონი დოლარი მიიღეს შევჩენკოს სანაცვლოდ „მილანიდან“, მაშინ არაა გამორიცხული... თუმცა ეს მხოლოდ ჩვენი ვარაუდია.

ვალერი ლობანოვსკის დარად, დემეტრაძემ სხვა ცნობილი რუსი სპეციალისტებიც აღაფრთოვანა.

გთავაზობთ რამდენიმე მათგანის შეხედულებას.

**იური სიომინი,** *მოსკოვის „ლოკომოტივის“ მწვრთნელი:* მის შესახებ მხოლოდ ამაღლებული ტონით შეიძლია ლაპარაკი. არაორდინალური ფორვარდის [illegible]რითა და მაღალი სისწრაფით, ფლობს ბრწყინვალე დარტყმას.

**ოლეგ დოლმატოვი,** *[illegible] მწვრთნელი:* დემეტრაძეს მაღალი კლასის ფორვარდისთვის დამახასიათებელი ყველა თვისება აქვს. მას შეუძლია ურთულეს მდგომარეობაშიც დაეუფლოს ბურთს, შეინარჩუნოს იგი მჭიდრო მეურვეობის მიუხედავად და იოლად გასცდეს მეურვეს. ორივე ფეხით ძლიერად ურტყამს.

**ვიტალი შევჩენკო,** *მოსკოვის „ტორპედოს“ მწვრთნელი:* არ მეგულება ისეთი მწვრთნელი, რომელიც დემეტრაძის თავის გუნდში ხილვას არ ისურვებდა.

**ალექსეი პეტრუშინი,** *მოსკოვის „დინამოს“ მწვრთნელი:* დემეტრაძე — ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელი, ქართული საფეხბურთო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია.

**ვიქტორ პროკოპენკო,** *ვოლგოგრადის „როტორის“ მწვრთნელი:* მაღალი ტექნიკის მფლობელ თავდამსხმელს საფეხბურთო ეშმაკობებიც ახასიათებს. „ალანიასთვის“ შეუცვლელი დემეტრაძის მოედანზე მოქმედებას წინასწარ ვერავინ გამოიცნობს.

**ანატოლი დავიდოვი,** *სანკტ პეტერბურგის „ზენიტის“ მწვრთნელი:* ვფიქრობ, რუსული კლუბების ბევრ თავკაცს შურს ვალერი გაზაევის, რომელსაც გუნდში ასეთი ჭკვიანი და თვითმყოფადი თავდამსხმელი ჰყავს.

ეჰ, არამარტო რუს სპეციალისტებს შურს ვალერი გაზაევის, რომელმაც ზოგიერთ ქართველ მწვრთნელზე კარგად უწყის ქართული საფეხბურთო სკოლის ფასი. თუმცა სიმართლეს უნდა გავუსწოროთ თვალი. ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი საგრძნობლად ჩამორჩება რუსეთისას და საქართველოს გიორგი დემეტრაძეს 10 მილიონ დოლარად არავინ შეაფასებდა.

ჰოდა, სანამ ჩვენს შინაურ ფეხბურთში დონე ამაღლდება, ნუ გვეწყინება, თუ მხოლოდ გაზაევი და მისი დარი სპეციალისტები ხეირობენ ქართული საფეხბურთო სკოლის აღზრდილებით. უნდა გვიხაროდეს და თავი იმითღა ვინუგეშოთ, რომ გიორგი დემეტრაძემ სულ რაღაც 8 თვეში დაიპყრო რუსული საფეხბურთო სამყარო და ახლა...

თავად გიორგის მოვუსმინოთ: „ჩემი ოცნების გუნდი „მილანია“. ვფიქრობ, ღირსეულად დავიცავდი მის ღირსებას. ისე, არც ესპანეთის წამყვანი გუნდების შემადგენლობაში ჩავიკარგებოდი. თუმცა უცხოეთიდან რაიმე კონკრეტული წინადადების შესახებ ჩემთვის არაფერია ცნობილი.“

ვალერი გაზაევი არ უარყოფს დემეტრაძის შესაძლო ტრანსფერს: „მის თაობაზე რამდენიმე სერიოზული წინადადება შემოგვთავაზეს. ჯერჯერობით კომენტარისგან თავს შევიკავებ. რა თქმა უნდა, არ მსურს დემეტრაძის სხვაგან გაშვება, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალობა ხშირად გვაკეთებინებს იმას, რაც არ გვინდა.“

გიორგი დემეტრაძესთან დაკავშირება გუშინ ვერ მოვახერხეთ, ის ვლადიკავკაზიდან იაროსლავლს გაფრინდა, სადაც დღეს „ალანიას“ „შინიკთან“ მეთოთხმეტე ტურის მატჩი ელის.

**ხვიჩა სანიძიძე**

# ციურიხი სამეულს შეიზნებს

**შვეიცარიაში** ეროვნული ლიგის (ჩვენებური პირველი ლიგა) კლუბებს გასული სეზონის დასრულების შემდეგ რიგიანად არც დაუსვენიათ, ისე მოადგათ კარს ახალი ჩემპიონატი. ოთხშაბათს, 7 ივლისს, მორიგი პირველობა დაიწყება, გუნდებიც გამალებით ემზადებიან საამისოდ.

წლეულს შვეიცარიაში ერთი ქართველი ფეხბურთელი ითამაშებს თუ ორი ჯერ კიდევ გაურკვეველია. მიხეილ ყაველაშვილს, მოგეხსენებათ, ციურიხის „გრასჰოპერთან“ 30 ივნისს დაუმთავრდა ხელშეკრულების ვადა, ჩვენებურმაც გუნდთან კონტრაქტის გაგრძელება აღარ ისურვა და ამჟამად ახალი კლუბის ძიებაშია, თუმცა არ არის გამორიცხული, ყაველაშვილი შვეიცარიაში დაბრუნდეს და კვლავ „კალიების“ ღირსება დაიცვას.

მისგან განსხვავებით, გადაწყვეტილია ჯამარაულის საკითხი. გოჩა წლეულსაც „ციურიხში“ ითამაშებს.

„ციურიხი“ საგაისო მზადებას ივლისის მეორე ნახევარში შეუდგა. სეზონთაშორისი არდადეგები კლუბმა ნაყოფიერად გამოიყენა. მთავარი მწვრთნელის, რაიმონდო პონტეს ძალისხმევის შედეგად გუნდში 6 ახალი ფეხბურთელი მივიდა — მარკო პასკოლო (ნოტინგემიდან), კრისტიან ანდრეოლი (ლუგანოდან), დანკო მალაკარნე (ლაიპციგიდან), ფილიპ დუგლასი (ლოზანადან), მაურო ჯანინი (ლუგანოდან) და მარიო ფრიკი (ბაზელიდან). მათგან ყველაზე ცნობილი მარკო პასკოლოა, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში შვეიცარიის ნაკრების ძირითად მეკარედ ითვლებოდა და მის შემადგენლობაში 1994 წლის მსოფლიოს და 1996 წლის ევროპის ჩემპიონატებზეც ითამაშა.

მზადების პერიოდში „ციურიხმა“, ბუნებრივია, საკონტროლო მატჩებიც გამართა, 30 ივნისს კი ზოფინგენში ოთხთა ტურნირშიც იასპარეზა. „არაუსთან“ ნახევარფინალური მატჩის ძირითადი დრო (თამაში ერთი 45-წუთიანი ტაიმისგან შედგებოდა) ფრედ 1:1 დასრულდა. პენალტების სერიაში „ციურიხს“ ჯამარაულის ზუსტად შესრულებულმა თერთმეტმეტრიანმაც ვერ უშველა — „არაუმ“ 4:3 მოიგო. მესამე ადგილისთვის მატჩში „ციურიხმა“ ბარტლეტის გოლის წყალობით „იანგ ბოისი“ 1:0 დაამარცხა. ტურნირი კი „ლუცერნმა“ მოიგო.

მომავალ სეზონს „ციურიხი“ მაღალი მიზნებით ხვდება. „გუნდის ამოცანა-მინიმუმი სამეულში მოხვედრაა. თუმცა ჩემპიონობაც თავისუფლად ძალგვიძს“ — განაცხადა ცოტა ხნის წინ პონტემ.

გახდება თუ არა ჯამარაული მესამე ქართველი, ვინც შვეიცარიის ჩემპიონი გახდება, სეზონის ბოლოს გაირკვევა. შეგახსენებთ, აქამდე ეს წოდება გიორგი ნემსაძემ და მიხეილ ყაველაშვილმა მოიპოვეს, რომლებმაც პირველობა „გრასჰოპერის“ შემადგენლობაში 1997-98 წლებში მოიგეს.

**ვანო ოქროპირიძე**



[illegible] ფოტო

ჯამარაული ახალი სეზონისთვის ისევ „ციურიხში“ ემზადება

# სიმართლეს ჩავხედოთ თვალებში
## ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა...

უცნაური კაცია საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრების თავკაცი. რაც არ უნდა გაუჭირდეს, ნაწყენიც და სასოწარკვეთილიც რომ იყოს, ყველაფერს გულში ჩაიკლავს და ირგვლივ სამადლობელ სიტყვებს აფრქვევს. არადა, ცოტა ვინმემ თუ იცის, რა წვალებისა და შრომის ფასად მოვიდა ეს წარმატება — ქართველები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ.

ორი წელია თამაში არ წაუგიათ თვრამეტწლამდელებს, ორი წელია გვახარებენ. სწორედ ამ ბიჭებმა არ დაუდეს ტოლი ნორვეგიელ და ბერძენ 21-წლამდელებს. ტოლ-სწორად ეთამაშნენ 3 წლით უფროსებს.

კიდევ ერთი, უკვე საბოლოო გამოცდა ელით კოპალას ბიჭებს. ევროპის ჩემპიონატი სულაც არა ჰგავს საქართველოსას, იქ ფეხბურთის ზეიმია, იქ მაღალი დონეა, მერე რა, 18 წლის ბიჭები რომ თამაშობენ.

შვედეთში ჩვენებმა თუ ხუთეულში შეაღწიეს, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში გარანტირებულია. 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა კი თავისთავად დიდი რეკლამა იქნება.

ჰოდა, ახლა უნდა ხელშეწყობა კოპალეიშვილს და მის გუნდს, თუმცა, ეტყობა ბევრსაც მაინცდამაინც არ სიამოვნებს თვრამეტწლამდელთა წარმატებები.

სულ თავიდან დავიწყოთ. ევროპის ჩემპიონატისთვის სამზადისი 23 ივნისიდან იყო დაგეგმილი, გაუგებარია, რატომ გაიწელა ასე შეკრების დაწყება? დამტკიცებით ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ, ალბათ, ყველაფერი ფინანსურ საკითხებს უკავშირდება. ყაღალადადებულმა ფედერაციამ მგონი ვერ გამონახა სახსრები, არადა, ვალდებული იყო.

ჰოლანდიელმა იოჰან ბოსკამპმა, ჩემპიონთა ლიგისთვის ვემზადები და ხიზანეიშვილი და ხიზანიშვილი ჩემი გეგმებისა და პრინციპების განხორციელებისთვის მჭირდებაო;

ოთარი და ზურაბი დე იონგის ხელმძღვანელობით სიქას იცლიან. ძალიან დიდია დატვირთვები. მერე რა, იტყვის საქმეში ჩაუხედავი, კოპალეიშვილს ნავარჯიშები ბიჭები ჩაუვა გერმანიაშიო, მაგრამ...

იოჰან ბოსკამპი გუნდს სულ სხვა დროისთვის და სხვა სპეციფიკის თამაშებისთვის ამზადებს. აქედან გამომდინარე, კოპალეიშვილს ჩაუვა გადაღლილი, გამოწურული მოთამაშეები, რომლებსაც ძალა სწორედ მაშინ ალუდგებათ, როცა საქართველოს თვრამეტწლამდელები ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობას მორჩებიან. ალბათ არის განსხვავება და იქნებ სჯობდეს, ისევ ჩვენი ქვეყნის სახელისთვის, ბოსკამპმა ფეხბურთელები თავიდანვე გაატანოს კოპალეიშვილს. ქართველები ევროპის ჩემპიონატს ყოველდღე ხომ არ ვთამაშობთ.

კი, ბატონო, ბოსკამპის მხარესაა წესი და უფლება გააჩნია, სულაც ხუთი დღით ადრე გაუშვას საკუთარი ფეხბურთელი ნაკრებში, მაგრამ არც კოპალეიშვილს მიჰყავს ბიჭები მხართეძოზე წამოსაწოლად.

ვფიქრობთ, ამ საქმეშიც ფედერაცია უნდა ჩარეულიყო და უპრობლემოდ მოეგვარებინა. ძალიან დიდი იმედით შევცქერი ხიზანეიშვილისა და ხიზანიშვილის მომავალს, მაგრამ ბოსკამპი მხოლოდ მათი წყალობით თუ აპირებს ჩემპიონთა ლიგაში შეძრომას, არა მგონია, გამოუვიდეს.

იგივეს ვიტყვი რიგის „სკონტოზეც“. რევაზ ძოძუაშვილს შეეძლო სიტყვა წაეშველებინა ჩვენთვის, იმიტომ რომ ქართველია. თუ რიგელებს მენთეშაშვილი და კორღალიძე ლიგაში შეიყვანენ, მაშინ აფერუმ ჩვენი ბიჭების ვაჟკაცობას.

კოპალეიშვილს სამი ამხანაგური მატჩი აქვს დაგეგმილი, ორი გერმანიაში და ერთიც შვედეთში. ძირითადი შემადგენლობის ხუთი მოთამაშის გარეშე (ჯაკობია ტრავმირებულია), გინდ ჩაგიტარებია თამაშები და გინდაც არა. თუ ასე გაგრძელდა, სათამაშოდ გასვლა, ალბათ, ვახტანგ კოპალეიშვილს, თენგიზ კაციას და თამაზ კოსტავას მოუწევთ. ისე კი ითამაშებდნენ, მაგრამ ასაკი არ უწყობთ ხელს.

არაფერს ვამბობთ ფინანსურ და სხვა პრობლემებზე. რომ გაიძახიან ფედერაციაში, თვრამეტწლამდელებს ყველანაირად დავეხმარეთ და მათი მომზადება 21 ათასი გვიჯდებაო, მთლად მასეც რომ არ არის საქმე, ჩვენც ვიცით.

შეკრების ხარჯებს, რომელიც ლევერკუზენში ეწყობა, მთლიანად გერმანიის საფეხბურთო კავშირი კისრულობს და ამიტომ ძალიანაც ნუ გამოვიდებთ თავს.

ამ ხნის მანძილზე კრიტიკული არაფერი გვიკადრებია, ბატონო ვახტანგ, რადგანაც მიღწეული წარმატებები თვალნათელია, მაგრამ იცოდეთ, ამდენი უთქმელობა, ირგვლივ სამადლობელი სიტყვების ფრქვევა, დუმილი, ერთხელაც სიკეთეს არ მოიტანს და...

მერე ჯოხი ყოველთვის მწვრთნელებზე ტყდება. წარუმატებლობისგან ღმერთმა დაგიფაროთ და თვრამეტწლამდელთა ნაკრებს კიდევ დაუმარცხებლად ევლოს, მაგრამ კოკა ხომ ერთხელაც წყაროზე ტყდება...

თუმცა, თქვენი საქმისა თქვენ უკეთ უწყით. იქნებ მე ვცდები და მერწმუნეთ, ძალიან მინდა ვცდებოდე.

**მამუკა ქვანტალიანი**

ბადრი იოსელიანის ფოტო



თვრამეტწლანდელთა ნაკრები მეტი ყურადღებისა და ხელშეწყობის ღირსია

## სატირბორო? კითხვა-პასუხი

***— საქართველო როდის მოუგებს იაპონიას?***

— როცა ბიჭები არ დაიღლებიან.

***— იაპონელები ბევრს დარბიან?***

— სტადიონის კედლები აკავებთ, თორემ იმდენს ირბენდნენ, ზღვაში ჩაცვივდებოდნენ...

***— აბა, მაშ არ უნდა გაგვიჭირდეს მოგება.***

— ბევრს დარბიან-მეთქი.

***— ჰოდა, ჩვენ არ ავყვებით და ჩვენსას მოვახერხებთ...***

— აღარ გამოდის. ეგ ადრე იყო, რომ არ აყვებოდი და მაინც კარგი ბიჭი იყავი. თანაც, ნაკატა ჰყავთ...

***— ვინ არის ეგ ნაკატა?***

— ერთი ბიჭია, დარბის და ურტყამს.

***— მომენატრა ამგვარი შეხამება. ნეტავ თუ გამოგვიჩნდება ერთი ნაკატა...***

— ყოფილაო, ამბობენ. მაგრამ თვითონ არ სცოდნია.

***— რა არ სცოდნია?***

— რომ სირბილიც შეუძლია და დარტყმაც.

***— მერე, ვინ უთხრა?***

— აი, მსუქანი კაცი რომ ჩამოვიდა. რომ აგდებს და მერე რომ იცინის.

***— რატომ აგდებს?***

— ეხლა ეგეთი წესია.

***— რა წესია ეგეთი?***

— ეგეთი წესია. ვიღაცას გააგდებ და მერე ისეთს იპოვი, ვინც ჯერ არ იცის, რომ სირბილიც შეუძლია და დარტყმაც.

***— მერე მაქედან რა გამოვა?***

— ის გამოვა, რომ მიახვედრებ, რომ ორივე შეუძლია.

***— მერე?***

— მერე რაც მეტს მიახვედრებ, მით მალე მოუგებ იაპონიას.

***— რა იოლი ყოფილა.***

— ჰო. იმიტომ რომ იაპონიას ერთი ჰყავს, რომელმაც იცის, რომ სირბილიც შეუძლია და დარტყმაც.

***— ნაკატა?***

— ჰო. დანარჩენებმა არ იციან. მაგრამ საფრანგეთში ყველამ იცის, იტალიაში ყველამ იცის, გერმანიაშიც, ინგლისშიც... ეჭვი მაქვს, რომ ეს ამბავი გაუგიათ სლოვენიაში, პოლონეთში და მგონი ლატვიაშიც.

***— მაშ, საშველი აღარ ყოფილა...***

— მთავარია, ბევრ ხალხს გააგებინო, რომ სეირნობა ვაკის პარკშიც შეიძლება, წამოწოლა კი ალაზნის ველზე. ამისთვის სტადიონზე მისვლა საჭირო არ არის.

***— და დაახლოებით რამდენ კაცს ეცოდინება ეგ ამბავი?***

— ბარე ორმა იცის უკვე, მაგრამ ეს ამბავი ხინკლის მოხვევაზე ძნელი სასწავლი ჩანს.

***— რას მელაპარაკები? ხინკლის მოხვევაზე ძნელი როგორ იქნება?***

— მეც არ მჯეროდა, მაგრამ ყოფილა და...

***— დავღუპულვართ...***

— რატომ?

***— ხინკლის მოხვევა ცოტამ თუ იცის ჯიგრიანი და ეგ უფრო ცოტას ეცოდინება...***

— თავიდან რაოდენობა არ ყოფილა მთავარი.

***— აბა?***

— ჩვენ ბედზე ყოფილან ვიღაცეები, ვისაც კარგად სცოდნია ეს ამბავი, მაგრამ ვერ ამჟღავნებდნენ.

***— რატომ?***

— ერიდებოდათ, ვინც არ იცის, იმას არ ეწყინოსო.

***— და გაზა?***

— ამ ამბავში გაზას მიხსენებ?

***— გაზა თუ ურტყამდა?***

— ეჰ...

***— დარბოდა კიდეც?***

— იყო დრო და მომენტი...

***— და ახლა?***

— ახლა დაავიწყდა.

***— ეგრეც ხდება?***

— ჩვენ, პირადად მაგან არ დაგვღუპა?

# ფრაიბურგმა დაიწყო

2 ივლისს „ფრაიბურგმა“ ბუნდესლიგის 37-ე ჩემპიონატისთვის მზადება დაიწყო. გუშინ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ფოლკერ ფინკემ ფეხბურთელები „დრაიზამშტადიონზე“ შეკრიბა და მსუბუქად წაავარჯიშა. ფრაიბურგელები დღესაც იმავეს გაიმეორებენ, ხვალიდან კი, ბევრი ბუნდესლიგური გუნდისგან განსხვავებით, გერმანიაშივე მოიწყობენ ორკვირიან შეკრებას, რომელსაც, ცხადია, სამივე ქართველი — ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი და გამოჯანმრთელებული ალექსანდრე იაშვილი გაივლის. შეკრება 4 ივლისიდან 14 ივლისამდე გასტანს. იქიდან დაბრუნებული „ფრაიბურგი“ ორ საწვრთნელ-საკონტროლო მატჩს გამართავს: 18 ივლისს „ჰაიტერსჰაიმს“ შეხვდება, 20-ში კი ბერძნულ პაოკს დაუპირისპირდება. ორი დღის შემდეგ ფინკე კიდევ ერთ შეკრებას მოუწყობს შეგირდებს, ამჯერად ტუნისში, სადაც გუნდი სულ ხუთ დღეს დაჰყოფს. თვის ბოლოს ფინკე ერთხელაც გამოცდის ფეხბურთელებს, ამჯერად „ნოიშტადტთან“ მატჩში.

ამ შეკრებებზე მწვრთნელები სამ ახალწვეულსაც იახლებენ. ექსბოხუმელი მიხაელ ცაიერის ბედი უკვე გადაწყვეტილია — იგი გაისად „ფრაიბურგის“ ძირითად გუნდში ითამაშებს, ხოლო ფლორიან ბრუნსისა და ოუმარ კონდეს საკითხი სწორედ მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ გაირკვევა. აღსანიშნავია, რომ კონდეცა და ბრუნსიც 19 წლისანი არიან.

ბუნდესლიგის ჩემპიონატის პირველ ტურში, რომელიც 14 აგვისტოს ჩატარდება, „ფრაიბურგი“ სტუმრად დებიუტანტ „ულმს“ ეწვევა.

**ვანო ოქროპირიძე**

# ზიმბრუ ძლიერდება

ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპამდე თბილისის „დინამოს“ შესაძლო მეტოქემ, კიშინიოვის „ზიმბრუმ“ სასელექციო მუშაობა გააცხოველა. გუნდში ორი ახალი ფეხბურთელია. ჩემპიონთა თასზე კლუბს დროებით დაეხმარება ბორის ტროპანეცი, ვეტერანი, რომელიც სარატოვის „სოკოლიდან“ გადავიდა. მოლდოვური კლუბის მთავარმა მწვრთნელმა სემიონ ალტმანმა კიშინიოვის „აგროდან“ ოლეგ შაოიუმუც მიიწვია. შესაძლოა ლიგაში „ზიმბრუს“ სანქტპეტერბურგის „ზენიტიდან“ დაბრუნებული კლეშჩენკოც დაეხმაროს. მისი ტრანსფერი ჰაიფას „მაკაბისთან“ ჯერჯერობით არ შემდგარა.

**სიმონ მენაბდე**

# ფოცხვერიას ჯერჯერობით ბიშოვეციც არ სწყალობს

მიხეილ ფოცხვერიას, რომელიც დონეცკის „შახტიორს“ ჩეხეთში შეკრებაზე ახლავს, ჯერჯერობით, მეშახტეთა ახალი მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეციც არ სწყალობს. „შახტიორმა“ ორი საკონტროლო შეხვედრა გამართა ექსპერიმენტული შემადგენლობით და ორივე წააგო. თბილისის „დინამოს“ სავარაუდო მეტოქემ ჩემპიონთა ლიგაში, კიშინიოვის „ზიმბრუმ“ უკრაინელები მეორე ტაიმში ორი უპასუხო გოლით დაამარცხა. გუშინ კი „შახტიორმა“ ჩეხეთის „ჰრადეც კრალოვესთან“ — 0:1 წააგო.

ბიშოვეცს ფოცხვერია არც ერთ მატჩში არ უთამაშებია. „შახტიორი“ ჩეხეთში 7 ივლისამდე დარჩება და კიდევ სამ თამაშს გამართავს: „ტეპლიცესთან“ (რომელიც ჩეხეთს ჩემპიონთა თასზე წარმოადგენს), „პეტრასთან“ და სლოვაკურ „ჰუმენთან“.

**სიმონ მენაბდე**

# ნიკა ჩხეიძე: სამგურალი — არა, ბუნდესლიგა?

ამას წინათ გაცნობეთ, შესაძლოა საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა მეკარემ, ნიკა ჩხეიძემ წყალტუბოს „სამგურალში“ გააგრძელოს კარიერა, რევაზ ბურკაძეს, წყალტუბოელთა მწვრთნელს, უკვე ელაპარაკაო. ამის თაობაზე „სარბიელი“ ნიკა ჩხეიძეს დაუკავშირდა:

— ამაზე სერიოზულად ნამდვილად არ მიფიქრია, „სამგურალში“ ჩემი თამაში გამორიცხულია. უბრალოდ, მწვრთნელს ველაპარაკე და ეს ვარიანტი შემომთავაზა.

„სამგურალში“ არა და გერმანიაში ნამდვილად ვითამაშებ. 7 ივლისს უნდა გავფრინდე. მეორე ბუნდესლიგის გუნდია. სიმართლე გითხრათ, კლუბის სახელწოდება არ ვიცი, ამაზე ჩემი მენეჯერი მუშაობს, რა ვიცი, ამბობს, კარგი გუნდიაო, ვნახოთ. ყოველ შემთხვევაში, „ჰომბურგში“ რომ აღარ დავრჩები, ფაქტია.

**გიორგი ვაშაძიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამო გზაზე

## იოჰან ბოსკამპს დრო ცოტა აქვს



ბადრი ქეთილაძის ფოტო

აკაკი დევაძე ჰოლანდიაში ოთხშაბათს ჩავა

დღეს ნაშუადღევს საქართველოს ჩემპიონი თბილისის „დინამო" ფრანკფურტს გაფრინდება. იქიდან ოთხხუთ საათს ავტობუსით იმგზავრებს და საღამო ხანს ჰოლანდიაში, დაბა ეპეში დაბინავდება. ჩვენებურები იქ 15 ივლისამდე დარჩებიან, შემდეგ 23-მდე ისევ გერმანიას მიაშურებენ, 24-ში თბილისში დაბრუნდებიან და „ზიმბრუ" — „სენტ პატრიკს" შორის მოგებულთან სათამაშოდ მომზადებას შინ დაასრულებენ.

დინამოელებს ჰოლანდიაში სავარაუდოდ ორი უცხოელი, განელი და ბრაზილიელი თავდამსხმელები დახვდებიან.

იოჰან ბოსკამპი კი თბილისიდან ეპეში შემდეგ მოთამაშეებს წაიყვანს:

*გიორგი ლომაია, ზურაბ ბათიაშვილი; ზურაბ ხიზანიშვილი, დავით ჭიჭველიშვილი ოთარ ხიზანეიშვილი, გივი დიდავა, გიორგი შაშიაშვილი, ირაკლი ვაშაკიძე, თენგიზ კობიაშვილი. პაატა ჯინჭარაძე, თენგიზ სიჭინავა, სოსო და ვასილ ჯიჯიაძეები, არჩილ სახვაძე, ლევან ქებაძე, გიორგი კიკნაძე, რატი ალექსიძე; გიორგი შენგელია, კობა წიტაიშვილი, მიხეილ აშვეთია, ლევან ხომერიკი.*

მეკარე აკაკი დევაძე, რომელიც რამდენიმე დღე „დინამოსთან" ერთად ვარჯიშობდა, ჩემპიონებს ოთხშაბათს ჩააკითხავს და კოლეგა ზურაბ ბათიაშვილსაც გერმანიაში წასვლისა და 18-წლამდელებთან ვარჯიშის საშუალებას მისცემს. კაკოს ეპეში ჩასვლამდე ზურა დინამოელებთან დარჩება. ისე ნუ გაიგებთ, თითქოს დევაძის „დინამოში" თამაში უკვე გადაწყვეტილი იყოს აშდოდის „ირონიდან" მისი განთავისუფლების საკითხი უახლოეს დღეებში გაირკვევა. ებრაელებმა დევაძის საფასური შემოთავალეს და ახლა ბოლო სიტყვა ჩემპიონებზეა. თუ გადაიხდიან, კაკოს „დინამოში" ჩარიცხვა უპრობლემოდ მოხდება. თავად მეკარე კი კვირას ისრაელს გაფრინდება, იქ დატოვებულ ბარგს აიკრავს და, როგორც გითხარით, ეპეს მიაშურებს.

ჩვენებურები ჰოლანდია-გერმანიაში რამდენიმე ამხან ჯურ მატჩს ჩაატარებენ: 10 ივლისს ბუქარესტის „რაპიდს" შეხვდებიან, 18-ში — „კილმარნოკს", ერთი დღის შემდეგ „ჰოფჰაიმს", ანაც მეორე ბუნდესლიგაში მოთამაშე „ობერჰაუზენს", 23-ში ასევე მეორე ბუნდესლიგელ „მაინცს". კიდევ რამდენიმე მატჩია დაგეგმილი, თუმცა მეტოქეთა ვინაობა ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ქართველებთან თამაში ჰოლანდიური „ვიტესსაც" მოუსურვებია.

იოჰან ბოსკამპს დრო ცოტა აქვს. 15 ივლისამდე თბილისის „დინამომ" უეფაში ჩემპიონთა ლიგის თამაშებისთვის 25-კაციანი განაცხადი უნდა წარადგინოს. ზემოჩამოთვლილ ფეხბურთელთაგან კი გუნდში ადგილი არავის აქვს დაბევებული.

რაც შეეხება ოთარ ხიზანეიშვილსა და ზურაბ ხიზანიშვილს, მათი მომზადების საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ისინი 10-ში „დინამოს" შემადგენლობაში ითამაშებენ და იმავ საღამოს 18-წლამდელთა ნაკრებს გერმანიაში შეუერთდებიან.

ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

# გოგა გახოკიძეს ფილიპსის სამყაროში ტურისტობა მოსწყინდა



ბადრი ქეთილაძის ფოტო

წესით და კანონით, გოგა გახოკიძე ახლა ჰოლანდიაში უნდა იმყოფებოდეს, მაგრამ იგი თბილისშია, ოჯახთან და ნაცნობ-მეგობრებთან, გუშინწინ კი „ეინდჰოვენის" საწვრთნელი ბაზის ნაცვლად ეროვნული სტადიონის ტრიბუნაზე მოკალათებულიყო და დიდი ინტერესით უცქერდა „დინამო" — „ტორპედოს" ამხანაგურ შეხვედრას.

— ერთი თვეა, რაც დასვენება გვაქვს და წასვლა ნაღდად არ მსურს, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს. 3 ივლისს უნდა გავფრინდე ჰოლანდიაში, ორი დღის შემდეგ კი „პსვ ეინდჰოვენი" ახალი სეზონისთვის პირველად შეიკრიბება.

**— რჩებით „ეინდჰოვენში"? გავიგეთ, გახოკიძე „უტრეხტში" გადადისო...**

— როგორც იცით, ბობი რობსონი გუნდიდან გაუშვეს, მწვრთნელად კი წარსულში ბელგიის ნაკრების კაპიტანი ერიკ გერეტსი დაგვინიშნეს. ჩავალ და ყველაფერს ადგილზე გავარკვევ. „უტრეხტზე" მართლა იყო საუბრები, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი... თუ შარშანდელის მსგავსად ისევ არ მათამაშეს პსვ-ში, მაშინ იქნებ გადავიდე. თუ მათამაშეს, გადასვლას აზრი არა აქვს, კლასით „ეინდჰოვენი" რომ სჯობს „უტრეხტს", ამას თქმა არ უნდა. ისე, ტურისტივით ყოფნას აღარ ვაპირებ, თუ ყველაფერი ძველებურად იყო, ავდგები და წავალ.

**— გოგა გახოკიძეს ჩემპიონთა ლიგისთვის „დინამო" იწვევს დასახმარებლადო...**

— ნაღდად არა მგონია, რომ ასე მოხდეს. მშობლიურ ქალაქში ყოფნას რა სჯობს, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატში თამაში არ გამომადგება. ჩემი „დინამოში" გადმოსვლა გამორიცხულია, სად იქაური პირობები და სად აქაური, გული არ მომიწევს. მსურს, იქ დავრჩე და ჩემი სიტყვაც ვთქვა, შარშან ხომ თავის გამოსაჩენად შანსიც კი არ მომეცა. დიდი ფეხბურთის თამაში მწყურია.

**— „ეინდჰოვენის" სამომავლო გეგმებზეც ვთქვათ.**

— 5 ივლისს პირველად ვიკრიბებით და 13 ივლისამდე ადგილზე მოვემზადებით, მერე კი ათდღიან შეკრებაზე ესპანეთში გავემგზავრებით და იქ გავაგრძელებთ ვარჯიშს. ამასობაში აგვისტოც კარს მოგვადგება და ჰოლანდიის ჩემპიონატიც დაიწყება. რა თქმა უნდა, „ეინდჰოვენი" მოსამზადებელ ციკლში საკონტროლო მატჩებს გამართავს, მაგრამ ვისთან, არ ვიცი.

**— გავრცელდა ხმები, პსვ-ს ძირითადი ბირთვი ტოვებსო. ვან ნისტელროოი, ნილისი, ბრუგინკი და სხვები. დასუსტდება გუნდი, თუ?..**

— რამდენადაც ვიცი, ყველა გუნდში დარჩენას აპირებს. მხოლოდ ბელგიელი ჟილ დე ბილდე დაგვტოვებს ალბათ, რომელსაც ერთ-ერთი ესპანური კლუბი ეპატიჟება. დანარჩენები ყველანი ადგილზე არიან. ახალი ფეხბურთელები კი შეგვემატნენ, მაგრამ ცნობილი არავინაა, უფრო ახალგაზრდები არიან.

**— ეროვნულ ნაკრებზე რას იტყვით, დაეტყო გუნდს იოჰან ბოსკამპის ხელი?**

— უდავოდ. მართალია, ერთ და ორ თვეში ძლიერი გუნდის შექმნა ძნელია, მაგრამ ბოსკამპს ეტყობა, რომ ევროპელია, ცდილობს, რაც შეიძლება თანამედროვე ფეხბურთი ათამაშოს როგორც ნაკრებს, ასევე „დინამოს". ბელგიაში და ჰოლანდიაში ბოსკამპს ძალიან აქებენ, მცოდნე მწვრთნელიაო. ჩემი თანაგუნდელები — ლუკ ნილისი და ჟილ დე ბილდე „ანდერლეხტში" ბოსკამპთან ერთად იყვნენ და ორივენი ძალიან აფასებენ, როგორც პიროვნულად, ისე საქმითაც. ვნახოთ, ჩვენთან რა გამოუვა, ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

**— ეროვნულ გუნდში ბოლოს მარტში უკრაინელებთან ითამაშეთ, მოედანზე შეცვლაზე შეხვედით, მას მერე კი... გახოკიძის ნაკრებში დაბრუნებას როდის უნდა ველოდოთ?**

— ნაკრებში საბერძნეთთან მატჩისთვისაც გამომიძახეს, მაგრამ ამ დროს „ეინდჰოვენს" ვახლდი ტურნეზე ურუგვაიში. გავცივდი, ტემპერატურამ 40 გრადუსამდე ამიწია. ბოსკამპს ავუხსენი მდგომარეობა და გამათავისუფლა.

**— რამდენადაც ვიცი, გერეტსის წინამორბედი, ინგლისელი ბობი რობსონი ძალიან გაქებდათ, გახოკიძე კარგი ბიჭი და კარგი ფეხბურთელიაო, მაგრამ, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, არ გათამაშებდათ. თქვენი აზრით, ეს რას უნდა მივაწეროთ?**

— არ ვიცი, ვერ გამიგია, ასე რატომ მექცეოდა.

**— უიღბლობა ხომ არა?**

— ნორმალურად ვვარჯიშობდი. ყოველ შემთხვევაში, სხვას თუ არ ვჯობდი, არც ჩამოვრჩებოდი. პსვ-ს მეორე გუნდში ვთამაშობდი და მოედანი ისე არ დამიტოვებია, გოლი არ გამეტანა. ჩემი აზრით, თავად მწვრთნელზეც ბევრი რამაა დამოკიდებული. შეიძლება მაგარი იყო, მაგრამ მაინც არ გათამაშოს, პრინციპი აქვს ასეთი. რობსონიც ასეთივე ტიპია. რაც არ უნდა კარგ ფორმაში იყო, თუ უნდა, საერთოდ არ გათამაშებს. იყო შემთხვევა, რომ პსვ-ს ძირითადში მოუმზადებელი ფეხბურთელი ხვდებოდა. ალბათ მაინც ურჩევნია, თავისი ხალხი ათამაშოს და არა უცხოელი.

**— კი მაგრამ, რობსონიც ხომ უცხოელია, მაინც რატომ აგითვალწუნათ?**

— არ ვიცი. როდესაც ტრავმა მქონდა, მაშინ მაქებდა, ყოჩაღ, კარგად ვარჯიშობ და მომწონხარო. არადა, რას ვვარჯიშობდი, წელი მქონდა გაშეშებული. მაშინ მამხნევებდა, მერე კი, როცა მოვმჯობინდი და ნელ-ნელა ფორმაშიც შევდიოდი, ალმაცერად დამიწყო ყურება, ყოველი ტურის წინ მეუბნებოდა, აი, ახლა მოგიწევს თამაში და გაემზადეო. საბოლოოდ კი... მერე მეც მომბეზრდა ამდენი ცრუდაპირებანი და აღარც ვუსმენდი. პოლონელი თანაგუნდელი ტომაშ ივანიც უკმაყოფილო იყო მწვრთნელით. ეს ვინ არის, ტყუილების მოსმენით მეც დავიღალე, რობსონს ვერ ენდობიო, მეუბნებოდა.

**— ესე იგი, რობსონით უკმაყოფილო ხართ...**

— ასეა. ფეხბურთელში რომ თანხას იხდიან და იგი კლუბში მიდის, შეიძლება ფორმიდან ამოვარდნილიც იყოს, ვერ თამაშობდეს. ამ შემთხვევაში რომ დასვან სკამზე, მისაღებიც კია, მაგრამ საერთოდ იოტისოდენ შანსსაც რომ არ აძლევ, გაუმართლებელია, მაშინ რატომ ყიდულობ?

**— ყოველივე ამის ფონზე, პსვ-ში თანაგუნდელებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ, გამორჩევით ვინმესთან ხომ არ მეგობრობთ?**

— კარგი, მეგობრული გუნდია. თავიდან შეჩვევა ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა შევეგუე ატმოსფეროს, ბიჭებს. ყველასთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს, მაგრამ მაინც რუსებთან — ნიკიფოროვთან და ხოხლოვთან ვარ ახლოს, ძალიან კარგი პიროვნებები არიან.

**— „ეინდჰოვენი" ჩემპიონთა ლიგისკენ მიმავალ მატარებელს ბოლოსდა შეახტა. ყველას ეგონა, რომ „ვიტესი" გავიდოდა ლიგაში, უკანასკნელი ტურის ბოლო წუთმა კი ყველაფერი შეცვალა...**

— იმ დღეს მართლაც საოცრება მოხდა, პსვ-ს დღე იყო. გულშემატკივრებს ჯერ კიდევ არ სჯეროდათ, რომ გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებდა. ცუდად ჩატარებული სეზონი ბოლოს კარგად დასრულდა. ახლა რობსონის ნაცვლად ერიკ გერეტსი მოვიდა „ბრიუგედან", ჩემპიონობასნაჩვევი კაცია. მართალია, წლეულს არ გაუმართლა, მაგრამ კარგი სპეციალისტია, რამდენადაც ვიცი, ძალიან მომთხოვნია. პსვ-ს მიზანი წლეულს ჰოლანდიის ჩემპიონობა და თასია, ჩემპიონთა ლიგაში კი რაც შეიძლება წარმატებული გამოსვლა.

**— „ეინდჰოვენთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გაკავშირებთ, ერთი წელი უკვე გავიდა. ამ ხნის მანძილზე სოლიდურ და ძლიერ გუნდში ყოფნამ რა შემატა გოგა გახოკიძეს?**

— თამაშით არაფერი. უბრალოდ, ასეთი დონის კლუბში ყოფნამ რწმენა განმიმტკიცა. როცა გუნდი სულ გამარჯვებისკენ ისწრაფვის, გამარჯვებულის ფსიქოლოგიაც გიყალიბდება. ჩემთან მიმართებაში ცოტა უცნაურად შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ ასეა. მე რომ, დავუშვათ, „ეინდჰოვენის" ნაცვლად სხვა გუნდში ვყოფილიყავი და იქაც არ მეთამაშა, მაშინ საერთოდ დავკარგავდი საკუთარი თავის რწმენას, ფეხბურთის თამაშის ხალისიც გამიქრებოდა.

**— რას ამბობენ, ერიკ გერეტსი რა კაცია, ურთიერთობაში როგორია, ისიც რობსონივით ხომ არ მოგექცევათ?**

— არ ვიცნობ, საერთოდ არ მინახავს, ღმერთმა ნუ ქნას, ისიც რობსონივით მომექცეს. ერიკ გერეტსს 5 ივლისს გავიცნობ, ამ დღეს ხომ „პსვ ეინდჰოვენი" ახალი სეზონისთვის პირველად შეიკრიბება. ჰოდა, ბელგიელსაც მაშინ შევხვდები.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ

# ...ზოგი ჭირი მარგებელი ყოფილა

39ა. Copa América Paraguay '99

**C ჯგუფი**

**ურუგვაი 0:1 კოლუმბია**

0:1 ბონილია (20)

ურუგვაი: კარინი, პილიპაუსკასი, ლოპესი, ლემბო, ბერგარა (კალიეხასი 58), ვესპა (გიოგუ 46), ფლეურკინი, კოელიო, მაგალიანესი, სალაიეტა, ალვესი

კოლუმბია: კალერო, კინტანა, ბერმუდესი, კორდობა, ვივეროსი, ბოლანიო, ლოსანო, გრისალესი, ბეტანკურტი, ბონილია (სამბრანო 67), რიკარდი (მონტანიო 60)

გაფრთხილება: მაგალიანესი (9), ბერმუდესი (34), ბოლანიო (40), ბეტანკურტი (56)

გაძევება: ლოპესი (68), მაგალიანესი (90)

მსაჯი: უილსონ სოუსა მენდონკა (ბრაზილია)

ესეც ასე — „კოპა ამერიკაზე" უკვე გააძევეს ფეხბურთელები. უცნაური იყო, რომ პირველი ორი დღის შემდეგ მსაჯებს წითელი ბარათის გამოყენება არ დასჭირდათ, თუმცა ისიც ცხადი გახლდათ, რომ დღეს თუ არა ხვალ, რომელიმე მოთამაშეს აუცილებლად გააგდებდნენ. სამხრეთ ამერიკაში ხომ მატჩი არ ჩაივლის უამისოდ.

გააძევეს ორი ურუგვაელი — სერია A-ს კლუბ „კალიარის" მცველი ლუის დიეგო ლოპესი და ესპანეთში, კერძოდ კი სანტანდერის „რასინგში" მოთამაშე ხერარდო ფედერიკო მაგალიანესი. ბრაზილიელი მსაჯი ორივე შემთხვევაში მართალი გახლდათ — უხეშად მოთამაშე, მეტიც, თავგასულ ურუგვაელებს სხვაგვარად ვერ მოექცეოდა.

ნამდვილად არაა კარგი გუნდი ურუგვაი — მიუხედავად იმისა, რომ მას სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი თოთხმეტჯერ მოუგია, ტურნირის ფავორიტად მაინც ვერ მივიჩნევთ. მართალია, არგენტინელების დარად ურუგვაელები რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელის გარეშე თამაშობენ (ბატისტუტას, ლოპესის, ვერონის და სხვა არგენტინელების არ იყოს, რამდენიმე ძლიერმა ურუგვაელმა მოთამაშემ „კოპა ამერიკას" დასვენება არჩია), მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს — ურუგვაი მთლიანი შემადგენლობით რომ ასპარეზობდეს, ალბათ, მაინც ისეთივე უსახური გუნდი იქნება, როგორიც ახლაა.

კოლუმბიელთა გამარჯვება სრულიადაც არ იყო შემთხვევითი — გარდა იმისა, რომ ვიქტორ ბონილიამ თავისიანებს გაამარჯვებინა, კოლუმბიელებს კიდევ ექვსი-შვიდი რეალური საგოლე შანსი ჰქონდათ. იმავე ბონილიას, ანაც ჰამილტონ რიკარდს რეალური მომენტები ხელიდან რომ არ გაეშვათ, კოლუმბიელთა გამარჯვება გაცილებით დამაჯერებელი იქნებოდა.

ხავიერ ალვარესი, კოლუმბიელთა მწვრთნელი გამარჯვებას ძალიან გაეხარებინა: „ბედნიერები ვართ. ჭკვიანურად ვითამაშეთ, მეტოქეს აშკარად ვაჯობეთ — რა უნდა იყოს ამაზე სასიხარულო?" მან მეკარე მიგელ კალეროც შეაქო — საიმედოდ ითამაშა და ორი ძნელი დარტყმაც მოიგერიაო.



არგენტინა — ეკვადორი 3:1. პალერმოს (№9) ბურთი ვერ წაართვეს

კალერომ ორ შემთხვევაში მართლაც იხსნა თავისიანები — ჯერ იყო და ტურინის „იუვენტუსის" თავდამსხმელი მარსელო სალაიეტა გააწბილა, როცა რამდენიმე მეტრიდან დარტყმული აულო, მერე კი შეხვედრის ბოლო წუთზე გაძევებული მაგალიანესიც დაამწუხრა. ურუგვაელებს კოლუმბიელთათვის მეტჯერ აღარც შეუტევიათ.

მატჩის დაწყებიდან ერთ საათში კოლუმბიელთა შორის ამ ჩემპიონატის უმრწემესი ფეხბურთელი, 1983 წლის 14 იანვარს დაბადებული ხონიერ მონტანიო გამოჩნდა. მიუხედავად მცირე ასაკისა, არგენტინულ „კილმესში" მოთამაშე ნახევარმცველმა გუნდის შუახაზი საგრძნობლად გააძლიერა და თავისიანების ისედაც თვალსაჩინო უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა.

— ჩვენ ძალიან ცუდად ვითამაშეთ. არ მეგონა, თუ გუნდი „კოპა ამერიკას" ასე უხეიროდ დაიწყებდა. მეოთხედფინალში გასასვლელად მაინც ვიბრძოლებთ — ჯგუფში დარჩენა ჩვენთვის სირცხვილი იქნება — ურუგვაელთა მწვრთნელმა ვიკტორ პუამ გუნდი ძალიან გააკრიტიკა.

**არგენტინა 3:1 ეკვადორი**

1:0 სიმეონე (12), 2:0, 3:0 პალერმო (58, 61), 3:1 კავიედესი (77)

არგენტინა: ბურგოსი, იბარა, აიალა, სამუელი, ძანეტი, სიმეონე, სორინი, რიკელმე (კანია 90), ლოპესი (გულიელმინპიეტრო 67), ბაროს შელოტო (გონსალესი 75), პალერმო

ეკვადორი: სევალოსი, ურტადო, მონტანიო, კინიონესი, დე ლა კრუსი, ხორხე, ბლანდონი, კარაბალი (აგინაგა 59), მორეირა (სამორა 59), დელგადო (კავიედესი 46), გრასიანი

გაფრთხილება: კინიონესი (64), სამუელი (89)

მსაჯი: გილბერტო იდალგო (პერუ)

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ამბობენ. არგენტინის ნაკრებში თამაში იუარეს გაბრიელ ბატისტუტამ, ერნან კრესპომ, ხოსე შამოტმა, ხუან სებასტიან ვერონმა, კლაუდიო ლოპესმა, რობერტო სენსინიმ... გუნდის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელების არყოფნამ კი სათადარიგო მოთამაშეებს გაუხსნა გზა. სწორედ თავდამსხმელების არყოფნის გამო გამოჩნდა არგენტინელთა შორის მარტინ პალერმო, რომელმაც ეკვადორელებთან გამარჯვება განაპირობა.

მარტინ პალერმო, „ბოკა ხუნიორსის" ფორვარდი, რომელიც ნაკრებში მხოლოდ და მხოლოდ მეოთხედ თამაშობდა, დუბლის ავტორი გახდა — არგენტინელმა ორჯერვე ლამაზი გოლი გაიტანა, ჯერ ცაციათი, მერე კი მარჯვენა ფეხით.

— ამ თამაშის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ძლიერი გუნდი გვყავს. არგენტინა, მიუხედავად იმისა, რომ ვარსკვლავები აკლია, ჩემპიონობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. ამაში დარწმუნებული ვარ — თქვა გამარჯვებულთა მწვრთნელმა მარსელო ბიელსამ.

...თამაში ახალდაწყებული იყო, დიეგო სიმეონემ არგენტინა რომ დააწინაურა: ახლა უკვე რომის „ლაციოს" ნახევარმცველმა თავურით შეაგდო გოლი.

— „ინტერზე" განაწყენებული ვარ, ასე უცერემონიოდ ჩემზე უარი არ უნდა ეთქვა. ერთი პირობა დავეჭვდი, მართლა ასეთი სუსტი ხომ არ ვარმეთქი, მაგრამ უმალ მივხვდი, რომ ვცდებოდი. ჯერ კიდევ ძალმიძს ძლიერად თამაში, ლიდერთა შორის ყოფნა და ამას კიდევ დავამტკიცებ. იტალიაში აუცილებლად „კოპა ამერიკას" გამარჯვებულად დავბრუნდები — განაცხადა დიეგო სიმეონემ.

არგენტინელთა უპირატესობა საგრძნობი იყო. ეკვადორელებს მხოლოდ ივან კავიედესის იმედი ჰქონდათ და ამას არც მალავდნენ. ეკვადორელთა მწვრთნელი კარლოს სევილია პირდაპირ ამბობდა, რომ მისი გუნდი არგენტინის დამმარცხებელი არ იყო, თუმცა კავიედესი რომ რაღაცას გააკეთებდა, ამის სჯეროდა. ფეხბურთელმა მართლაც გაიტანა გოლი, მაგრამ მანამდე პალერმომ გაიბრწყინა.

ექსტრავაგანტული ვარცხნილობის თავდამსხმელისთვის მეორე ტაიმის ოთხი წუთი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმის დასამტკიცებლად, რომ იგი კონტინენტის წლის საუკეთესო ფეხბურთელად შემთხვევით არ ულიარებიათ: ჯერ იყო და 58-ე წუთზე თანაკლუბელი გილერმო ბაროს შელოტოს პასის შემდეგ ცაციათი უძლიერესი დარტყმით გაიტანა გოლი, მალე კი მარჯვენათიც დალაშქრა ეკვადორელთა კარი.

3:0 შეხვედრის დასასრულამდე ნახევარი საათით ადრე გამარჯვებას მოასწავებს. არგენტინელებმა მოიგეს კიდეც, მაგრამ დიდი ანგარიშით ვერა — იტალიის სერია A-ს კლუბ „პერუჯაში" მოთამაშე ივან კავიედესმა, რომელიც ეკვადორის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება, საჯარიმო დარტყმიდან ერთი გოლი გაქვითა.

მთლიანობაში კი ეს მატჩი ურუგვაი — კოლუმბიას შეხვედრას სჯობდა.

**ლაშა გოდუაძე**



ურუგვაი — კოლუმბია 0:1. ბონილიამ (№9) თანაგუნდელები ძალიან გაახარა

## 25 მილიონი შევჩენკოში



**იტალიის** ჩემპიონმა „მილანმა" კიევის „დინამოს" ანდრეი შევჩენკოს სანაცვლოდ 25 მილიონი დოლარი გადაუხადა და უკრაინელ თავდამსხმელთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ასე რომ, გარიგება მაინც შედგა. მოლაპარაკება რამდენიმე თვე მიმდინარეობდა, კიეველთა კლუბის პრეზიდენტი გრიგორი სურკისი იმასაც ამბობდა, შევჩენკოს კიდევ ნახევარი წლით დავიტოვებთო, მაგრამ... „ბედნიერი ვარ, ყოველთვის მინდოდა „მილანში" თამაში და ახლა ოცნება ამიხდა" — თქვა გუშინ შეჩვენკომ.

საინტერესოა, რომ „მილანმა" შევჩენკოში იმდენი გადაიხადა, რამდენიც ყოფილი საბჭოთა კავშირის არც ერთ ფეხბურთელში არ გადაუხდიათ. მსოფლიოს ყველა დროის სატრანსფერო ნუსხაში კი შევჩენკომ მეექვსე ადგილი დაიკავა.

### ფეხბურთის რუკასთან



**საფრანგეთის** ვიცე ჩემპიონი, „მარსელი" მომავალ კვირაში არგენტინული „ინდეპენდიენტეს" უწვერულ ცენტრალურ მცველს, გაბრიელ მილიტოს ყიდვას აპირებს. მილიტო გახლდათ ქვეყნის იმ ახალგაზრდული ნაკრების წევრი, რომელმაც 1997 წელს ახალგაზრდათა მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიმარჯვა. ფრანგულმა გუნდმა 19 წლის არგენტინელს თვალი სულ ცოტა ხნის წინ, ტულონის საერთაშორისო ტურნირზე დაადგა, სადაც იგი 20 წლამდელთა ნაკრებს კაპიტნობდა. „მარსელსა" და „ინდეპენდიეტეს" შორის გარიგება დაახლოებით 25-30 მილიონი ფრანკის ფარგლებში მიხდებდა, რაც დოლარებში 4,25 მილიონია. ფრანგებს ჭაბუკი ისე მოსწონებიათ, რომ გაკადნიერებულან და უთქვამთ, მილანის „ინტერში" გაცემული ლორან ბლანის შემცვლელად გვესახებაო.

**ესპანურმა „ატლეტიკომ" განაცხადა, რომ ბრაზილიელი ჟუნინიოს თაობაზე ორი ინგლისური კლუბისგან მიიღო წინადადება. როგორც ამბობენ, ისინია ჟუნინიოს ყოფილი გუნდი „მიდლსბრო" და ბირმინგემის „ასტონ ვილა".**

**დანიის** ჩემპიონი, „ოლბორგი", ტალინის „ფლორასგან" ესტონეთის ნაკრების ფორვარდის, ანდრეს ოპერის ყიდვას აპირებს. დანიელებს ოპერი 15,1 მილიონ თავისებურ კრონად ანუ 1 მილიონ დოლარად ულირთ და თუ გარიგება რამემ არ ჩაშალა, ეს ტრანსფერი ესტონური ფეხბურთის ისტორიაში უდიდესი შეიქნება. ოპერი 21 წლისა გახლავთ. იგი ესტონეთის ეროვნულ გუნდში რეგულარულად თამაშობს და 1995 წლიდან „ფლორას" ერთგულია. გასულ წელს ოპერმა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიპოვა, „ფლორამ" კი ლიგის ტიტულიც მოიგო და თასიც. რაკილა სიტყვამ სატრანსფერო რეკორდი მოიტანა, ვთქვათ, რომ აქამდე ესტონური რეკორდი ინგლისური „დერბი ქაუნთის" მეკარეს, მარტ პოომს ეკუთვნოდა, რომელიც პრემიერლიგის გუნდში, ასევე „ფლორადან", 1997 წელს, კრონებში რომ ვთქვათ, 12 მილიონად გადავიდა.

**ჰოლანდიელი ზანგი კიკი მუსამპა ფრანგული „ბორდოდან" ესპანურ „მალაგაში" გადავიდა და კონტრაქტის თანახმად, იქ ოთხი წლით დარჩება. ჰოლანდიის 21 წლამდელთა ნაკრების წევრი „ბორდომდე" ამსტერდამის „აიაქსში" გამოდიოდა. „ესპანური გუნდების თამაშს ტელევიზიით ვადევნებდი თვალს და ძალიან მომწონდა. პროფესიული თვალსაზრისით, ჩემთვის „მალაგაში" გადასვლა უდიდესი მნიშვნელობისაა და სერიოზულ პერსპექტივებს მიჩენს" — განაცხადა მალაგელთა პირველმა შენაძენმა. მოგეხსენებათ, რომ „მალაგა" ესპანეთის პრიმერა დივიზიონში 1990 წლის მერე არ ყოფილა, მაგრამ გასულ სეზონში მეორე დივიზიონის შეჯიბრებაში გაიმარჯვა და ზევით დაბრუნების ნებართვა მიიღო.**

**ირლანდიისა** და იუგოსლავიის ნაკრებთა გადადებული, ევრო 2000-ის შესარჩევი მატჩი უეფას დადგენილებით 1 სექტემბერს გაიმართება. გეხსომებათ, რომ მერვე ჯგუფის ეს შეხვედრა, წესით, 5 ივნისს უნდა გამართულიყო, მაგრამ ირლანდიის მთავრობამ მიზეზად იუგოსლავიელთა პოლიტიკური იმიჯი და კოსოვოს პრობლემა მოიდო და სტუმარი გუნდის დელეგაციას ქვეყანაში შესასვლელი ვიზები არ მისცა.

**ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი", რომელმაც ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის თასის გათამაშებაში მონაწილეობას, მოფლიო საკლუბო პირველობაზე გამოსვლა არჩია, უეფას დაცვის საგნად იქცა. ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას, მოგეხსენებათ, არ ეპიტნავება ფიფას საკლუბო წამოწყება და, შესაბამისად, გააკრიტიკა თავისი ზემდგომი ორგანო, რომელმაც ინგლისის ჩემპიონს არჩევანის გაკეთება აიძულა.**

**შვედური** „გიოტებორგის" მწვრთნელი რეინე ოლმკვისტი თანამდებობიდან წავიდა. კლუბმა განაცხადა, რომ მის მაგივრად საქმეს ასისტენტი სტეფან ლუნდინი გაუძღვება. თავად ოლმკვისტმა კი ერთობ ბუნდოვნად თქვა, რომ მისი წასვლით გუნდში კარგი ურთიერთობები აღდგება და „გიოტებორგი" მაღალი მიზნებისთვის განაგრძობს ბრძოლას. დღეისთვის „გიოტებორგი" ბოლოდან მეორე ადგილზეა.

**ნიგერიის ნაკრების ფეხბურთელი სანდი ოლისე ამსტერდამის „აიაქსიდან" ტურინის „იუვენტუსში" გადავიდა. 25 წლის მცველსა და ნახევარმცველს „ბებერ ქალბატონთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმებია. მოგეხსენებათ, ტურინის გუნდს უკვე ჰყავს ორი ექსაიაქსელი, ედგარ დავიდსი და მეკარე ედვინ ვან დერ სარი.**

**ჰოლანდიურმა** „აიაქსმა", სპილოს ძვლის ნაპირის გუნდიდან, „მიმოზა", რომ ჰქვია ხუთი წლით შეიძინა ნიგერიის 21 წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი პიუს იკედია. იკედია ერთ კვირაში 19 წლისა შესრულდება. კომერციული დეტალების შესახებ არაფერი თქმულა.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# კლინტონი ქალებთან სიარულს არ იშლის

## ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი. ნახევარფინალი


REUTERS მერილენდიდან

პრეზიდენტი ბილ კლინტონი ოჯახთან ერთად ქვეყნის ქალთა ნაკრებში ჩაკარგული

FIFA WOMEN'S WORLD CUP USA 99

**ბრაზილია 3:3 (4:3 დ.დ.) ნიგერია**
1:0, 2:0 სიდინია (4, 22), 3:0 ნენე (35), 3:1 ემეაფუ (53), 3:2 ოკოსიემე (72), 3:3 ეგბე (85), 4:3 სისი (104)

**აშშ 3:2 გერმანია**
0:1 ჩესტეინი (5 ს.კ.), 1:1 მილბერტი (16), 1:2 ვიეგმანი (45), 2:2 ჩესტეინი (49), 3:2 ფაუესტი (66)

მატჩის შემდეგ ამერიკელთა მწვრთნელი, ტონი დიჩიკო ილიმებოდა: „ასეთი დონისათვის რომ მიგვეღწია, კარგა ხანს ვმუშაობდით. მერე რა, რომ ბრენდიმ შეცდომა დაუშვა, ბევრი უმაღლესი რანგის პროფესიონალი მინახავს ასე შემცდარი. შეცდომის შემდეგ ბრენდიმ ძალ-ღონე მოიკრიბა და გოლი გაიტანა".

ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა, ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გერმანიას 3:2 მოუგო. რაც შეეხება ბრენდი ჩესტეინს, მან შეხვედრის მეხუთე წუთზე თავის მეკარეს, ბრაიანა სკარის დაუგორა ბურთი და... მეტოქის სასარგებლოდ გახსნა ანგარიში.

ამერიკელებმა ნერვები მოთოკეს და მე-16 წუთზე ანგარიში გაათანაბრეს: მიშელ აკერსის ჩაწოდებული ბურთი გერმანელი მცველისგან ტიფენი მილბერტს მიუგორდა, მილბერტმა კი უშეცდომოდ დაარტყა.

საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ტაიმი ფრედ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მსაჯის დამატებულ წუთებში გერმანელმა ბეტინა ვიეგმანმა საჯარიმოს კუთხეში ბურთი მოხერხებულად დაამუშავა და მარცხენა ფეხით შორეულ ძელთან კარში შეაგდო.

„მართლაც გვწამდა, რომ გამარჯვება შეგვეძლო" — თქვა გერმანიის გუნდის მწვრთნელმა ტინა თეუნე-მაიერმა — „ვგრძნობდი, რომ ძალიან კარგად ვიყავით მომზადებული და ვიცოდი, რომ მეორე ტაიმში ძლიერად თამაში გვეხერხებოდა. ასე, რომ შესვენების შემდეგ გამარჯვებას ველოდი".

მაგრამ, თამაშის განახლებიდან ოთხ წუთში ჩესტეინმა, რომელმაც შეხვედრის დასაწყისში ავტოგოლი შეაგდო, ანგარიში ისევ გაათანაბრა.

„საკუთარ კარში გატანილმა გოლმა დამატებითი ძალები შთამბერა. მინდოდა იმაზე მეტი გამეკეთებინა გუნდისთვის, ჩვეულებრივ რომ ვაკეთებ ხოლმე. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ჩვეულებრივზე ცუდად გამომდიოდა ყველაფერი. მადლობა ღმერთს, რომ ტონი (დიჩიკო) მენდო და თანაგუნდელებმაც არ დაივიწყეს ის ღვაწლი, წლების განმავლობაში რომ მიმიძღვის. ჩვენი ნაკრების ყველაზე კარგი თვისება ის გახლავთ, რომ უკლებლივ ყველანი თავდადებით ვემსახურებით ერთ საქმეს. ძალიან ვამაყობ, რომ შეხვედრის ბედი ჩემს მიერ მეტოქის კარში გატანილმა გოლმა შეცვალა" — განაცხადა ბრენდი ჩესტეინმა.

გამარჯვების გოლი კი ამერიკელმა ჯოი ფაუსეტმა 66-ე წუთზე შეაგდო.

„ძალიან ამაღელვა მატჩის შემდეგ პრეზიდენტ კლინტონის ჩამოსვლამ და მოლოცვამ" — დასძინა დიჩიკომ.

მეორე მეოთხედფინალურ დაპირისპირებაში კი ბრაზილიელებმა ნიგერიელებს პირველ ტაიმში სამი უპასუხო გოლი გაუტანეს, მაგრამ მერე გულში სამბა წაუცეკვეს და დამატებით დროში მოუხდათ ბედის ჭედვა. იქ, კი მათ მიერ 104-ე წუთზე გატანილმა „ოქროს გოლმა" გადაწყვიტა ყველაფერი.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მსოფლიოს პირველი, 1991 წლის ჩემპიონატის შემდეგ, ორივე გუნდი საგრძნობლად გაზრდილა საყოველთაო ოსტატობის თვალსაზრისით. ისე, ამას დიდი მიმომხილველობაც არ სჭირდება. ვისაც გასული ორი ჩემპიონატის დავთრებში სულ ხუთი წუთით ჩახედვა არ დაეზარებოდა, შენიშნავდა, რომ „სამბას დედოფლები" აქამდე მორიგ ეტაპზე არასდროს გასულიყვნენ, ხოლო ნიგერიელებს საერთოდ არ მოეგოთ.

ახლა იმაზე, რაც გუშინ ვთქვით: ვინ ითამაშებს სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადაზე? ასეთი შვიდი გუნდია, ოთხი ნახევარფინალისტი და სამიც მეოთხედფინალში „უკეთ" დამარცხებული. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, საგზური რუსებმა ვერ მიიღეს, რადგან მეოთხედფინალში მათზე „ცუდად" (0:2) არავინ დამარცხებულა.

**ბაბუნა ბედია**

ESM EUROPEAN SPORTS MAGAZINES

# ევროპის რჩეული ფეხბურთელები

გაილია მორიგი საფეხბურთო სეზონი. ჩაცხრა ვნებათაღელვა. გაირკვნენ ჩემპიონები, თასის მფლობელები, პრიზიორები, თუმცა, მიუხედავად ამისა, ბებერი კონტინენტის საფეხბურთო ცხოვრება სრულიადაც არ შენელებულა.

მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელები ისვენებენ, მიუხედავად იმისა, რომ კლუბები მომავალი სეზონისთვის ემზადებიან, კვლავ საფეხბურთო ციებცხელებაა.

რამდენიმე დღის წინ ევროპის ავტორიტეტული სპორტული გამოცემების გაერთიანება ESM-მა გასული სეზონის ევროპის სიმბოლური ნაკრები დაასახელა, რჩეულ ფეხბურთელთა გუნდის კიდევ ერთი ვარიანტი. ვფიქრობ, უინტერესო არ უნდა იყოს. თუმცა, სანამ გუნდის შემადგენლობაზე გადავიდოდეთ, უბრალოდ გავიხსენოთ, თუ რა არის ESM-ი.

1995 წლის გაზაფხულზე ავტორიტეტული ინგლისური საფეხბურთო ჟურნალის — „უორლდ სოკერის" ინიციატივით შეიქმნა ევროპის სპორტული გამოცემების გაერთიანება ESM-ი (EUROPEAN SPORTS MAGAZINES), რომელშიც გარდა წამოწყების ინიციატორისა, პორტუგალიური „ა ბოლა", ესპანური „დონ ბალონი", ბელგიური „ფუტი", გერმანული „კიკერი", იტალიური „გაძეტა დელო სპორტი", ფრანგული „ფრანს ფუტბოლი", შვეიცარიული „სპორტი" და ჰოლანდიური „ფუტბალ ინტერნაციონალი" გაერთიანდნენ. ESM-ის წევრთა საქმიანობა მხოლოდ ურთიერთთანამშრომლობით არ შემოიფარგლება — ბევრ სხვა საქმიანობასთან ერთად ჟურნალები ყოველი თვის მიწურულს სიმბოლურ ნაკრებს ასახელებენ, საერთო ჯამში კი ევროპის თვის სიმბოლური ნაკრებიც დგინდება.

1994-95 წლების სეზონში ESM-მა მხოლოდ სეზონის ნაკრების დასახელება მოახერხა, იქიდან მოყოლებული კი ცხრავე გამოცემა თავიანთ ვერსიებს აჯამებენ და მკითხველებს ევროპის სიმბოლური ნაკრების თავისეულ ვარიანტს სთავაზობენ.

სანამ უშუალოდ გასული სეზონის სიმბოლურ ნაკრებზე გადავიდოდე, აქვე ერთს გეტყვით: 1996 წლის თებერვალში ევროპის სიმბოლურ ნაკრებში ჟორჟ ვეას, გაბრიელ ბატისტუტას, პაოლო მალდინის და სხვების მხარდამხარ საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი გიორგი ქინქლაძეც მოხვდა. მაშინ იგი ჯერ კიდევ „მანჩესტერ სიტიში" თამაშობდა და საკმაოდ კარგადაც. ქინქლაძე დღემდე ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, რომელმაც ESM-ის ნაკრებში მოხვედრა შეძლო.

ახლა წლევანდელ ნაკრებს რაც შეეხება. ESM-ი ფეხბურთელებს 4-4-2-ის სისტემით განალაგებს და ჩვენ ამ ტაქტიკით წარმოვიდგინოთ გუნდი: მეკარე — კარლოს როა (მალიორკა); მცველები — ლილიან ტურამი (პარმა), ლორან ბლანი (მარსელი), იაპ სტამი (მანჩესტერ იუნაიტედი), ბიქსენტ ლისარასუ (ბაიერნი); ნახევარმცველები — დევიდ ბექჰემი (მანჩესტერ იუნაიტედი), შტეფან ეფენბერგი (ბაიერნი), სინიშა მიხაილოვიჩი (ლაციო), რივალდო (ბარსელონა); თავდამსხმელები — გაბრიელ ბატისტუტა (ფიორენტინა), რაული (რეალი).

ყოველივე ამის შემდეგ ათასი ვარაუდი გამოითქმება, გულშემატკივრები თავიანთ გუნდებსაც ჩამოაყალიბებენ...

თუმცა განა ყველაფერი პირობითი არაა? ESM-ის სიმბოლური ნაკრებითაც არ შეიძლება ყველაფერზე მსჯელობა. ასე რომ, მოდით, მაინცდამაინც მკაცრად ნუ გავაკრიტიკებთ სპორტულ გამოცემებს, თუ მათი რჩეულნი ჩვენს სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრილ მოთამაშეებს არ დაემთხვევიან. უბრალოდ ავდგეთ და ეს გუნდი ჩვენეულს შევადაროთ.

...მას შემდეგ, რაც ESM-მა 1995 წლის გაზაფხულზე პირველი სიმბოლური ნაკრები გამოაცხადა, შემდეგი ოთხი წლის მანძილზე კიდევ ორმოცჯერ დადგინდა რჩეულ ფეხბურთელთა გუნდი.

**ლაშა გოდუაძე**



გიორგი ქინქლაძე ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, რომელიც ESM-ის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა

**1995**



**1996**



**1997**



**1998**



**1999**



# ...კოპა ამერიკა მერე იყოს

*ერნან კრესპო იმ ფეხბურთელთაგანია, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში თამაში რომ იუარა. განვლილმა სეზონმა „პარმას“ თავდამსხმელი ძალიან გადაღალა. არგენტინელს ახალი სეზონის წინ დასვენება სჭირდებოდა და მანაც დროის მხიარულად გატარება ამჯობინა „კოპა ამერიკას“.*

*5 ივლისს კრესპო 24 წლის ხდება. ბოლო ერთი წელი მისთვის, როგორც ფეხბურთელისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი იყო — მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა, იტალიის თასი მოიგო, უეფას თასიც აღმართა... ...„კოპა ამერიკაზე“ კი უარი თქვა.*


საქართველოს არქივიდან

ერნან კრესპო მოსკოვში

**— „პარმამ“ სეზონი უეფას თასის მოგებით დაასრულა. მოსკოვში რომ ჩახვედით, წარმატებაში ეჭვი გეპარებოდათ?**

— არა. მარტო მე კი არა, ყველა ჩემი თანაკლუბელი დარწმუნებული იყო, რომ უეფას თასი ჩვენ დაგვრჩებოდა. ფინალის წინ შესანიშნავი განწყობა გვქონდა. თან ერთი კვირით ადრე იტალიის თასი მოვიგეთ. წარმატების გვჯეროდა, მოვიგეთ კიდეც.

**— „მარსელი“ „პარმამ“ ერთი შეხედვით იოლად დაამარცხა. ფინალში ფრანგებისგან ძლეული „ბოლონია“ რომ გასულიყო, როგორ ფიქრობთ, უფრო გაგიჭირდებოდათ?**

— შესაძლოა, თუმცა გულშემატკივრების ფაქტორიც გასათვალისწინებელია. მოსკოვში უმეტესობა ჩვენ გვქომაგობდა და გვეგონა, პარმაში ვთამაშობდით. ფინალში „ბოლონია“ რომ გასულიყო, გულშემატკივრები, ალბათ, თანაბრად გაიყოფოდნენ. ისე, „ბოლონიას“ უფრო კარგად ვიცნობთ, ვიდრე „მარსელს“ და ეს გასაგებიცაა. მაინც მგონია, რომ „მარსელი“ უფრო ძლიერი მეტოქე იყო, ვიდრე „ბოლონია“.

**— აგერ უკვე მესამე სეზონია, იტალიის ჩემპიონატში თამაშობთ. ამ ხნის განმავლობაში ბევრს მიაღწიეთ, თუმცა იტალია თქვენთვის მეორე სამშობლოდ ჯერ, ალბათ, მაინც ვერ იქცა.**

— ეგ მართალია. მიუხედავად იმისა, რომ 23 წლის ვარ და ბოლო სამი წელიწადია, იტალიაში ვცხოვრობ, თავს მაინც არგენტინელად ვთვლი. არგენტინა ჩემი სამშობლოა და ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მერე რა, რომ „პარმაში“ ვთამაშობ? გონებით მაინც მუდამ ბუენოს აირესში ვარ. იცით, „პარმაში“ ოთხი ჩემი თანამემამულეა და ყველა მათგანს სამშობლოში ახლობლებთან ძალიან მჭიდრო ურთიერთობა აქვს.

**— ალბათ, არგენტინის ჩემპიონატსაც უცქერთ ხოლმე...**

— დიახ, თან ძალიან დიდი ყურადღებით. თუ საშუალება მაქვს, თამაშებს აუცილებლად ვუყურებ ხოლმე.

**— თუ ასეა, ისიც უნდა იცოდეთ, რომ ჩემპიონატში თქვენს ყოფილ კლუბ „რივერ პლეიტს“ „ბოკა ხუნიორსმა“ აჯობა.**

— ამის მიზეზი უბრალოა — „ბოკა“ დღესდღეობით უფრო ძლიერი კლუბია, ვიდრე „რივერ პლეიტი“. მიუხედავად იმისა, რომ მე „რივერს“ ვქომაგობ, იგი მაინც მეორეა. მერე რა, გავა დრო და კვლავ პირველი იქნება. ასე არ არის?

**— სამხრეთ ამერიკაში ყველას „ბოკა ხუნიორსის“ თავდამსხმელის, მარტინ პალერმოს სახელი აკერია პირზე. მის თამაშს, ალბათ, ნახავდით. თქვენი აზრით, როგორი თავდამსხმელია?**

— პალერმოს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ რამდენჯერმე ვუცქირე მის თამაშს და ვთვლი, რომ კარგი თავდამსხმელია. უკვე ის, რომ მან არგენტინული ფეხბურთის რეკორდი დაამყარა, ბევრ რამეზე მეტყველებს. პალერმო, ჩემი აზრით, შესანიშნავი ფორვარდია, იცის გოლის გატანა. განსაკუთრებით მისი თავით თამაშია თვალსასეირო. ვფიქრობ, ამ მხრივ მას ბადალი არ ჰყავს.

**— ბატისტუტას რომ შევადაროთ?**

— ასე არ მოვიქცეოდი. ყველა ადამიანი, არა მარტო ფეხბურთელი, ერთია ამქვეყნად. ერთია ბატისტუტა და ერთია პალერმო.

**— თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, ნაკრებში ვისთან ერთად თამაშს ისურვებდით — პალერმოსთან თუ ბატისტუტასთან?**

— ჩემი შეხედულება ბევრს არაფერს წყვეტს. ნაკრებში ვინ ითამაშებს, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. ისე, ბატისტუტასთან შეთამაშებული ვარ და ასე მგონია, მასთან უფრო გამიადვილდებოდა. იცით, ამბობენ, რომ ბატისტუტა ნაკრებში რჩება და ეს ძალიან მახარებს. მინდა, მასთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატზე ვითამაშო.

**— რადგან არგენტინის ნაკრებს შევეხეთ, მოდით, გუნდის ბოლო ორი მწვრთნელი — დანიელ პასარელა და მარსელო ბიელსა შევადაროთ. ბევრი რამ შეიცვალა ბიელსას გუნდში მოსვლით?**

— მწვრთნელების შედარება გამიჭირდება. ბიელსას ხელმძღვანელობით მხოლოდ რამდენჯერმე ვივარჯიშე და ნაკრებში მხოლოდ ათ წუთს ვითამაშე ჰოლანდიელებთან ამხანაგურ მატჩში. ისე, არ მახსოვს, ბიელსას პასარელაზე აუგი ეთქვას. მეტიც, იგი ამბობდა, რომ პასარელას დაწყებულ საქმეს გააგრძელებს. ჩემთვის ამის მოსმენა სასიამოვნოა. თუნდაც იმიტომ, რომ პასარელას ჩემს ფეხბურთელობაში უდიდესი წვლილი მიუძღვის. ჯერ კიდევ „რივერ პლეიტიდან“ ვიცნობ მას. პასარელა შესანიშნავი პიროვნებაა.

**— ამბობდნენ, პასარელამ მსოფლიოს ჩემპიონატზე რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი წაიყვანა, რომელთა სარფიანად გაყიდვა უნდოდაო. თქვენი აზრით, შეეძლო ასეთი რამის გაკეთება?**

— პირადად მე ამ ხმებს აბსურდულად მივიჩნევ და ვთვლი, რომ ამის მთქმელმა პასარელას შეურაცხყოფა მიაყენა. იმ 22 ფეხბურთელიდან, რომლებიც პასარელამ მსოფლიოს ჩემპიონატზე წაგვიყვანა, 16-17 ახლაც ნაკრებში ვართ. დააკვირდით — ბიელსას გუნდის შემადგენლობა მაინცდამაინც არ განუახლებია. არა, ყველაფერი ტყუილია.

**— არგენტინა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატზე ითამაშებს. ვინ მიგაჩნიათ გუნდის უპირველეს კონკურენტად?**

— უპირველეს ყოვლისა, ბრაზილია და ურუგვაი.

**— როგორ ფიქრობთ, მექსიკას შეუძლია ჩემპიონობისთვის ბრძოლა?**

— ჩემი აზრით, არა. ვფიქრობ, მექსიკა ტურნირის მონაწილედ დარჩება და პრიზიორიც ვერ გახდება. ისე, მექსიკაზე ძლიერი, მე მგონი, ჩილეა. კოლუმბიასაც კარგი გუნდი ჰყავს.

**— რომელი ჯილდოა თქვენთვის უფრო ძვირფასი — იტალიის თასი, უეფას თასი თუ „კოპა ამერიკა“?**

— სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი ჯერაც მოსაგები მაქვს. რაც შეეხება იტალიის თასს და უეფას თასს, მათი მოპოვება მართლაც დაუვიწყარი რამ იყო. ბევრისთვის ეს ჯილდოები დღესაც საოცნებოა, მე კი ახლა უკვე სხვა მწვერვალზე ვფიქრობ — ძალიან მინდა, იტალიის ჩემპიონი გავხდე. „სკუდეტო“ იტალიაში მოთამაშე ყველა ფეხბურთელისთვის სანატრელია. რაც შეეხება „კოპა ამერიკას“, რადგან სამხრეთამერიკელი ვარ, ჩემთვის ამ ტურნირს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუმცა მოვა დრო და მისთვისაც ვიბრძოლებ. ისე, თასის ან ჩემპიონატის გამორჩევა უადგილოდ მიმაჩნია — ფეხბურთელისთვის ყველა მოგება ერთნაირად სასიხარულოა.

**— მოდით, გასული სეზონი გაიხსენეთ და საკუთარი თავი დაახასიათეთ.**

— ძალიან კარგი სეზონი იყო. გუნდმა ორი თასი მოიგო და ჩემპიონთა ლიგაში გავიდა. და მე, ერნან კრესპომ, ყველაფერ ამას დამატებული, 28 გოლი გავიტანე. მართლაც შესანიშნავი წელი იყო. დასამახსოვრებელი.

„უორლდ სოკერი“-დან
თარგმნა ლაშა გოდუაძემ

გიო ახვლედიანის

## ტოპმოდელებზე უკეთესნი

ერთი მთელს მსოფლიოში ნავალი კაცი ამბობდა, ქვეყნიერების შორეულ და ტანჯულ კუთხეებში ისეთი ათდოლარიან მეძავეებს წააწყდები, რომლებთანაც სილამაზით, მომხიბლველობით, მიხრა-მოხრითა და კიდევ ათასი რამით, განქმულ ტოპმოდელებს კოჭი არ მიუხტებათო. მაგრამ, აი, რა არის ცხოვრებაო, ერთნი პოდიუმზე დგანან, მეორენი ქუჩის პირზეო.

ის კაცი მართალს ამბობდა.

ყოველ შემთხვევაში, არ ჰგავდა მატყუარა კაცს.

მთელი საქმე კი იმაშია, რომ ეს ნათქვამი ფეხბურთის ყურებისას გამახსენდა.

იცით, „კოპა ამერიკა“ მიმდინარეობს.

სიმართლე ითქვას, ორი „კოპა“ კი მინახავს ტელევიზორში და ეს შეჯიბრი ევროპის ჩემპიონატისთვის ვერ შემიდარებია. ისე ვერ გავწირავ ევროპის ჩემპიონატს, რომ ამ შეჯიბრს შევადარო თავისი გაქანებით და უბრალოდ, როგორც მოვლენა. თუმცა „კოპას“ გალანძღვა ძალიან დიდი შეცდომა იქნება. ეს საინტერესო, ფერადი და ეგზოტიკური შეჯიბრია და მერე რა, რომ ზოგიერთები აქ სავარჯიშოდ ჩადიან, ზოგიერთები ახალბედების გამოსაცდელად? უმეტესობა სათამაშოდ ჩადის და ეს უნაღდესი და საინტერესო ფეხბურთია თუ თვალს მიაჩვევ (მე მაგალითად, ვერაფრით მივაჩვიე თვალი რიოს და სან პაულუს ჩემპიონატებს „კოპას“ კი ყოველთვის სიამოვნებით ვუყურებ).

აი, ეს „კოპაც“ გახურდა და მიმდინარეობს. ბრაზილიელებთან ჯგუფში მექსიკელები და ჩილელები არიან. უკანასკნელთ შორის პირველისავე ტურში დიდი ბრძოლა ატყდა (ორივე გუნდმა იცის, რომ გამსვლელი საგზურისთვის ჰიდაობს). თამაში მშვენიერი გამოვიდა. მანუელ ლაპუენტეს ხელში მექსიკა მსოფლიოს ჩემპიონატზეც სასიამოვნო გუნდი იყო, ნელსონ აკოსტას ჩილემ კი გვარიანად აწყვიტა ნერვები განთქმულ ვინმეებს.

ჩილელებს ორი ვარსკვლავი ჰყავთ, სამორანო და სალასი. ყველამ კარგად ვიცით, ვინც არიან და რაც უკეთებიათ. ორივენი სერია A-ს ვარსკვლავურ გუნდებში გამოდიან. მათი თამაში ბარე ყოველ უქმეებზე ჩანს ჩვენს ეკრანზე. მაგრამ გასულ ოთხშაბათს, ესენი აშკარად დაჩრდილა მექსიკურმა წყვილმა ლუის ერნანდეს-კვატემოკ ბლანკო.

ორივე ეს მოთამაშე გვახსოვს მსოფლიო ჩემპიონატიდან. უკისრო, სწრაფი და მოქნილი ბლანკოც და ჰვიანი ზუსტი და საშიში ერნანდესიც ნაღდი ვარსკვლავები არიან. ჩემთვის საკვირველია, რატომ თამაშობენ ისინი მექსიკურ კლუბებში, „ამერიკასა“ და „უნიონ დე ნუევოს“ მსგავს გუნდებში, პროვინციულ ლიგაში, სადაც...

საერთოდ, მექსიკელი უიშვიათესი ხილია თუნდაც საშუალო ევროპულ კლუბში. ერთადერთი ვინმე ვინც გვახსენდება „რეალ მადრიდის“ ზამბარა უგო სანჩესი იყო (იყო ერთიორი სხვაც, ნაკლებადცნობილი), არადა, საუკეთესო მექსიკელი ფეხბურთელები ნაღდად დაამშვენებდნენ საუკეთესო ევროპულ კლუბებს. იგივე მექსიკელთა კაპიტანი გარსია ასპე ნაღდი ბრძენკაცია და შუა მოედანზე საინტერესო სამყაროს ქმნის. ანდა, ბევრია ისეთი ფრთის მოთამაშე თავისი ნახევრიდანვე რომ იწყებს უსწრაფეს ლამაზი ილეთებით გაჯერებულ და კარგი პასით დასრულებულ შეტევას? ეს ბლანკოს შეუძლია. ხოლო რა შეუძლია ერნანდესს, შარშანდლიდანაც გეხსომებათ.

საინტერესოა, რატომ არ ტოვებენ მექსიკელები თავიანთ ლიგას და რატომ არ ემურებიან მართლა მწვერვალთა დასალაშქრად? ზედაპირული შესწავლა ამ საკითხისა ორ ვარიანტს გვთავაზობს. პირველი, მოწინავე მექსიკური კლუბების დიდი ხელფასებია. ვარსკვლავები იქ მეფურად ცხოვრობენ. მეორე კი მექსიკური მენტალიტეტი, რომელიც სრულიად გამორიცხავს ზედმეტ თავის ტკივილს. ასე რომ, ჩვენ ვიცით ვარსკვლავი სამორანო და არ ვიცით ვარსკვლავი ბლანკო.

იმ კაცის ნაამბობიც, ტოპმოდელებზე უკეთესი გოგოების შესახებ, ამიტომ გამახსენდა.

# დედა, დედა...

დევიდ ბექემს და მის „პოშ სპაის“ მეუღლეს, პირ, ტან და ხმა მშვენიერ ვიქტორია ადამსს ავსტრალიაში თაფლობა-განცხრომა გარანტირებული ექნებათ, ოღონდაც კი დევიდმა უარი არ თქვას და „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ერთად მწვანე კონტინენტზე დაგეგმილ სეზონისწინა ტურნირში მიიღოს მონაწილეობა. მოკლედ, ერთ-ერთი ავსტრალიური ფირმა ფულს გამოდის.

საქმე ისაა, რომ ბექემი და ადამსი მეუღლეებად კი მოვიხსენიეთ, მაგრამ ოფიციალურად, მისტერ და მისის ბექემებად დღეს, ირლანდიაში იქცევიან. ქორწილია, ქორწილი...

მეორე მხრივ, ქორწილი კარგია, მაგრამ ქორწილის შემდეგ თაფლობის თვე მოდის და შესაბამისად, დევიდი „მანჩესტერ იუნაიტედს“ ავსტრალიაში ვერ გაჰყვება. რაინდმა ალექს ფერგიუსონმა შვებულება უბოძა.

ეს ამბავი ავსტრალიელ ბიზნესმენს, დომინიკ გალატის არაფრად აწყობს. „იუნაიტედის“ ავსტრალიური ტურის მოთავე-ორგანიზატორი სწორედ ისაა და ბექემის გამოკლებას თაფლობის თვის ექსტრადაფინანსება ურჩევნია.

საამისოდ გალატიმ, „რივკინ ენტერტეინმენტის“ დირექტორმა, სიდნეის „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტს შეხვედრა სთხოვა.

„ყველაფერს დავუფინანსებ. „გრეით ბარიერ რიფი“ მსოფლიოს საოცნებათაგანია და ცოლქმარს იქ ვანებივრებ, ოღონდ დევიდი ჩამოვიდეს. რაც შეეხება დანარჩენ გუნდს, ყველანი მოდიან. ერთადერთი, ბექემი გვიფუჭებს საქმეს“ — განაცხადა ბიზნესმენმა.

ისე, კაცი ვარო, ბექემმა უნდა თქვას. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, მილიონერი, ცოლად აუ, რა ქალი, თან რა ფულის პატრონი უზის და კიდევ თაფლობის თვეს სხვა უფინანსებს.



GUERIN SPORTIVO

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლურჯები

## ჩახმახი, გამანადგურებელი და სხვები...

რა შეიძლება ითქვას „ლინფილდის“ ფეხბურთელებზე? ერთი ცხადია, არც ერთი მათგანი ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტს, მაგრამ, როგორც ჩვენი ჩრდილოირლანდიელი კოლეგები ამბობენ, მონდომება და ბრძოლისუნარიანობა ნამდვილად არ დაეწუნებათ. საინტერესოა, რომ ფეხბურთელთა უმრავლესობა ერთი-ორი წელიწადია, გუნდში თამაშობს. ორნი კი ლამის „ლინფილდის“ სიმბოლოებად ითვლებიან. მცველი იან მაკუში 11 სეზონია „ლურჯების“ (გუნდის მეტსახელია) შემადგენლობაში გამოდის, კარიერის მანძილზე სხვაგან არსად უთამაშია, ხოლო ჯონ ისტონმა ახლახან თავისი მეათე სეზონი ჩაამთავრა „უინძორ პარკზე“. ორივეს ექვსი წლის წინათ „პაიჭაძეზე“ მოუსინჯავთ ძალა.

ხუთ ლურჯს ადრე ინგლისშიც უთამაშია. მეკარე ნილ აინგლისი, რომელიც გუნდში შარშან გამოჩნდა, „ქუინზ პარკის“ ღირსებას იცავდა, ნახევარმცველი ჯიმი მარკსი „ლიდსში“ გამოდიოდა, მოიერიშე დამცველი გრემ ფილსონი „ვესტ ჰემში“ თამაშობდა, ხოლო საუკეთესო მეგოლე დეივი ლემური „ლივერპულში“ ირიცხებოდა. ლემურმა გასულ სეზონში 24 ბურთი გაიტანა. მას ერთით ჩამორჩა შარშანწინ „გლენავონიდან“ გადასული გლენ ფერგიუსონი. რაც შეეხება ნახევარმცველ სტეფენ ბითის, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიის 21-წლამდელთა ნაკრებშიც თამაშობდა, ზურგს ლონდონური „ჩელსისა“ და დანიური „ორჰუსის“ გამოცდილება უმაგრებს. ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრებში კაპიტანი ნოელ ბეილიც გამოუძახიათ, ხოლო მეკარე ბობი გედისი ამავე ასაკის შოტლანდიის ნაკრების წევრი გახლდათ. ირლანდიელი ჟურნალისტები მას ძალიან აქებენ.

უილიამ მერფის ადგილობრივები ჩრდილოირლანდიური ლიგის საუკეთესო დამცველად ნათლავენ, ხოლო ნახევარმცველ ტონი გორმანს საჯარიმო დარტყმების სპეციალისტს უწოდებენ.

ჩვენი მორაგბეებისა არ იყოს, „ლურჯებსაც“ ჰყვარებიათ მეტსახელები. ასე მაგალითად, იან მაკუშს „გამანადგურებელი“ (Basher) ჰქვია, ხოლო სტეფენ ბითის „ჩახმახი“ (Trigger), ჯონ ისტონს უბრალოდ „ისტოს“ (Easto) ეძახიან, გლენ ფერგიუსონს კი „დიდ ლურსმანს“ (Spike).

აი, ასეთი ბიჭები არიან „უინძორ პარკის“ ბინადრები.

**სოლომონ გულისაშვილი**

### ლინფილდი ევროთასებზე

| | | | |
|---|---|---|---|
| 1959-60 | ჩთ | გიოტებორგი (შვედეთი) — ლინფილდი | 1:2, 6:1 |
| 1961-62 | ჩთ | ფორვერტსი (გდრ) — ლინფილდი | 3:0 |
| | | მეორე მატჩი არ გამართულა | |
| 1962-63 | ჩთ | ესბერგი (დანია) — ლინფილდი | 2:1, 0:0 |
| 1963-64 | თთ | ფენერბახჩე (თურქეთი) — ლინფილდი | 0:2, 4:1 |
| 1966-67 | ჩთ | ლინფილდი — არისი (ლუქსემბურგი) | 6:1, 3:3 |
| | | ლინფილდი — ვალერენგა (ნორვეგია) | 1:1, 4:1 |
| | | ცსკა (ბულგარეთი) — ლინფილდი | 2:2, 1:0 |
| 1967-68 | ბთ | ლოკომოტივი (გდრ) — ლინფილდი | 0:1, 5:1 |
| 1968-69 | ბთ | სეტუბალი (პორტუგალია) — ლინფილდი | 3:1, 3:0 |
| 1969-70 | ჩთ | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ლინფილდი | 4:2, 8:0 |
| 1970-71 | თთ | მანჩესტერ სიტი (ინგლისი) — ლინფილდი | 1:2, 1:0 |
| 1971-72 | ჩთ | სტანდარდი (ბელგია) — ლინფილდი | 3:2, 2:0 |
| 1975-76 | ჩთ | ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ლინფილდი | 2:1, 8:0 |
| 1978-79 | ჩთ | ლილესტრიომი (ნორვეგია) — ლინფილდი | 0:0, 1:0 |
| 1979-80 | ჩთ | დანდალკი (ირლანდია) — ლინფილდი | 2:0, 1:1 |
| 1980-81 | ჩთ | ნანტი (საფრანგეთი) — ლინფილდი | 1:0, 2:0 |
| 1981-82 | უთ | ბევერენ ვაასი (ბელგია) — ლინფილდი | 5:0, 3:0 |
| 1982-83 | ჩთ | 17 ნანტორი (ალბანეთი) — ლინფილდი | 1:2, 1:0 |
| 1983-84 | ჩთ | ბენფიკა (პორტუგალია) — ლინფილდი | 3:2, 3:0 |
| 1984-85 | ჩთ | ლინფილდი — შემროკ როვერსი (ირლანდია) | 0:0, 1:1 |
| | | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ლინფილდი | 3:3, 2:1 |
| 1985-86 | ჩთ | სერვეტი (შვეიცარია) — ლინფილდი | 2:2, 2:1 |
| 1986-87 | ჩთ | რუსენბორგი (ნორვეგია) — ლინფილდი | 1:1, 1:0 |
| 1987-88 | ჩთ | ლილესტრიომი (ნორვეგია) — ლინფილდი | 4:2, 1:1 |
| 1988-89 | უთ | ტურუნ პალოსეურა (ფინეთი) — ლინფილდი | 0:0, 1:1 |
| 1989-90 | ჩთ | დნეპრი (სსრკ) — ლინფილდი | 2:1, 1:0 |
| 1993-94 | ჩთ | ლინფილდი — დინამო (თბილისი) | 1:2, 1:1 |
| | | კოპენჰაგენი — ლინფილდი | 0:3, 4:0 |
| 1994-95 | უთ | ლინფილდი — ჰაფნარფიორდური (ფარერები) | 0:1, 3:1 |
| | | ოდენსე (დანია) — ლინფილდი | 5:0, 1:1 |
| 1995-96 | თთ | შახტიორი (უკრაინა) — ლინფილდი | 4:1, 1:0 |
| 1998-99 | უთ | ომონია (კვიპროსი) — ლინფილდი | 5:1, 3:5 |

### ჩრდ. ირლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გლენტორანი | 36 | 24 | 6 | 6 | 74:35 | 78 |
| ლინფილდი | 36 | 20 | 10 | 6 | 68:39 | 70 |
| კრუზეიდერსი | 36 | 18 | 8 | 10 | 48:39 | 62 |
| ნიური | 36 | 17 | 9 | 10 | 52:46 | 60 |
| გლენავონი | 36 | 13 | 12 | 11 | 49:35 | 51 |
| ბოლიმინა | 36 | 11 | 8 | 17 | 39:42 | 41 |
| კოლრეინი | 36 | 10 | 9 | 17 | 34:53 | 39 |
| პორტდაუნი | 36 | 9 | 10 | 17 | 41:46 | 37 |
| კლიფტონვილი | 36 | 7 | 14 | 15 | 31:47 | 35 |
| ომეგი | 36 | 5 | 6 | 25 | 25:79 | 21 |

### ლინფილდის 1998-99 წლის შედეგები სხვა შინაურ შეჯიბრებში

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ქვეყნის თასი | 6 | 3 | 2 | 1 | 12:4 |
| ლიგის თასი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:5 |
| ოქროს თასი | 7 | 5 | 0 | 2 | 13:8 |

### ლინფილდის სეზონური მაჩვენებლები მთავარ კონკურენტებთან

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გლენტორანთან | 6 | 3 | 2 | 1 | 8:6 |
| კრუზეიდერსთან | 5 | 5 | 0 | 1 | 16:9 |
| ნიურისთან | 5 | 2 | 1 | 2 | 9:7 |

# თბილისის „ლოკომოტივის“ მეტოქე

## ლინფილდი ბელფასტი, ჩრდ. ირლანდია

დაარსდა: 1886 წელს
ჩემპიონი (42): 1891, 92, 93, 95, 98, 1902, 04, 07, 08, 09, 11, 14, 22, 23, 30, 32, 34, 35, 49, 50, 54, 55, 56, 59, 61, 62, 66, 69, 71, 75, 78, 79, 80, 82, 83, 84, 85, 86, 87, 89, 93, 94
თასის მფლობელი (35): 1891, 92, 93, 95, 98, 99, 1902, 04, 12, 13, 15, 16, 19, 22, 23, 30, 31, 34, 36, 39, 42, 45, 46, 48, 50, 53, 60, 62, 63, 70, 78, 80, 82, 94, 95
პრეზიდენტი: უილიამ მაკუბრი; მწვრთნელი: ბრაიან მაკლაფინი
სტადიონი: უინძორ პარკი (28 500)



ნილ აინგლისი (მეკარე)



უილიამ მერფი (მცველი)



ნოელ ბეილი (მცველი)



იან მაკუში (მცველი)



პატ მაკშეინი (მცველი)



გრემ ფილსონი (მცველი)



იან იანგი (ნახევარმცველი)



სტეფენ ბითი (ნახევარმცველი)



ტონი გორმანი (ნახევარმცველი)



დეივი ლემური (თავდამსხმელი)



გლენ ფერგიუსონი (თავდამსხმელი)



კრის მორგანი (თავდამსხმელი)

FIFA
For the Good of the Game

# დიდი ჩვიდმეტი




## კანონი 14
### პენალტი

ადრეც მოგახსენეთ, რომ პენალტი ინიშნება საკუთარ საჯარიმო მოედანში იმ ათი წესის დარღვევისთვის, რომელთა შესაბამისი სასჯელი გახლავთ პირდაპირი თავისუფალი დარტყმა. ბუნებრივია წესის დარღვევის მომენტში თამაში შეწყვეტილი არ უნდა იყოს.

პენალტის დროს ბურთის პირდაპირი დარტყმით კარში გატანა დასაშვებია. პენალტთან დაკავშირებით საგულისხმოა ის წესიც, რომ ის შეიძლება შესრულდეს, როგორც თითოეული ტაიმის, ასევე დამატებითი დროის თითოეული ტაიმის ბოლოს და თუ ამ მომენტში ტაიმებისთვის გამოყოფილი დრო ამოწურულია, პენალტი მაინც შესრულდება.

პენალტის დარტყმის დროს ბურთსა და მოთამაშეებს შესაბამისი მდებარეობა უნდა ეკავოთ. კერძოდ: ბურთი უნდა იდოს თერთმეტმეტრიანის ნიშნულზე, ხოლო ფეხბურთელი, რომელიც დარტყმას აპირებს, წინასწარ უნდა იყოს ცნობილი. ამ დროს, დამცველი გუნდის გოლკიპერი დამრტყმელის პირისპირ, კარის ხაზზე, ძელებს შორის დგას, სანამ ბურთს არ დაურტყამენ.

დარტყმამდე დანარჩენი მოთამაშეები იმყოფებიან საფეხბურთო მოედანზე, საჯარიმო მოედნის გარეთ, პენალტის ნიშნულის უკან სულ მცირე 9,15 მეტრის დაშორებით.

სანამ ყველა მოთამაშე, მეკარის და დამრტყმელის ჩათვლით, წესით განსაზღვრულ პოზიციებს არ დაიკავებს, მსაჯი დარტყმის ნებართვის აღმნიშვნელ ნიშანს (სასტვენით) არ მისცემს.

პენალტის დარტყმის პროცედურა ასეთია: დამრტყმელმა ბურთი წინ უნდა დაარტყას, დარტყმის შემდეგ მას ბურთთან ხელმეორე შეხების ნება არ აქვს, სანამ სხვა მოთამაშე არ მიეკარება, ხოლო ბურთი თამაშში შეტანილად წინ მოძრაობისთანვე ჩაითვლება.

პენალტიდან დარტყმული ბურთი გოლად ჩაითვლება მაშინაც თუ კარის ხაზის გადაკვეთამდე იგი შეეხება ორივე ძელს, ხარიხას და მეკარეს.

პენალტის დარტყმის დროს შეიძლება წესი დაირღვეს. დამრღვევი შესაძლოა იყოს სხვადასხვა ადამიანი. კერძოდ: დამრტყმელი, მეკარე და სხვა.

თუ წესს დამრტყმელი დაარღვევს და მისი დარტყმის მერე ბურთი კარში გავა, პენალტი განმეორდება, ხოლო თუ არ გავა, არ განმეორდება.

თუ წესს მეკარე დაარღვევს და გოლს გაუშვებს, იგი ჩაითვლება, ხოლო თუ არ გაუშვებს, პენალტი განმეორდება.

თუ პენალტის დარტყმამდე, დამრტყმელის რომელიმე თანაგუნდელი საჯარიმოში შევარდება ან 9,15 მეტრიან დისტანციას დაარღვევს და გოლი გავა, პენალტი განმეორდება, ხოლო თუ არ გავა, არ განმეორდება.

თუ პენალტის დარტყმამდე მეკარის რომელიმე თანაგუნდელი საჯარიმოში შევარდება ან 9,15 მეტრიან დისტანციას დაარღვევს, გოლი კი მაინც გავა, ის ჩაითვლება, ხოლო თუ არ გავა, პენალტი განმეორდება.

თუ წესს ორივე გუნდის ფეხბურთელი დაარღვევს, პენალტი განმეორდება.

თუ დარტყმის მერე დამრტყმელი ზედიზედ მეორედ შეეხება ბურთს (გარდა ხელით შეხებისა), წესის დარღვევის ადგილიდან მისი კარის მიმართულებით არაპირდაპირი თავისუფალი დარტყმა დაინიშნება.

თუ დარტყმის მერე დამრტყმელი ზედიზედ მეორედ, ოღონდ ხელით შეეხება ბურთს (განზრახ), წესის დარღვევის ადგილიდან მისი კარის მიმართულებით დაინიშნება პირდაპირი თავისუფალი დარტყმა.

თუ ბურთს გარეშე ობიექტი შეეხება და მოძრაობას დაიწყებს, პენალტს გაიმეორებენ.

თუ ბურთი მოხვდება ორივე ძელს, ხარიხას, მეკარეს და შემდეგ გარეშე ობიექტს, მსაჯი თამაშს შეაჩერებს და სადავო ბურთის ჩაგდებით განაახლებს გარეშე ობიექტისა და ბურთის შეხების ადგილიდან.



კუთხური

## კანონი 15
### აუტი

აუტი თამაშის განახლების ერთ-ერთი მეთოდი გახლავთ. აუტიდან პირდაპირ გატანილი გოლი არ ჩაითვლება. გუნდს აუტის ჩაწოდების უფლება მიეცემა, როდესაც ბურთი მთლიანად გადაკვეთს აუტის ხაზს მეტოქესთან შეხების შემდეგ.

აუტის ჩაწოდების დროს ჩამწოდებელი პირით საფეხბურთო მოედნისკენ უნდა იყოს; ორივე ფეხი მინდორზე უნდა ედოს; უნდა იმყოფებოდეს ხაზს გარეთ; ბურთი ორივე ხელით უნდა ჩააწოდოს; ბურთი ჩაწოდების წინ თავს უკან უნდა გადაიტანოს.

ჩამწოდებელს ბურთთან ზედიზედ მეორედ შეხების უფლება არ აქვს. როგორც კი ბურთი მოედნის საზღვრებს შიგნით შევა, იგი თამაშში შესულად ითვლება.

აუტის ჩაწოდების დროს შეიძლება წესი დაირღვეს. კერძოდ, თუ ბურთის თამაშში შეტანის შემდეგ ჩამწოდებელი ზედიზედ მეორედ (გარდა ხელით შეხებისა) შეეხება ბურთს, მისი კარის მიმართულებით დაინიშნება არაპირდაპირი თავისუფალი დარტყმა წესის დარღვევის ადგილიდან.

თუ ბურთის თამაშში შეტანის შემდეგ ჩამწოდებელი მას ზედიზედ მეორედ, ოღონდ ხელით შეეხება, მისი კარის მიმართულებით დაინიშნება პირდაპირი საჯარიმო დარტყმა წესის დარღვევის ადგილიდან.

თუ დარღვევა საჯარიმოში მოხდება, დაინიშნება პენალტი.

თუ აუტს მეკარე აწვდის და ჩაწოდების მერე ბურთს ზედიზედ მეორედ (გარდა ხელით შეხებისა) შეეხება, მისი კარის მიმართულებით, დარღვევის ადგილიდან დაინიშნება თავისუფალი საჯარიმო დარტყმა.

თუ აუტს მეკარე აწვდის და ჩაწოდების მერე ბურთს ზედიზედ მეორედ, ოღონდ ხელით შეეხება, მისი კარის მიმართულებით დაინიშნება პირდაპირი თავისუფალი დარტყმა დარღვევის ადგილიდან.

თუ იგივე დარღვევა მის საჯარიმოში მოხდება, მისი კარის მიმართულებით დაინიშნება პირდაპირი თავისუფალი დარტყმა დარღვევის ადგილიდან.

თუ ჩამწოდებელს მეტოქე აბნევს ან ხელს უშლის, მას არასპორტული საქციელისთვის ყვითელ ბარათს აჩვენებენ.

სხვა დარღვევისთვის აუტის უფლება მეტოქე გუნდს გადაეცემა.

## კანონი 16
### დარტყმა კარიდან

კარიდან დარტყმა თამაშის განახლების ერთ-ერთი მეთოდი გახლავთ. კარიდან დარტყმით პირდაპირ გოლის გატანა ნებადართულია.

კარიდან დარტყმის უფლებას გუნდს ანიჭებენ, როდესაც ბურთი ჰაერში ან მინდორზე გორებით მთლიანად გადადის კარის ხაზს მიღმა, მას ბოლოს მეტოქე შეეხო და გოლი არ გასულა.

კარიდან დარტყმის პროცედურა ასეთია: ბურთი მეკარის ბაქნის ნებისმიერი წერტილიდან უნდა დაარტყას იმ გუნდის მოთამაშემ, რომელსაც კარიდან დარტყმის უფლება მიანიჭეს. ამ დროს მეტოქე გუნდის ფეხბურთელები საჯარიმოში მოედანს გარეთ უნდა იდგნენ. დამრტყმელი ზედიზედ მეორედ ბურთს არ უნდა მიეკაროს. ბურთი თამაშში შეტანილად ჩაითვლება, როდესაც იგი საჯარიმოში მოედნის გარეთ გაფრინდება.

კარიდან დარტყმის დროს შესაძლოა წესი დაირღვეს. მაგალითად, თუ დარტყმას საჯარიმო მოედნის გარედან შეასრულებენ, იგი განმეორდება.

თუ კარიდან ბურთს მეკარის გარდა ნებისმიერი ფეხბურთელი არტყამს და დარტყმის შემდეგ ზედიზედ მეორედ ეხება მას (გარდა ხელით შეხებისა), მისი კარის მიმართულებით, დარღვევის ადგილიდან დაინიშნება არაპირდაპირი თავისუფალი დარტყმა.

თუ იგი ბურთს ზედიზედ მეორედ, ოღონდ ხელით, შეეხება, მისი კარის მიმართულებით, დარღვევის ადგილიდან დაინიშნება პირდაპირი თავისუფალი დარტყმა.

თუ იგივე დანაშაული საჯარიმოში მოხდება, დაინიშნება პენალტი.

თუ კარიდან ბურთს მეკარე არტყამს და ზედიზედ მეორედ (გარდა ხელით შეხებისა) ეხება მას, მისი კარის მიმართულებით, დარღვევის ადგილიდან, დაინიშნება არაპირდაპირი საჯარიმო დარტყმა.

თუ იგი ბურთს ზედიზედ მეორედ, ოღონდ ხელით, ეხება, — საკუთარი საჯარიმო მოედნის გარეთ — მისი კარის მიმართულებით, დარღვევის ადგილიდან, დაინიშნება პირდაპირი თავისუფალი დარტყმა.

თუ იგივე დანაშაული საჯარიმოში ხდება, დარღვევის ადგილიდან მისი კარის მიმართულებით დაინიშნება არაპირდაპირი თავისუფალი დარტყმა. ნებისმიერი სხვა დარღვევისთვის დარტყმა განმეორდება.

## კანონი 17
### კუთხური

კუთხურის ჩაწოდება თამაშის განახლების ერთ-ერთი მეთოდი გახლავთ. კუთხურიდან პირდაპირი დარტყმით გოლის გატანა ნებადართულია.

კუთხურის ჩაწოდების უფლებას გუნდს ანიჭებენ, როდესაც მეტოქესთან შეხების შემდეგ ბურთი მთლიანად გადადის კარის ხაზს მიღმა, მინდორზე გორაობით ან ჰაერში და ამ დროს გოლი არ გასულა.

კუთხურის ჩაწოდების პროცედურა ასეთია: ბურთი იდება კუთხურის მეოთხედწრეში, რომელიც კუთხის ალამთან არის შემოსაზღვრული. ჩაწოდების დროს ალამი არსად გადაიწიოს. ამ დროს მეტოქე ბურთისგან 9,15 მეტრის მოშორებით უნდა იდგეს. კუთხური შემტევი გუნდის მოთამაშემ უნდა ჩააწოდოს. ბურთი თამაშში შეტანილად ჩაითვლება მისი წინ მოძრაობისთანავე. ჩამწოდებელი ზედიზედ მეორედ აღარ უნდა შეეხოს ბურთს.

კუთხურის ჩაწოდების დროს შეიძლება დაირღვეს წესი. კერძოდ, თუ კუთხურს მეკარის გარდა ნებისმიერი ფეხბურთელი აწოდებს, და ჩაწოდების შემდეგ ბურთს ზედიზედ მეორედ (გარდა ხელით შეხებისა) ეხება, მისი კარის მიმართულებით დაინიშნება არაპირდაპირი თავისუფალი დარტყმა წესის დარღვევის ადგილიდან.

თუ იგი ზედიზედ მეორედ, ოღონდ ხელით ეხება ბურთს, დარღვევის ადგილიდან მისი კარის მიმართულებით დაინიშნება პირდაპირი თავისუფალი დარტყმა.

თუ იგივე დანაშაული საკუთარ საჯარიმოში მოხდება, დაინიშნება პენალტი.

თუ კუთხურს მეკარე აწოდებს და ჩაწოდების მერე ბურთს ზედიზედ მეორედ (ხელით შეხების გარდა) ეხება, მისი კარის მიმართულებით, დარღვევის ადგილიდან, დაინიშნება არაპირდაპირი თავისუფალი დარტყმა.

თუ იგი ზედიზედ მეორედ, ოღონდ ხელით ეხება ბურთს, მისი კარის მიმართულებით, დარღვევის ადგილიდან დაინიშნება პირდაპირი თავისუფალი დარტყმა.

თუ იგივე დანაშაული საკუთარ საჯარიმოში მოხდება, დარღვევის ადგილიდან დაინიშნება არაპირდაპირი თავისუფალი დარტყმა, მისი კარის მიმართულებით.

ნებისმიერი სხვა დარღვევისთვის კუთხურს თავიდან ჩააწოდებენ.

### ბოლოს

17 კანონი ამით ამოიწურება, მაგრამ არსებობს კიდევ რამდენიმე საკითხი, რომელთაც საფეხბურთო ცხოვრების მართვა-მოწესრიგებაში მეტნაკლები როლი აკისრია. მათ შესახებ, მომავალში, ალბათ, უპრიანი იქნება საუბარი, აქ კი უბრალოდ ჩამოვთვალოთ ისინი:

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, როგორ სრულდება მატჩისშემდგომი პენალტების სერია იმ შეჯიბრებებში, სადაც ამა თუ იმ მატჩში აუცილებლად უნდა გამოვლინდეს გამარჯვებული.

არსებობს შედარებით უმნიშვნელო წესებიც. მაგალითად, როგორი უნდა იყოს ეგრეთწოდებული ტექნიკური ზონა, რომელსაც სიცხადისთვის შეგვიძლია სათადარიგოთა სკამის შემოგარენი ვუწოდოთ. აღსანიშნავია მეოთხე მსაჯის ფუნქციაც და ბოლოს, ალბათ, საინტერესო იქნება იმ კომიტეტის მუშაობის პრინციპების გაცნობა, რომელიც ფიფასთან ანუ ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციასთან მოქმედებს და თამაშის კანონებს განაგებს.

**პაპუნა ბედია**



აუტი

სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

## ინტერტოტო. მეორე ეტაპი. I მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3.07 | პერუჯა (იტალია) — პობედა (მაკედონია) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | ცემენტარნიცა (მაკედონია) — როსტსელმაში (რუსეთი) | (7,5-1,05) | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | ბრანი (ნორვეგია) — ვარტექსი (ხორვატია) | (1,7-1,7) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ლოკერენი (ბელგია) — აკრანესი (ისლანდია) | (1,1-5,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | ჟილინა (სლოვაკეთი) — მეცი (საფრანგეთი) | (7,5-1,05) | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | ვენტსპილსი (ლატვია) — ქოჯაელი (თურქეთი) | (7,5-1,05) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | ყარაბაღი (აზერბაიჯანი) — მონპელიე (საფრანგეთი) | (10,0-1,02) | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| | არარატი (სომხეთი) — სტ. ტრუიდენი (ბელგია) | (7,5-1,05) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | ქსამაქსი (შვეიცარია) — ვაშაში (უნგრეთი) | (1,5-2,0) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 4.07 | დუისბურგი (გერმანია) — ნიური (ჩრდ. ირლანდია) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | ბაზელი (შვეიცარია) — ბობი (ჩეხეთი) | (1,7-1,7) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | რუდარი (სლოვენია) — ლუსტენაუ (ავსტრია) | (1,8-1,6) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | კოპენჰაგენი (დანია) — პოლონია (პოლონეთი) | (1,7-1,7) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ჰამარბი (შვედეთი) — გომელი (ბელარუსი) | (1,2-3,5) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | იოკერიტი (ფინეთი) — ფლორიანა (მალტა) | (1,2-3,5) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | ჩაჰლაული (რუმინეთი) — იედინსტვო (ბოსნია) | (1,4-2,3) | 1,5 | 3,4 | 5,6 |

## რუსეთის ჩემპიონატი. XIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.07 | შინიკი — ალანია | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | ზენიტი — კრილია | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | სპარტაკი — დინამო | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | ცსკა — ლოკომოტივი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | როტორი — ჟემჩუჟინა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | ტორპედო — ნ. ნოვგოროდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | ჩერნომორეცი — ურალანი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

## შვედეთის ჩემპიონატი. XIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4.07 | კალმარი — გიოტებორგი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 5.07 | დიურგარდენი — იორებრო | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | ფრიოლუნდა — აიკ | 2,5 | 2,9 | 2,5 |

## ნორვეგიის ჩემპიონატი. XIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.07 | ტრომსო — მოლდე | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 4.07 | ბოდო გლიმტი — ვალერენგა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | კონგსვინგერი — სტრომსგოდსეტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | მოსი — რუსენბორგი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | ოდ გრენლანდი — ვიკინგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | სკეიდი — სტაბეკი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

## კოპა ამერიკა. II ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.07 | ბრაზილია — მექსიკა | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | ჩილე — ვენესუელა | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| 4.07 | ურუგვაი — ეკვადორი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | არგენტინა — კოლუმბია | 1,6 | 3,2 | 5,0 |

## ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი ნახევარფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4.07 | ჩინეთი — ნორვეგია | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| | აშშ — ბრაზილია | 1,25 | 4,4 | 8,0 |

## კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ფინალი — 3.07

*კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით*

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

**თბილისში** — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „იმერიონის“ შენობაში.

**ბათუმში** — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)

**რუსთავში** — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.

**გორში** — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

რაგბი

# ნასწავლი ხალხიც ჩამოგვივიდა

მეთერთმეტე ტური
**ანონსი**

თბილისი. 3 ივლისი
**ყოჩები — აია**
**ლოკომოტივი 2 — უნივერსიტეტი**
თბილისი. 4 ივლისი
**ლოკომოტივი — ზორდა**

**წესით** და რიგით, ეროვნული პირველობის მე-11 ტურში ოთხი მატჩი უნდა გამართულიყო, მაგრამ იმის გამო, რომ „რუსთავი“ გათამაშებიდან მოიხსნა, მხოლოდ სამი შეხვედრა ჩატარდება.

ამ უქმეებზე გასამართი მატჩებიდან ყველაზე დიდ ინტერესს „ლოკომოტივი 1“ — „ზორდას“ დაპირისპირება იწვევს. პირველ წრეში რკინიგზელებმა მშრალად — 30:0 დაამარცხეს მეტოქე, თუმც ვეჭვობთ, ახლაც იგივე განმეორდეს, რადგან იმ მატჩისგან განსხვავებით, „ზორდამ“ აშკარად გააუმჯობესა თამაშის ხარისხი. ამას ისიც ემატება, რომ „ზორდას“ რამდენიმე ლეგიონერი შეემატა — ჯერ ილო ზედგენიძე და დიმა ობოლაძე, კვირას კი მათ შესაძლოა ლევან ცაბაძე და მალხაზ ურჯუკაშვილიც შეუერთდნენ. ლეგიონერები რკინიგზელებსაც ჰყავთ — „იტალიელი“ არჩილ ქავთარაშვილი და „ფრანგი“ ვასილ კაცაძე. ბუნებრივია, ასეთი დონის მობურთალთა მოედანზე ყოფნა კიდევ უფრო გაზრდის მატჩისადმი ინტერესს და რაგბის გულშემატკივრებსაც გვარიანი სეირის ნახვის საშუალება ექნებათ. ეს მატჩი კვირას გაიმართება, წინა დღეს კი კიდევ ორი დაპირისპირება შედგება — „ყოჩები“ „აიას“ უმასპინძლებენ, უმცროსი რკინიგზელები — სტუდენტებს.

ჩემპიონისა და „აიას“ მატჩში ყველაფერი წინასწარვე ცნობილი იყო. [illegible] მართლაც, რომ ქუთაისელები არ არიან ყოჩების მომგებნი. სტუმრებს საქმეს ისიც ურთულებთ, რომ წინა ტურში „აია“ — „ასკ“-ს მატჩში მომხდარი ინციდენტის გამო იმერული გუნდის უფროსმა სოსო დიაკონიძემ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განაცხადა, ეს კაცი კი ამ გუნდისთვის ბევრს ნიშნავს. და კიდევ სტუმრებს წინა ტურის ანტიგმირის — ზაზა კლდიაშვილის გარეშე მოუწევთ თამაში, რომელსაც საშეჯიბრო-ტექნიკურმა კომიტეტმა სამუდამოდ აუკრძალა ბურთაობა.

პირველ წრეში უმცროს რკინიგზელებთან გამარჯვება წლევანდელ გათამაშებაში ჯერჯერობით ერთადერთია სტუდენტებისთვის. დღეს კი მათ მეორე გამარჯვების მოპოვების შანსი ეძლევათ და, ალბათ, არც გაუშვებენ ხელიდან, თუმც კი ლოკომოტიველთა დამარცხება ერთობ გაუჭირდებათ, რადგან ასევე ერთი გამარჯვების მქონე რკინიგზელებს მისი გაორება სტუდენტებზე არანაკლებ სურთ.

**ლაშა თვაური**

# ავტონოკაუტი

## ზაზამ ერთი მოიქნია და... კარიერაც დაასრულა

**მსაჯის** შეურაცხყოფა არავის ეპატიება. ასეა მთელს მსოფლიოში და ასეა ჩვენთანაც. ეს ყველა მოთამაშემ უნდა შეიგნოს, წინააღმდეგ შემთხვევაში...

19 წლის ბიჭს ხეირიანად არც კი დაეწყო ბურთაობა, რომ სამუდამოდ აეკრძალა თამაში. ზაზა კლდიაშვილზეა საუბარი. ეროვნული პირველობის მე-10 ტურში ქუთაისის „აია“ ასკ-ს მასპინძლობდა. შეხვედრის მე-60 წუთი მიმდინარეობდა. არმიელები 0:22 იგებდნენ. მასპინძლებმა თამაშით რომ ვერაფერი გააწყვეს, სტუმართა ძლევა სხვა „ხერხით“, ცემით სცადეს. თუმცა არც ამ ხერხმა გაჭრა. ჩხუბი რაგბისთვის უცხო არ გახლავთ, მაგრამ იმ მიზეზით, რაც ქუთაისელებმა დაასახელეს (თბილისში გვცემეს და ეს იმის პასუხიაო), მეტი რომ არ ვთქვათ, გაუმართლებელია. ჩხუბი ჩხუბად, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამ არეულობაში ფიზიკური შეურაცხყოფა მსაჯსაც მიაყენეს. ხელჩართული ბრძოლის მიწყნარების შემდეგ ნოდარ რობიტაშვილმა, თამაშს ვწყვეტო, ჩაუსტვინა და ... სწორედ ამ დროს მიეპარა მას ზაზა კლდიაშვილი უკნიდან და იმისთანა უთავაზა, არბიტრმა კარგა ხანი წამოდგომაც ვერ შეძლო.

ბუნებრივია, ეს ფაქტი რეაგირების გარეშე არ დარჩებოდა. მეორე დღეს „აიას“ საერთო კრებაზე კლდიაშვილი ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა, თუმცა მთავარი მაინც სპორტულ-ტექნიკური კომიტეტის გადაწყვეტილება იყო. კომიტეტის წევრები ორი დღის წინ შეიკრიბნენ და კლდიაშვილს სამუდამოდ აუკრძალეს თამაში. ასე, ერთმა გაუმართლებელმა მოქმედებამ შესაძლოა მოთამაშის კარიერა თავდაყირა დააყენოს. ქუთაისელებს იმ მატჩში, რა თქმა უნდა, წაგება ჩაუთვალეს და ერთი ქულაც ჩამოაკლეს, თუმცა ესეც არ აკმარეს და საკუთარ სარბიელზე შემდგომი სამი საშინაო მატჩის ჩატარება აუკრძალეს.

**ბაჩო სვანიძე**

# ითამაშეთ, თორემ არ გათამაშებთ

**ქუთაისის** „აიას“ მსგავსად, წაგება ჩაეთვალა და ერთი ქულა ჩამოაკლდა „ლოკომოტივი 2“-ს, რომელიც წინა ტურში „დათვებთან“ საპაექროდ არ გამოცხადდა. ეს პირველი შემთხვევაა, როცა უმცროსი რკინიგზელები მინდორზე სათამაშოდ არ გავიდნენ და, რაგბის კავშირის ხელმძღვანელობის განცხადებით, თუ მსგავსი განმეორდება, გუნდი გათამაშებიდან მოიხსნება. რკინიგზელები ბათუმში კვირას უნდა ჩასულიყვნენ, მაგრამ უსახსრობის გამო მოგზაურობა ორი დღით გადადეს. წინააღმდეგნი არც ბათუმელები ყოფილან, თუმცა მერე ისე მოხდა, რომ „ლოკომოტივი 2“ ვერც სამშაბათს ეწვია ზღვისპირეთს.

კიდევ ერთი შეხვედრა, რომელიც მე-10 ტურში არ გაიმართა, „ყოჩები“ — „რუსთავის“ მატჩი იყო. მიზეზი აქაც სტუმართა გამოუცხადებლობა იყო. თუმცა ამჯერად მატჩის ჩაშლას უფრო სავალალო შედეგი მოჰყვა. საქმე ისაა, რომ რუსთაველთა გუნდმა წლევანდელ ჩემპიონატში უკვე მეორედ ჩაშალა მატჩი. პირველად „რუსთავი“ „ზორდასთან“ დასაპირისპირებლად არ გამოცხადდა. მაშინ რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ კლუბის მესვეურები გააფრთხილა, კიდევ ერთი ასეთი ფაქტი და გათამაშებიდან მოგხსნითო. ბუნებრივია, საქმის ასე დასრულება არავის სურდა, არც რაგბის კავშირს, არც კლუბს და არც გულშემატკივარს, მაგრამ ჩვენმა შეჭირვებულმა ყოფამ გუნდი მაინც შეიწირა. სწორედ უსახსრობის გამო იყო, „რუსთავი“ „ზორდას“ რომ ვერ ესტუმრა პირველ წრეში, უსახსრობისვე გამო იყო, რუსთაველები ჩემპიონს რომ ვერ დაუპირისპირდნენ. ასეა თუ ისე, რაგბის კავშირის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, „რუსთავი“ გათამაშებიდან მაინც მოიხსნა, რადგან „ყოჩებთან“ გამოუცხადებლობას ვინღა დაეძებდა (ბოლო-ბოლო, შეჭირვებულის ერთხელაც პატიება შეიძლებოდა), როცა ამ გუნდის მონაწილეობით ყოველი მატჩის გამართვა საეჭვო შეიქნა. ასე რომ, ეროვნულ ჩემპიონატს რვა გუნდი შერჩა. არადა, პირველობაში მონაწილეობის სურვილი მის დაწყებამდე ათმა გუნდმა გამოთქვა. მაშინ პირველობიდან მოკვეთეს „დინამო“, რომელმაც ალკაზმულობის პრობლემა ვერ მოაგვარა, ახლაა და „რუსთავი“ თამაშზე ვერ ჩავიდა. ვფიქრობთ, კავშირის ხელმძღვანელობამ ფეხბურთის ფედერაციას უნდა მიბაძოს და პირველობის დაწყებამდე გუნდებს გარანტიის სახით ანგარიშზე თანხის არსებობა მოსთხოვოს, იმდენის მაინც, მგზავრობის პრობლემებს რომ მოუხსნის გუნდებს.

**პაატა თოთაძე**

სუმო

# «შენ დაუკა»-დან სუმომდე

ესეც ასე: საქართველოში სუმოც შემოვიდა. გუშინ დილმის საჭიდაო სკოლაში საქართველოს პირველი ღია ჩემპიონატი გაიმართა.

სუმო ჩვენთვის უცხო ხილია. უცხოს კი ყოველთვის ინტერესით ვეტანებით. გულახდილად გეტყვით — სუმო მაინცდამაინც არ მეგემრიელა. აზარტული კია, მაგრამ სანახაობრივად — დიდი ვერაფერი. თუმცა, ბუნებრივია, ქართველთა პირველი ნაბიჯები ჯერ დასახვეწია ხალიჩაზეც და მის გარეთაც. ამ ჩემპიონატში იაპონელთაგან სამი სუმისტი მონაწილეობდა. ისინი 21-22 წლის სტუდენტები არიან და არც დასაკვეხნი მოეძევებათ.

იაპონელები მხოლოდ აბსოლუტურსა და გუნდურ პირველობებში გამოვიდნენ. მანამდე კი 85-ში კობა ავსაჯანიშვილი, 115-ში გოჩა ქობალია და +115-ში ლევან ებანოიძე გაჩემპიონდნენ.

ამის შემდეგ აბსოლუტური პირველობა გაიმართა. ის იაპონურ-ქართული შეხვედრით დაიწყო და რიოჯი კებამ უფრო ტექნიკით მოიგო. არც არის გასაკვირი, რომ იაპონელები ჩვენებზე მოხერხებულად მოქმედებდნენ, ქართველი გოლიათები კი სიმძიმის ხარჯზე ცდილობდნენ ფონს გასვლას. საბოლოოდ ძალამ მაინც დაჯნა ალმართი და ჩემპიონობა 140-კილოიანმა ლევან ებანოიძემ მოიპოვა. ფინალში მან პირანო მასატო დაამარცხა. მესამეზე ჯონდო დაბრუნდაშვილი გავიდა. გუნდურ პირველობაში ჩვენმა პირველმა ნაკრებმა (დაბრუნდაშვილი, ებანოიძე, ლევან ალთუნაშვილი) იმარჯვა. მათ იაპონელებსაც და ჩვენს მეორე ნაკრებსაც მშრალად მოუგეს.

**ირაკლი თავაძე**



ქართველებმა იაპონურად ჩაიმუხლეს

# პიტის ბედნიერი ვარსკვლავი

## ქალებს ცდა მოუწევთ

ქალების ფინალი უიმბლდონური ტრადიციით შაბათობით იმართება, მაგრამ წლეულს ტურნირის მეორე კვირის მანძილზე ცუდი ამინდებით გაწამებულ ორგანიზატორებს მისი ერთი დღით დაყოვნების მეტი არაფერი დარჩენოდათ.

პირველი ხუთი დღის მანძილზე „ოლ ინგლენდ კლაბში" წვეთიც არ ჩამოვარდნილა, მაგრამ შეუჩერებელი წვიმების გამო გუშინ ტურნირი 150 მატჩით ჩამორჩებოდა გრაფიკს.

სწორედ ამიტომ ერთეულებში კაცების და ქალების ფინალი კვირას დაინიშნა, თუმცა მათი დროულად ჩატარების გარანტია მაინც არ არსებობს: მზიანი პარასკევის შემდეგ დამდეგ უქმეებზე სინოპტიკოსები ისევ წარღვნას წინასწარმეტყველებენ.

თუ ბრიტანელი „მეამინდეები" ჩვენებზე უკეთ მუშაობენ, გამორიცხული არაა, 1992 წლის შემდეგ პირველად ტურნირმა მესამე ორშაბათამდე ან სულ მთლად კატასტროფის შემთხვევაში, სამშაბათამდეც კი გასტანოს.

## „სკადს" მუხლმა უმტყუნა

თუ პიტ სამპრასი წლეულს მეექვსედაც გააყოლებს ხელს უიმბლდონის მთავარ ჯილდოს, ამაში საკუთარ თამაშზე მეტად მარკ ფილიპუსისის მყიფე მუხლებს უნდა უმადლოდეს.

მატჩის დასაწყისიდან მის მოულოდნელ შეწყვეტამდე „სკადი" აშკარად ჩაგრავდა მსოფლიოს პირველ ჩოგანს, მოწოდებაზეც და მიღებაზეც გაცილებით უკეთ ირჯებოდა.

ბალახი სამპრასის სტიქიაა — „პისტოლ პიტი" მასზე ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში, მაგრამ დაუსრულებელი წვიმების გამო ბოლო ერთ კვირაში მას ერთადერთხელ მოუხდა კორტზე გამოსვლა და კარგა ხნის მანძილზე აშლილი გიტარასავით ირჯებოდა.

მატჩი ამერიკელმა სამი ორმაგი შეცდომით დაიწყო, მოწოდება დაკარგა, მერე სამმაგი ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა და პირველმა ხელმაც თვალის დახამხამებაში ჩაირბინა — 6:4 ფილიპუსისის სასარგებლოდ.

ზორბა ავსტრალიელმა მეორე სეტიც რიხიანად დაიწყო, სამპრასს ლამის მორიგი ბრეიკი აართვა და სწორედ მაშინ, როდესაც ჰაერში სენსაციის სუნი დატრიალდა, კატასტროფაც მოხდა.

საქმე კი ასე იყო: ბადესთან გასულმა ამერიკელმა სმეში უხეიროდ დაარტყა, ოზმა ძალიან მოიწადინა ბურთს მისწვდომოდა, უხერხული მოძრაობა გააკეთა და მარცხენა მუხლმაც, მისივე თქმით, „დაიწკაპუნა".

„სკადმა" გეიმის დასრულებისთანავე სამედიცინო დახმარება ითხოვა. ექიმმა მისი ფეხი კარგა ხანი ატრიალა წალმაუკუღმა, მაგრამ საქმეს ვერც აბების ყლაპვამ უშველა და ვერც დაზელვამ. განკუთვნილი დროის გასვლის შემდეგ მარკმა ტრაგიკული გამომეტყველებით ჩამოართვა ხელი მეტოქეს და თავდახრილმა დატოვა კორტი 6:4, 1:2-ზე.

„ძალიან იმედგაცრუებული ვარ, ვგრძნობდი, რომ გამარჯვება შემეძლო. ადრე მუხლი არასოდეს მტკივებია და არც მატჩის გაგრძელებაზე მითქვამს უარი. ახლა მთავარი ის არის, რომ ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდეს" — განაცხადა „სკადმა" საავადმყოფოში გამგზავრების წინ.

მაინცდამაინც კმაყოფილი არც სამპრასი გამოიყურებოდა: „უცნაური დღე იყო, არ შემიძლია ვთქვა, რომ დამსახურებულად გავედი ნახევარფინალში, იგი მე აშკარად მჯაბნიდა. უბრალოდ ძალიან გამიმართლა, რომ ახლა ჩემოდნების ჩასალაგებლად არ მივიჩქარი".

შარშანდელი ნახევარფინალის მსგავსად, პიტს ახლაც ტიმ ჰენმანთან, თავის მეწყვილესთან და გოლფში მჩაგვრელთან მოუხდება შერკინება.

სრულიად ინგლისის კერპმა 1997 წლის ფინალისტი სედრიკ პიოლინი დაამარცხა 6:4, 6:2, 4:6, 6:3. ფრანგმა მტრულად განწყობილი პუბლიკა ცოტათი კი გაამხიარულა, როდესაც საიდანღაც მოღრიალე მუსიკას ხელ-ფეხიააყოლა, მაგრამ კარგ ხასიათს 17 ორმაგი შეცდომაც დაურთო.

**მეოთხედფინალი. კაცები: ანდრე აგასი (4, აშშ) — გუსტავო კუერტენი (11, ბრაზილია) 6:3, 6:4, 6:4; პატრიკ რაფტერი (2, ავსტრალია) — ტოდ მარტინი (8, აშშ) 6:3, 6:7 (5:7), 7:6 (7:5), 7:6 (7:3).**

*აგასისა და რაფტერის ნახევარფინალის გამარჯვებული ორშაბათიდან პირველი ჩოგანი გახდება.*



REUTERS

მარკ ფილიპუსისის ამ ტრავმას უმადლოდეს პიტ სამპრასი

| შტეფი გრაფი — ვინუს უილიამსი 6:2, 3:6, 6:4 | | |
|---|---|---|
| გრაფი | | უილიამსი |
| 73 | I მოწოდების % | 59 |
| 2 | ეისები | 4 |
| 3 | ორმაგი შეცდომები | 2 |
| 49 | უნებლიე შეცდომები | 67 |
| 45-71-დან — 63% | I მოწოდებაზე მოგებული ქულები | 32-48-დან — 67% |
| 16-26-დან — 62% | II მოწოდებაზე მოგებული ქულები | 16-34-დან — 47% |
| 20 | სუფთად მოგებული ქულები | 27 |
| 4-6-დან | ბრეიკ-პოინტების გამოყენება | 3-15-დან |
| 7-10-დან | ბადესთან მოგებული ქულები | 26-39-დან |
| 95 | სულ მოგებული ქულები | 84 |
| 172 კმ/სთ | ყველაზე სწრაფი მოწოდება | 193 კმ/სთ |

## ღლაპები და ვეტერანები

თუ ხუთშაბათს ნახევარფინალის საგზურები ძველმა კავალერიამ — ლინდსი დევენპორტმა და შტეფი გრაფმა დაიბევეს, პარასკევი ახალ თაობას ეკუთვნოდა.

ელენა დოკიჩსა და ალექსანდრა სტივენსონს შორის გამარჯვებული ისტორიაში იბევებდა ადგილს: ერთიც და მეორეც ტურნირზე კვალიფიკაციის გავლით იყვნენ მოხვედრილი, დიაცთა შორის კი ასეთს ნახევარფინალში გასვლა აქამდე არასდროს მოეხერხებინა.

წვიმის გამო წინა დღით შეწყვეტილი მატჩი გუშინ იმ დროს განახლდა, როდესაც 6:3, 1:5 იყო სტივენსონის სასარგებლოდ. 16 წლის ავსტრალიელმა სეტებში ანგარიში სწრაფადვე გაათანაბრა, თუმცა დაუდგენელი მამისა და ჟურნალისტი დედის იმედმა თეთრი ბაირაღები არ გამოკიდა და ისტორიული ორთაბრძოლა 6:3, 1:6, 6:3 მოიგო.

თუ სტივენსონმა მატჩის შემდეგ ოთხივე ტრიბუნის წინ რევერანსებში გაივარჯიშა და ავტოგრაფებიც ბლომად არიგა, დოკიჩი გასახდელში უკანმოუხედავად გავარდა.

18 წლის მულატ ამერიკელს რამდენიმე წუთში 17 წლის ხორვატი მირიანა ლუჩიჩიც ამოუდგა გვერდში.

ლუჩიჩი გადამწყვეტ ხელში შარშანდელ ფინალისტ ნატალი ტოზიასთან 3:5-ს აგებდა, მაგრამ ჩვეული მძლავრი დარტყმებით [illegible] მი და მასთან მატჩიც 4:6, 6:4, 7:5 მოიგო და ნახევარფინალში გრაფთან შეჭიდების უფლება მოიპოვა.

„ეს ჩემი კარიერის უდიდესი გამარჯვება იყო. მოუთმენლად ველი ხვალინდელ მატჩს, შევეცდები, შტეფის არაფერი დავუთმო" — განაცხადა კიკინიანმა ხორვატმა.

ბოლოს კი, არ შეიძლება, გრაფისა და ვინუს უილიამსის ტურნირის უდავოდ საუკეთესო შეხვედრაც არ გავიხსენოთ.

მატჩის ხასიათი ისევე სწრაფად იცვლებოდა, როგორც ლონდონის ხუშტურიანი ამინდი ხუთშაბათ საღამოს. წვიმით გამოწვეულ შესვენებებს შორის ხან ერთი ჩოგბურთელი გადიოდა წინ, ხან — მეორე, თუმცა მძიმეწონოსანთა დარტყმებს ძალა არასოდეს აკლდა.

ნოკაუტი საბოლოოდ მაინც ჩოგბურთის გამოცდილმა დედოფალმა, შტეფი გრაფმა მიითვალა, 6:2, 3:6, 6:4 იმარჯვა და თავისი მერვე უიმბლდონური ტიტულისკენ დიდი ნაბიჯიც გადადგა.

„იშვიათად ხდება, რომ მეოთხედფინალში ამ დონეზე თამაშმა მოგიწიოს, ეს განსაცვიფრებელი მატჩი იყო. ადრეც მითქვამს, რომ ვინუსი პირველი ჩოგანი გახდება, მას ამისთვის ყველაფერი გააჩნია" — გახარებულმა შტეფიმ მეტოქეს ტკბილი სიტყვები არ დაამადლა. რატომაც არა?

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS

მირიანა ლუჩიჩი

## სხვადასხვა

**მარკ ფილიპუსისის** მწვრთნელი, უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონი პატ კეში თურმე უფასო ლუდითა და ბილეთებით აპირებს თავისი შეგირდისთვის ხმაურიან მხარდამჭერთა შოვნას.

„ჩემი არ იყოს, ჩოგბურთი მარკსაც ძალიან ემოციურ სპორტად მიაჩნია. ვფიქრობ, დროა ერლს კორტზე (ავსტრალიელებით დასახლებული ლონდონის უბანი) წავიდე და ლუდითა და ბილეთებით ოზები დავპატიჟო".

თუმცა მარკ ფილიპუსისს ქომაგები შინაც ჰქოფნის — ამჟამად მასთან მთელი ჯალაბობა-სამეგობრო შეყრილა.

„სამწუხაროდ, დედაჩემმა ჩამოსვლა ვერ შეძლო, მაგრამ მამაჩემი და ჩემი და, ისევე, როგორც რამდენიმე მეგობარი, აქ არიან, ჩემს გარდა შვიდი კაცი. სახლი უიმბლდონთან ახლოს ვიქირავეთ, ერთი დივანზე წევს, ერთი იატაკზე, ორ-ორი სხვა ოთახებში. მთელი დღე ტელევიზორს ვუყურებთ. თუ წვიმამ გადაიღო, მანქანაში ვეტენებით და უიმბლდონისკენ მივიჩქარით".

* * *

**ორშაბათს** „ოლ ინგლენდ კლაბის" კარიბჭის გაღებისთანავე ერთ-ერთ თანამშრომელს ქალი მიუახლოვდა და შესჩივლა, ქმარი დამეკარგაო. ცნობათა ბიუროს გზის დაწვრილებით ახსნის შემდეგ „შეწუხებული" მეუღლე სულ სხვა მხარეს გაემართა. პენი ობრაიენი ქალს დაედევნა და გზა ერთხელაც მიასწავლა, მაგრამ მადლობასთან ერთად მოულოდნელი პასუხი მიიღო: „იცით, არ ვიჩქარებ მის მოძებნას. სიმართლე გითხრათ, მაინცდამაინც არც მომწონს".

* * *

**უიმბლდონის** პირველი ერთეულების ჩემპიონ სპენსერ გორის აზრით ჩოგბურთი ზედმეტად მოსაწყენი იყო იმისთვის, რომ პოპულარული გამხდარიყო.

პირველ უიმბლდონს სულ 200 კაცი დაესწრო და ტურნირი ორი დღითაც გადაიდო, რომ ქომაგებს გაცილებით მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენის — იტონისა და ჰეროუს სკოლებს შორის კრიკეტში შეჯიბრის ნახვის შესაძლებლობა ჰქონოდათ.

ასე რომ, გორმა განაცხადა: „საეჭვოა, რომ ნებისმიერი, ვისაც კრიკეტი ან მაგიდის ჩოგბურთი უთამაშია, ჩოგბურთს სერიოზულად მიუდგეს. ამ სპორტის მონოტონურობა მასში დაოსტატების სურვილს ყველას ჩაუკლავს".

* * *

**თუ** გგონიათ, რომ მარტინა ჰინგისი ამჟამად შავებში გამოწყობილი უიმბლდონის პირველ წრეში წაგებასა და დედასთან წაჩხუბებას გლოვობს, მწარედ ცდებით.

ინგლისურმა გაზეთმა „დეილი მეილმა" სათაურით „ვის სჭირდება ჩოგბურთი?" პირველ გვერდზე 18 წლის შვეიცარიელის დიდი სურათები მოათავსა, რომლებზეც მარტინა კვიპროსის პლაჟზე თავის მორიგ გულის მურაზთან ერთად ნებივრობს.

„სანამ მეტოქეები „ოლ ინგლენდ კლაბის" სველ კორტებზე იტანჯებიან, მარტინა ჰინგისი შესანიშნავ დროს ატარებს ბოიფრენდთან, თანამემამულე ჩოგბურთელ ივო ჰოიბერგერთან ერთად" — ასეთი გახლდათ სურათებზე მინაწერი.



ივო ჰოიბერგერი

„კარგი იქნებოდა, აქ მეტხანს დარჩენის შესაძლებლობა მქონდეს, კარგად რომ გავირუჯო, მაგრამ მალე ციურიხში უნდა დავბრუნდეთ, მერე კი ფლორიდაში მივემგზავრები, სადაც გართობისთვის დრო აღარ მექნება, ბევრი უნდა ვივარჯიშო" — განუცხადებია მსოფლიოს პირველ ჩოგანს.

აქვე ჰინგისის ბოიფრენდად გახდომის ფორმულასაც შემაგთავაზებთ: მთავარია, იყოთ მაღალი, შავგრემანი, ჩოგბურთელი და თანაც არცთუ წარმატებული.

სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნება მარტინას ყველა წინა ცხოვრების თანამგზავრი — ჯასტინ გიმელსტობი, ხულიან ალონსო და ახლა ჰოიბერგერიც, რომელიც კლასიფიკაციით 149-ეა და ზემოხსენებულთაგან ყველაზე დაბალი — სულ რაღაც 1,88 მეტრი. არ გირჩევთ თმების ყვითლად გადაღებვას, სწორედ ამისთვის დაკარგა თავისი ადგილი ესპანელმა ალონსომ.

* * *

**უეინ ფერერა** ერთ საღამოს ძალიან განაწყენდა ღვინის ბარ „ვოლიზში" (ქართულად ბადესთან დარტყმულ ბურთს ნიშნავს). მიზეზი? სამხრეთაფრიკელი ჩოგბურთელი თურმე ვერავინ იცნო.

ფერერა სპორტის სუპერვარსკვლავებს არასოდეს განეკუთვნებოდა, ვერც დიდი სლემის ტურნირებზე გამარჯვებით დაიკვეხნის და ვერც მშვენიერი სქესის ქომაგთა ლეგიონებით, მაგრამ ბარში მაინც დამნაშავედ გრძნობენ თავს.

„ჩვენ ის აუცილებლად უნდა გვეცნო — აღიარა ერთ-ერთმა მიმტანმა — კედლებზე ხომ მისი ორმეტრიანი პლაკატები გვაქვს გაკრული".

* * *

**ყველამ,** ვისაც რომელიმე სპორტის ვარსკვლავის ნებადაურთველი ბიოგრაფიის ავტორობის სურვილი გაუჩნდება, სიუ ჰედის მწარე გაკვეთილი უნდა გაითვალისწინოს, რომელმაც რამდენიმე წლის წინ „შტეფი: საზოგადო ძალა, პირადი ტკივილი" დაწერა.

წიგნი 1995-ში გამოვიდა და მართლაც უმძიმესი შრომის შედეგი გახლდათ: ჰედის წიგნის მთავარ გმირ შტეფი გრაფთან შეხვედრაში ყველანაირად უშლიდნენ ხელს და მისი მონაწილეობით ტურნირებზე აკრედიტაციასაც კი არ აძლევდნენ.

„მინდოდა, შტეფის თამაში ციურიხში მენახა, მაგრამ საშვი არ მომცეს. WTA-ში დავიჩივლე, მაგრამ ეს მათი მოწყობილი გამოდგა. მერე უეცრად მითხრეს, კი, ბატონო, შეგიძლია, შეხვიდეო. მაგრამ იმისი თქმა დაავიწყდათ, რომ აკრედიტაციას იმიტომ მაძლევდნენ, შტეფის ტურნირზე ჩამოსვლაზე უარი უთქვამს".

თუმცა ერთი წყაროდან სიუმ მაინც მიიღო გარკვეული დახმარება: „მის ერთ-ერთ მასწავლებელს დავურეკე და ვკითხე, მართლა თუ ასწავლიდა შტეფის. მტკიცედ მიპასუხა, არაო. ბოდიში მოვუხადე, მითხრეს, მისი ყოფილი მასწავლებელი იყავითო-მეთქი. დიახ, ვიყავი, მაგრამ მისთვის არაფერი მისწავლებია, რადგან გოგო სკოლაში არასოდეს დადიოდაო, მითხრა".

„ვირჯინის" მიერ გამოქვეყნებული წიგნი ინგლისში 8000 ეგზემპლარად გაიყიდა და ავტორისთვის მილიონები არ მოუტანია, თუმცა გრაფის მიერ როლან გაროსის მოგების შემდეგ მისი პოპულარობა „მნიშვნელოვნად" გაიზარდა: „ინტერნეტში წიგნებს ვათვალიერებდი და აღმოვაჩინე, რომ ივნისში კიდევ ორი გაყიდულა"!

# დღეს ტურ დე ფრანსი

დღეს ველომრბოლთა უმთავრესი ტურნირი „ტურ დე ფრანსი“ იწყება. შარშან აქ დატრიალებული დოპინგ-სკანდალი დღემდე არ ჩამცხრალა. წლევანდელი შეჯიბრების ჩატარება დიდხანს საეჭვოც იყო, მაგრამ საბოლოოდ ორგანიზატორებმა მაინც მოაბეს თავი საქმეს და 180 ველოსიპედისტიც დღეს ნაშუადღევს გაუდგება საფრანგეთის გზებს. „ტურმა“, მართალია, მთავარი ფავორიტები მოისაკლისა, თუნდაც გერმანელი იან ულრიხი და იტალიელი მარკო პანტანი, მაგრამ მისი მოგება იმდენად პრესტიჟულია, ნებისმიერი მონაწილე არც მეტოქეს დაზოგავს, არც თავს. ვინც ერთი დღით მაინც ჩაიცმევს ლიდერის ყვითელ მაისურას, ის ბედნიერი იქნება, ის კი, ვინც საბოლოოდ გაიმარჯვებს — უბედნიერესი! ჩემპიონი კი წლეულს ახალი ეყოლება „ტურ დე ფრანსს“, რადგან ძველთაგან არავინ დაიცავს ტიტულს...



ალექს ცულე, ბობი ჯულიჩი და როლანდ მეიერი სამედიცინო შემოწმებისას

# დიდი მარყუჟის ბიჭები

ისინი აქ ყოველ წელს ჩამოდიან, მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ყველაზე სწრაფები, ჯანმრთელები და გამძლეები. ფერად-ფერადი სამოსით და ველოსიპედებით. თვალისმომჭრელი სიჭრელე სადღესასწაულო ატმოსფეროს ქმნის. ატმოსფერო ნამდვილად სადღესასწაულოა. თუმცაღა მთელი ეს სიჭრელე და ფერადოვნება სულაც არ შეეფერება იმ ყოველდღიურ მძიმე, ხან მოსაწყენ, ხან აუტანელ, ხანაც ადამიანისთვის წარმოუდგენელ გაუსაძლის დაძაბულობას.

ისინი აქ, ოთხიათასკილომეტრიანი წრის სტარტზე ჩანან ასე გამოწკეპილ-გაკრიალებულნი, თორემ მერე და მერე ივლისის სიცხისგან გათანგულ ველებზე გაწოლილ ალმურმოდებულ ასფალტზე უნდა ნახოთ ოფლით გაჟღენთილი მაისურებითა და მოშლილი სახეებით; თუ გარისკავთ და პირინეის ან ალპების რომელიმე თოვლიან უღელტეხილზე აფორთხდებით, აუცილებლად ნახავთ, გაცრეცილი ფერადი კინოკადრებივით როგორ ჩაივლიან ათასობით თქვენსავით გადარეული ქომაგის თვალწინ ოცკილომეტრიანი აღმართით ქანცგაწყვეტილი ნაცრისფერი გზის რაინდები, თვალნათლივ დაინახავთ ველოსიპედებს ადევნებულ გაშიშვლებულ ფანებს, წყლით სავსე ბოთლებითა და მათარებით შეიარაღებულ გულშემატკივრებს, ძარღვებად და ნერვებადქცეულ ამერიკელ ჯულიჩს, შვეიცარელ დიუფოს, ესპანელ ოლანოს, იტალიელებს, ფრანგებს, დანიელებს... აუცილებლად ნახავთ და გაიკვირვებთ კიდეც, როგორ იფენენ უბეში გაზეთებს თანამედროვე სპორტსმენები. აი გათავდა აღმართიც, გული თანდათან უბრუნდება საგულეს, მაგრამ ახლა სხვა ხიფათი ელით — დიდი სიჩქარე, მკვეთრი მოსახვევები, ცივი ჰაერის ნაკადი და გაციების საშიშროება.

დაახლოებით ასეთია ტურ დე ფრანსის ერთი დღის ერთი ეპიზოდი. უფრო ზუსტად, რამდენიმე კადრი. ტური კი 22 დღე გრძელდება. ოცდაორი დღე და ოთხიათასი კილომეტრი. ის, ვინც ყველაზე ნაკლებ დროს მოანდომებს ამ ილაჯგამწყვეტი გზის გავლას, ჩემპიონად ცხადდება. ტურის ჩემპიონობა დიდი სახელი და პატივია, სამუდამო სახელი.

ამიტომაც არ ზოგავენ თავს მსოფლიოს ყველა კუთხიდან შეყრილი ყველაზე სწრაფები, ჯანმრთელები და ყველაზე გამძლენი, ამიტომაც შეარქვეს იმათ, ვინც რეალურად იბრძვის ჩემპიონობისთვის

## ნამდვილი ბიჭები

ისინი ერთხანს ჩრდილში არიან, დაახლოებით მანამდე, სანამ არ დაიწყება ინდივიდუალურ რბოლაში დროსთან ჭიდილი, სანამ ორასკაციანი პელოტონი არ მიადგება პირველ ნამდვილ აღმართს. აი აქ კი შედარებით სუსტნი მორჩილად უთმობენ გზას იმათ, ვისთვისაც აღმართი სტიქიაა.

**ბობი ჯულიჩი.** „კოფიდისი“, 27 წლის, საკმაოდ ძლიერია ინდივიდუალურ რბოლაშიც. 1993 წლიდან პროფესიონალებშია. შარშან ტურ დე ფრანსზე მარკო პანტანისა და იან ულრიხის შემდეგ მესამე იყო. გამარჯვების ერთ-ერთი რეალური კანდიდატი.

**ალექს ცულე.** შვეიცარიელი. წლეულს მიიწვიეს ესპანურ „ბანესტოში“. 31 წლის. მოგებული აქვს „ვუელტა“, სამი წლის წინათ მესამე იყო ტურ დე ფრანსზე. ცოტა არ იყოს, უიღბლო სპორტსმენია. სუსტი მხედველობის გამო ხშირად ხვდება საავარიო სიტუაციებში. აკლია სტაბილურობა. თავის საუკეთესო ფორმაში ალბათ ყველაზე რეალური პრეტენდენტი იქნება.

**პაველ ტონკოვი.** „მაპეი“. 30 წლის. 1996 წლის ჯიროს ჩემპიონი. 1998 წელს მეორე იყო პანტანის შემდეგ. თუ მუხლის ტრავმამ არ შეუშალა ხელი, ყველასთვის №1 მეტოქეა.

**კრისტოფ რინერო.** ფრანგი. „კოფიდისი“. 25 წლის. მშვენივრად დადის მთებში. გამოკვეთილი სუსტი ადგილი არა აქვს. ეს არის, თანაგუნდელ ჯულიჩის ასისტირება მოუწევს, ამიტომაც მისი შანსები ერთობ მოკრძალებულია.

**ივან გოტი.** იტალია. „პოლტი“. 30 წლის. ორჯერ მოიგო ჯირო. უკანასკნელად ამ თვენახევრის წინ (ბოლოსწინა ეტაპზე პანტანის რბოლიდან მოხსნის წყალობით). საეჭვოა, რომ ჯიროს შემდეგ ასეთივე წარმატებით გაიაროს ტურიც. პირველ ხუთეულში კი ასახელებენ, მაგრამ, სავარაუდოა, რომ ათეულს მიღმა დარჩება.

**აბრაამ ოლანო.** ესპანეთი. „ონსე“. 29 წლის. ამ ველოსიპედისტზე ერთობ დიდ იმედებს ამყარებდნენ, ინდურაინის მემკვიდრედაც კი მონათლეს ესპანეთში, მაგრამ... ვუელტას მოგების გარდა (ისიც რის ვაივაგლახით) ვერაფერი მოახერხა.

**მიკაელ ბოოგერდი.** ჰოლანდია. „რაბობანკი“. 27 წლის. შარშან მეხუთე იყო ტურზე. მოგებული აქვს ორი საშუალო სიძნელის რბოლა.

**ლორან დიუფო.** შვეიცარია. „საეკო“. 29 წლის. ერთ-ერთი ყველაზე ძველი „გრეგარი“, კაცი, რომელიც გუნდის ლიდერის გამარჯვებას ემსახურება. საეკოში ახლა ორი კარგი ახალგაზრდა ბიჭია — ფრიგო და სავოლდელი. თუ გუნდის ხელმძღვანელობა ლიდერად დიუფოს დასახავს, მაშინ ამ ორი პერსპექტიული იტალიელის სახით შვეიცარიელს მშვენიერი დამხმარე ძალა ეყოლება და მისი შანსებიც ერთი-ორად გაიზრდება.

### ტურის კალენდარი

| | | |
|---|---|---|
| 3 ივლისი | პროლოგი | პიუ დე ფუ, 6,8 კმ |
| 4 ივლისი | I ეტაპი | მონტეგი — შალანი, 209 კმ |
| 5 ივლისი | II ეტაპი | შალანი — სენ-ნაზელი, 202 კმ |
| 6 ივლისი | III ეტაპი | ნანტი — ლაკალი, 194 კმ |
| 7 ივლისი | IV ეტაპი | დავალი — ბლუა, 191 კმ |
| 8 ივლისი | V ეტაპი | ბონევალი — ამიენი, 228 კმ |
| 9 ივლისი | VI ეტაპი | ამიენი — მობეჟი, 169 კმ |
| 10 ივლისი | VII ეტაპი | ავესნ-სურ-ელპი — ტიონვილი, 223 კმ |
| 11 ივლისი | VIII ეტაპი | მეცი, ინდივიდუალური რბოლა, 56 კმ |
| 12 ივლისი | დასვენების დღე | |
| 13 ივლისი | IX ეტაპი | გრან ბორნანი — სესტრიერი, 215 კმ |
| 14 ივლისი | X ეტაპი | სესტრიერი — ალპ დ'უერი, 218 კმ |
| 15 ივლისი | XI ეტაპი | ბურგ დ'უაზანი — სენტ-ეტიენი, 199 კმ |
| 16 ივლისი | XII ეტაპი | სენ-გალმიე — სენ-ფლუ, 197 კმ |
| 17 ივლისი | XIII ეტაპი | სენ-ფლუ — ალბი, 237 კმ |
| 18 ივლისი | XIV ეტაპი | კასტრი — სენ-გოდენი, 189 კმ |
| 19 ივლისი | დასვენების დღე | |
| 20 ივლისი | XV ეტაპი | სენ-გოდენი — პიო-ანგალი, 174 კმ |
| 21 ივლისი | XVI ეტაპი | ლანემეზანი — პო, 192 კმ |
| 22 ივლისი | XVII ეტაპი | მურანი — ბორდო, 184 კმ |
| 23 ივლისი | XVIII ეტაპი | ჟონზაკი — ფუტუროსკოპი, 182 კმ |
| 24 ივლისი | XIX ეტაპი | ფუტუროსკოპი, ინდივიდუალური რბოლა, 54,5 კმ |
| 25 ივლისი | XX ეტაპი | არპაჟონი — პარიზი, 160 კმ |

# ვირანკი მაინც აქაა



შარშანდელ „ტურ დე ფრანსს“ დოპინგ-სკანდალმა დიდი დარტყმა მიაყენა. ამის გამო სეზონის უმთავრესი ტურნირის ორგანიზატორებმა წლეულს გუნდები და მრბოლები დიდი რუდუნებით შეარჩიეს. ვისაც კი ოდნავ მაინც ჰქონდა საქმე სტიმულატორებთან, არ მიიწვიეს. არასასურველ სტუმართა სიაში მოხვდა შარშან „ფესტინას“ წევრი, წლეულს კი „პოლტის“ შემადგენლობაში მყოფი ფრანგი რიშარ ვირანკი. თუმცა მისი გუნდის თავკაცობამ სიმართლის საპოვნელად რკინის ქალამნები ჩაიცვა და...

რიშარ ვირანკი წლევანდელ „ტურ დე ფრანსში“ მიიღებს მონაწილეობას. იგი ხუთშაბათს საღამოს ჩავიდა ლიონიდან ნანტში, სადაც ველოსიპედისტები პროლოგის დაწყებამდე იცდიდნენ. შერისხულის რეაბილიტაცია მას შემდეგ მოხერხდა, რაც საქმეში ველოსპორტის საერთაშორისო კავშირი ჩაერია და ვირანკის „დაჩაგვრის“ მსურველნი დატუქსა. მოკლედ, კიდევ ერთი ფავორიტიც აქაა.

## გუნდების შემადგენლობები

**კოფიდისი** საფრანგეთი
ბობი ჯულიჩი (აშშ), სტივ დე ვოლფი (ბელგია), ლორან დებიენი (საფრანგეთი), პეტერ ფარაზიინი (ბელგია), კლოდ ლამური (საფრანგეთი), მასიმილიანო ლელი (იტალია), ტიერი ლოდე (საფრანგეთი), როლანდ მეიერი (შვეიცარია), კრისტოფ რინერო (საფრანგეთი)

**მერკატონე უნო** იტალია
სტეფანო გარზელი (იტალია), მარკო არტუნგი (იტალია), სერჯიო ბარბერო (იტალია), რობერტო კონტი (იტალია), მიკელე კოპოლილო (იტალია), მარკო ფინკატო (იტალია), რიკარდო ფორკონი (იტალია), დიმიტრი კონიშევი (რუსეთი), მასიმილიანო ნაპოლიტანო (იტალია)

**ტელეკომი** გერმანია
ერიკ ზაბელი (გერმანია), უდო ბოლტსი (გერმანია), ალბერტო ელი (იტალია), კაი ჰუნდერტმარკი (გერმანია), იორგ იაკშე (გერმანია), იან შაფრატი (გერმანია), ჯორჯ ტოტჩნიგი (ავსტრალია), შტეფენ ვესემანი (გერმანია)

**მაპეი** იტალია
პაველ ტონკოვი (რუსეთი), დავიდე ბრამატი (იტალია), ჯანი ფარეზინი (იტალია), მანუელ ფერნანდეს ხინესი (ესპანეთი), პაოლო ლაფრანკი (იტალია), ბარტ ლეისენი (ბელგია), აქსელ მერქსი (ბელგია), დანიელე ნარდელო (იტალია), ტომ სტეელსი (ბელგია)

**რაბობანკი** ჰოლანდია
მიკაელ ბოოგერდი (ჰოლანდია), ერიკ დეკერი (ჰოლანდია), მაარტენ დენ ბაკერი (ჰოლანდია), პატრიკ ჯონკერი (ჰოლანდია), მარკ ლოტცი (ჰოლანდია), რობი მაკეველი (ავსტრალია), ლეონ ვან ბონი (ჰოლანდია), მარკ ვაუტერსი (ბელგია), ბეატ ზბერგი (შვეიცარია)

**ონსე** ესპანეთი
აბრაამ ოლანო (ესპანეთი), რაფაელ დიას ხიუსტო (ესპანეთი), დავიდ ეჩებერია (ესპანეთი), მარსელინო გარსია (ესპანეთი), სანტოს გონსალესი (ესპანეთი), ლუის პერეს როდრიგესი (ესპანეთი), ანდრეა პერონი (იტალია), ხოსე ლუის რებოლო (ესპანეთი), მარკო სერანო (ესპანეთი)

**პოლტი** იტალია
ივან გოტი (იტალია), როსანო ბრასი (იტალია), სტეფანო კატაი (იტალია), მირკო კრეპალდი (იტალია), სტეფან გუბერი (საფრანგეთი), სილვიო მარტინელო (იტალია), ოსკარ პელიკიოლი (იტალია), ფაბიო საკი (იტალია), რიშარ ვირანკი (საფრანგეთი)

**საეკო** იტალია
მარიო ჩიპოლინი (იტალია), ჯუზეპე კალკატერა (იტალია), სალვატორე კომესო (იტალია), ლორან დიუფო (შვეიცარია), ჯან მატეო ფანინი (იტალია), არმინ მეიერი (შვეიცარია), პაოლო სავოლდელი (იტალია), მარიო შირეა (იტალია), ფრანჩესკო სეკიარა (იტალია)

**ლოტო** ბელგია
მარიო აერტსი (ბელგია), ფაბიან დე ვაელი (ბელგია), სებასტიან დემარბე (ბელგია), ჟაკი დიურანი (საფრანგეთი), ტიერი მარიშალი (ბელგია), კურტ ვან დე ვოუვერი (ბელგია), რიკ ვერბრიუგე (ბელგია), გეერტ ვერჰეიენი (ბელგია), პეტერ ვუიტსი (ბელგია)

**კაზინო** საფრანგეთი
ალექსანდრე ვინოკუროვი (ყაზახეთი), სტეფან ბარტი (საფრანგეთი), ფრედერიკ ბესი (საფრანგეთი), პასკალ შანტორი (საფრანგეთი), ფაბრის გუგო (საფრანგეთი), იან კირსიპუუ (ესტონეთი), ჟილ მენიანი (საფრანგეთი), კრისტოფ ორიოლი (საფრანგეთი) ბენუა სალმონი (საფრანგეთი)

**ლამპრე** იტალია
მარკო სერპელინი (იტალია), რაივის ბელოვოსკისი (ლიტვა), ლუდო დირკქსენსი (ბელგია), პაველ პადრნოსი (ჩეხეთი), მარიანო პიკოლი (იტალია), მარკო პინოტი (იტალია), ზბიგნევ სპრუში (პოლონეთი), იან სვორადა (სლოვაკეთი), იოჰან ვერსტრეპენი (ბელგია)

**კელმე** ესპანეთი
ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი), იოახიმ კასტელბლანკო (კოლუმბია), კარლოს კონტრერასი (კოლუმბია), ხოსე დე ლოს ანხელესი (ესპანეთი), ხოსე ხავიერ გომესი (ესპანეთი), ხავიერ ოჩოა (ესპანეთი), პასკუელ ლორენტე (ესპანეთი), ხავიერ პასკუალ როდრიგესი (ესპანეთი), ხოსე ანხელ ვიდალი (ესპანეთი)

**ვიტალიციო** ესპანეთი
ანხელ კასერო (ესპანეთი), ელიო აჯიანო (იტალია), ერნან ბუენაორა (კოლუმბია), ფრანსისკო სერეზო (ესპანეთი), ფრანსისკო ტომას გარსია (ესპანეთი), ალვარო გონსალეს გალდეანო (ესპანეთი), პედრო ორილო (ესპანეთი), პრუდენსიო ინდურაინი (ესპანეთი), ხინეს სალმერონი (ესპანეთი)

**კრედი აგრიკოლი** საფრანგეთი
ფრანსუა სიმონი (საფრანგეთი), მაგნუს ბაკსტედტი (შვედეთი), კრის ბორდმენი (დიდი ბრიტანეთი), სებასტიან ინო (საფრანგეთი), ანტონი ლანჟელა (საფრანგეთი), სტიუარტ ო გრედი (ავსტრალია), სედრიკ ვასორი (საფრანგეთი), ჰენკ ვოგელსი (ავსტრალია), იენს ვოიგტი (გერმანია)

**ფესტინა** საფრანგეთი
ვლადიმირ ბელი (იტალია), ლორან ბროშარი (საფრანგეთი), ხაიმე ერნანდესი (ესპანეთი), ორლფ ჰუზერი (შვეიცარია), ფაბიენ ჟეკე (შვეიცარია), ლორან ლეფევრი (საფრანგეთი), ლორან მადუა (საფრანგეთი), კრისტოფ მორო (საფრანგეთი), დიდიე რუ (საფრანგეთი)

**ფრანსეზ დე ჟო** საფრანგეთი
ჟან-სირილ რობენი (საფრანგეთი), კრისტოფ ბასონი (საფრანგეთი), ჯიმი კასპერი (საფრანგეთი), ფრედერიკ გესდონი (საფრანგეთი), სტეფან ელო (საფრანგეთი), კრისტოფ მანჟენი (საფრანგეთი), ლარს მიკაელსენი (დანია), ანტონი მორენი (საფრანგეთი), დამიან ნაზონი (საფრანგეთი)

**ბანესტო** ესპანეთი
ალექს ცულე (შვეიცარია), ხოსე ლუის არიეტა (ესპანეთი), მანუელ ბელტრანი (ესპანეთი), ვისენტ გარსიააკოსტა (ესპანეთი), ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი), დავიდ ნავასი (ესპანეთი) ხონ ოდრიოსოლა (ესპანეთი), მიგელ ანხელ პენა (ესპანეთი), სეზარ სოლაუნი (ესპანეთი)

**კანტინა ტოლო** იტალია
ბო ჰამბურგერი (დანია), ალესანდრო ბარონტი (იტალია), გაბრიელე კოლომბო (იტალია), მორენო დი ბიაზე (იტალია), მასიმო ჯიუნტი (იტალია), მარკუს ლიუნგვისტი (შვედეთი), ლუკა მაზანტი ნიკოლა (იტალია), ნიკოლა მინალი (იტალია), ჯანპაოლო მონდენი (იტალია)

**პოსტალი** აშშ
ლანს არმსტრონგი (აშშ), ფრენკი ენდრიუ (აშშ), პასკალ დერამე (საფრანგეთი), ტაილერ ჰამილტონი (აშშ), ჯორჯ ჰინკეპი (აშშ), კევინ ლივინგსტონი (აშშ), პეტერ მეინერტ-ნილსენი (დანია), კრისტიან ვანდეველდი (აშშ), იონათან ვაუგტერსი (აშშ)

**ბიგ მატი** საფრანგეთი
ლუდოვიკ ოჟე (საფრანგეთი), ტიერი ბურგინიონი (საფრანგეთი), კრისტოფ კაპელი (საფრანგეთი), კარლოს და კრუზი (საფრანგეთი), ტიერი გუვენუ (საფრანგეთი), ლილიან ლებრეტონი (საფრანგეთი), დომინიკ რო (საფრანგეთი), ალექსეი სივაკოვი (რუსეთი), ჯეი სვიტი (ავსტრალია)

## ოლიმპიზმი



გუშინ სეოკ-ში: ეს ხალხი და სხვებიც ქართული სპორტის ურმის გადმობრუნებას აპირებენ

# ურემი ყველამ ერთად გადმოვაბრუნოთ

შეიძლება მრავალი მაგალითის ჩამოთვლა, ბოლო წლებში სპორტულ სარბიელზე ჩვენი ჩამორჩენის მიზეზებს რომ ახსნის. საქართველოს სპორტსმენთა წარუმატებლობებს ძალზე მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სამედიცინო სამსახურის უგულებელყოფა. ამის თაობაზე ხმამაღლა პირველად ალაპარაკდნენ მას მერე, რაც ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი ურემი გადაბრუნდა.

— ატლანტაში გამოჩნდა, რომ ჩვენი ერთ-ერთი სპორტსმენი სარბიელზე გასაყვანი კი არა, თურმე საოპერაციო მაგიდაზე დასაწოლი ყოფილა, მეორეს თითი ჰქონია მოტეხილი, მესამეს, კერძოდ, მოჭიდავეს, იქ გამგზავრებამდე სირბილით თავი მოუკლავს, 42 კილომეტრი დაუფარავს, რასაც სტარტამდე ფალავნები კი არა, მარათონელებიც აღარ აკეთებენ; ძიუდოისტებმა თავიანთი სპორტული ფორმის პიკს, მაშინ ევროპის ჩემპიონატისთვის მიაღწიეს, მერე კი დაღმასვლა დაიწყო და ატლანტაში ისე ველარ გამოვიდნენ, როგორც მოეთხოვებოდათ, — გვითხრა საქართველოს სპორტის აკადემიის რექტორმა, ომარ გოგიაშვილმა.

— დღეს დოპინგს იმდენი პრეპარატი შეიცავს, რომ აღსაზრდელებისთვის შიშით წამალი ველარ მიგვიცია — განავრცობს თემას აკრობატთა ცნობილი მწვრთნელი ზაურ სულაშვილი.

— სპორტმენებს ვარჯიშზე სამედიცინო რეკომენდაციებით კი არა, ჩვენს გამოცდილებაზე და ინტუიციაზე დაყრდნობით ვტვირთავთ — მდგომარეობას ამძიმებს საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი შოთა ხაბარელი.

— ჩვენმა სპორტსმენებმა ნორმალური სამედიცინო გამოკვლევა რომ გაიარონ, ექიმები მათ სირბილს კი არა, ალბათ, სიარულსაც აუკრძალავენ, — ცეცხლზე ნავთს ასხამს ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტი ომარ ლონლაძე.

— შეხედავ ჩვენს მოჭიდავეებს და ხედავ, რომ კუნთები ბატიბუტებივით აქვთ, მაგრამ გადიან სარბიელზე და ფლავდებიან. აი, გივი კარტოზიას ან დავით გობეჯიშვილს, გნებავთ სხვებს, კუნთები არც ეტყობოდათ, მაგრამ ბრწყინვალე მოჭიდავეები იყვნენ, — თავის დაკვირვებას გვიზიარებს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი.

— ამას წინათ „სარბიელში" გამოქვეყნდა ჩემი სტატია ფეხბურთელთა საერთო და სპეციალური ფიზიკური მომზადების დღევანდელ „პათოლოგიურ" მდგომარეობაზე, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, არავინ გამოგვხმაურებია — სინანული გაგვიზიარა ჩვენი სპორტული მედიცინის ცნობილმა სპეციალისტმა რომანოზ სვანიშვილმა, კახი ასათიანმა კი „დაამშვიდა", არც გამოგეხმაურებიანო. მერე მანვე განმარტა, 8-9 წელი გასულა მას მერე, რაც მწვრთნელს მედიცინასთან არ უთანამშრომლიათ და არც მედიცინის წარმომადგენლები გაკარებიან ჩვენს ათლეტებსო. ისიც გაიხსენა, თუ მის დროს, როცა იგი საბჭოთა კავშირის ნაკრებში იყო, სპორტსმენთა სამედიცინო პრობლემები როგორ კარგად ყოფილა მოგვარებული...

ყოველივე ამაზე გუშინ ისაუბრა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში შეკრებილმა საზოგადოებამ, რომელთა შორისაც იყვნენ ჩვენი სპორტის ხელმძღვანელები, სპორტულ ფედერაციათა მეთაურები, ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელები, სპორტული მედიცინის სპეციალისტები. იქვე იყო საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე.

...და გაგვახსენდა შარშან, ნოემბერში დაფუძნებული საქართველოს სპორტული მედიცინის ფედერაციის პრეზიდენტის გია აბესაძის წუხილიც, რომელიც ამას წინათ გაგვიზიარა:

— ჩავიხედე სპორტული მედიცინის პრობლემებში და დავრწმუნდი, რომ საჭიროა სასწრაფო საგანგაშო ზარის შემოკვრა, მდგომარეობა იმდენად სავალალოა, რომ თუ ყველამ ერთობლივად არ ვიმუშავეთ ამ დარგის გადასარჩენად, მის დაცემასთან ერთად მთლად დაიღუპება საქართველოს სპორტი. პრაქტიკულად აღარ ტარდება პირველადი სამედიცინო შემოწმებები, რომ აღარაფერი ვთქვათ კომპლექსურ გამოკვლევებზე. შეჯიბრებებზე ბავშვებს ისე უშვებენ, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას არავინ ამოწმებს, ან ხდება ფიქტიური ცნობების წარმოდგენა სხვადასხვა პოლიკლინიკებიდან.

არანაკლებ მძიმე მდგომარეობაა მოზრდილთა სპორტშიც.

ერთი სიტყვით, სრული ქაოსი სუფევს.

მაგრამ, ეტყობა, ამ ქაოსიდან გამოვდივართ. ყოველ შემთხვევაში, გუშინ სეოკ-ის შტაბ-ბინაში გამართულ თავყრილობაზე ომარ გოგიაშვილმა გვითხრა, რაც სპორტული მედიცინის ფედერაციას გია აბესაძე ჩაუდგა სათავეში, ვგრძნობ, ეს სფერო ფეხზე დგება. ეს საქმე აქამდე არ ხერხდებოდა ჩვენი უამრავი პრობლემების გამო, მაგრამ ახლა მგონი ძალზე სერიოზული საქმე იწყებაო...

ბატონი ომარი გულისხმობდა გუშინდელ თავყრილობასაც, რომელიც საქართველოს ოლიმპიური გუნდის მზადების სამედიცინო, მედიკო-ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის ჯგუფის შექმნას დაუკავშირდა.

სპორტული მედიცინის ბაზაზე სეოკის თაოსნობით ჩამოყალიბებული ეს ხუთკაციანი ჯგუფი, რომელიც აერთიანებს კოორდინატორს, ფართო პროფილის ექიმთერაპევტს, სამედიცინო ფიზკულტურის ექიმს, ფსიქოლოგსა და მეთოდისტ-მასაჟისტს, მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ჩვენი სპორტსმენების სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის სამზადისს.

თუმცა, როგორც გია აბესაძემ თქვა, ამგვარი საქმიანობა ამ ჯგუფის ერთ-ერთი მიზანია და არა ერთადერთი. მაგრამ იქვე ითქვა, რომ ეს საქმე უკვე დაგვიანებულია. თუმცა სიდნეი ჩვენი საბოლოო მიზანი არ არის და მუშაობა მერეც უნდა გავაგრძელოთო.

როგორც სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა ბრძანა, ჯგუფი საზოგადოებრივ საწყისებზე არ იმუშავებს, მისი ყველა წევრი სეოკ-ში ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმდება და ხელფასსაც ყოველთვიურად გარანტირებულად მიიღებს.

რაც შეეხებათ სპორტსმენებს, ითქვა, რომ ჯანდაცვის მინისტრი ამ დღეებში მოაწერს ხელს ბრძანებაზე, რომლის მიხედვით ჩვენს ათლეტებს მკურნალობისა და დიაგნოსტიკის საქმეში უფასო დახმარება გაეწევათ ყველა სამედიცინო დაწესებულებისაგან. თავად ჯანდაცვის მინისტრმა კი ბრძანა, რომ ისინი თავიანთ თავზე იღებენ 60 სპორტსმენზე სამედიცინო უზრუნველყოფას და ამისთვის გამოიყოფა საუკეთესო სამედიცინო ცენტრი.

ბოლოს სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა ნახევრადხუმრობით ბრძანა, ამ კეთილი საქმისთვის სტარტი მიმიციაო.

და რაკი ასეა, ყველამ ერთად გადმოვაბრუნოთ წაქცეული ურემი.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ავტორის ფოტო

## ჭადრაკი

# დევები და ფრიცი

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად განვმარტავთ, რომ ჭადრაკის „დევებად" ფირმა „სიმენსმა" კასპაროვი, კარპოვი, ანანდი და კრამნიკი მონათლა და მათთვის სწრაფ ჭადრაკში ფრანკფურტის საერთაშორისო ტურნირზე ცალკე, უმაღლესი ჯგუფი შექმნა. მომდევნო, ოსტატთა ჯგუფში მოხვედრის პატივი ერგოთ მოროზევიჩს, ადამსს, სვიდლერს, ლეკოს, იუდით პოლგარს, გერმანელ მოჭადრაკე ადამიანს, კრისტოფერ ლუტცსა და მოჭადრაკე კომპიუტერ „ფრიცს", რომლის სპონსორი თავად „სიმენსია", ხოლო მამამთავარი კიდევ ერთი ჭკვიანი გერმანელი მათიას ვულენვებერი გახლავთ. ალბათ ღირს „ფრიცზე" ცოტა მეტი ვთქვათ და პირველად იმას მოგახსენებთ, რომ ამ პროგრამამ ამას წინათ კასპაროვის გამამწარებელი „დიპ ბლუ" დაამარცხა და იუდით პოლგარსაც შთამბეჭდავად მოუგო — 5,5:2,5; ამან „ფრიცის" ELO-კოეფიციენტი 2700-მდე აჰქაჩა, ეს კი ადამიანთა შორის მეათე შედეგია მსოფლიოში. „ფრიცს" მხოლოდ 14-20 ივნისს „არ გაუმართლა", როდესაც თანამოძმეებმა დაჩაგრეს. გერმანიის ქალაქ პადერნბორნში გამართულ საჭადრაკო პროგრამების მსოფლიოს ჩემპიონატზე იგი მხოლოდ მესამე იყო.

დავუბრუნდეთ ფრანკფურტს და გაკვრით შევნიშნოთ, რომ იქ „დევებისა" და „ოსტატების" გარდა ღია ტურნირიც ეწყობა და იქაც 50-მდე მარტო დიდოსტატი გამოდის, რომელთა შორის ბევრია ქებული, თუნდაც ევგენი ბარეევი.

ტურნირის მაყურებლებსა და მასმედიას, პირველ რიგში, ცხადია, „დევების" ტურნირის და, კერძოდ, ერთმანეთის პირისპირ მსხდომი კარპოვისა და კასპაროვის ხილვა სწყუროდათ, რადგან მათი მსგავსი განლაგება 1997 წლის შემდეგ არავის უნახავს. მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში უკვე მყარად დამკვიდრებულმა ორმა პიროვნებამ ორჯერ 25 წუთის განმავლობაში მძლავრად იომა, მაგრამ ალბათ ძველი ნაცნობობის ხათრით ორივე პარტიის შედეგი მაინც საყაიმო გახლდათ.

მთლიანობაში „დევები" ძლიერ თანაბრად თამაშობენ და, შესაბამისად, ყაიმებიც მრავლობს, რაზეც ტურნირის საექვატორო შედეგებიც მოწმობს: 1-2. კასპაროვი, კრამნიკი — 3,5; 3. კარპოვი — 3; 4. ანანდი — 2; როგორც ხედავთ, მხოლოდ ინდოელი „დევი" მოისუსტებს ცოტა, მაგრამ ერთხელაც აღვნიშნავთ, რომ წინ ნახევარი ტურნირია და ვიშის სწრაფ აზროვნებაზე ამდენს რომ ლაპარაკობენ, სულ ტყუილიც არ იქნება.

„ოსტატთა" ტურნირზეც ზუსტად პარტიათა ნახევარი გათამაშდა და როგორ ფიქრობთ, ვინ ლიდერობს? ვინ და, კომპიუტერი, ძვირფასო მეგობრებო! „ფრიცმა" თავიდან ირაინდა და მცირე ხნის იუდით პოლგარს დაუთმო ლიდერობა, მერე კი ამპარტავნულად აიწყვიტა და 7 ტურის შემდეგ 5 ქულით ერთპიროვნულადაც დაწინაურდა. ნახევარქულიანი ინტერვალებით მას მისდევენ ლეკო (4,5), სვიდლერი (4), ტოპალოვი და იუდით პოლგარი (3,5), ლუტცი (3), ადამსი (2,5) და მოროზევიჩი (2). აქაც ალბათ ყველაფერი დარჩენილ პარტიებში გადაწყდება... იმ კვირაში საბოლოო შედეგებს გაახლებთ.

**დავით გულუა**

## კალათბურთი

EURO BASKET 99

ევროპის ჩემპიონატი.
მეხუთე-მერვე ადგილებისთვის. 2 ივლისი. პარიზი.

# რუსეთი და ლიტვა სიდნეიში გაემგზავრებიან

**რუსეთი 74:70 გერმანია**
(I ტაიმი 40:24)

რუსეთი: ავლეევი (11), კისურინი (13), კუდელინი (19), კურაშოვი, ნოსოვი (2), ზ. პაშუტინი (13), ე. პაშუტინი (2), პანოვი (11), პეტრენკო (3)

გერმანია: ბოგოევიჩი (5), ფემერლინგი (5), ნეესი (13), ნოვიცკი (15), ნიურნბერგერი (3), ოკულაჯა (14), ტერდენგე (5), ტომიჩი (8), ვუხერერი (2)

**თურქეთი 56:80 ლიტვა**
(I ტაიმი 24:38)

თურქეთი: თუნჩერი (10), ილდირიმი (4), ქუთლუაი (5), ოქური (14), ბეშოქი (6), ქონუქი, ფარსი (4), თურქოღლუ (13),

ლიტვა: მასკოლიუნასი, ადომაიტისი (12), მასიულისი (4), კარნიშოვასი (8), საბონისი (13), იასიკევიჩუსი (7), შტომბერგასი (10), კ. მარჩულიონისი (6), ე. ჟუკაუსკასი (4), ეინიკისი, პრაშკევიჩუსი (16)

*დღეს მეხუთე ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდებიან რუსეთი და ლიტვა. მეშვიდე ადგილისთვის გერმანია და თურქეთი ითამაშებენ.*

*რუსეთმა და ლიტვამ მოიპოვეს სიდნეის 2000 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურები.*



AFP პარი ზიდან

თურქეთი — ლიტვა. ლიტველი არვიდას საბონისი (მარცხნივ) და თურქი იბრაჰიმ ქუთლუაი

## 1999 წლის დრაფტი. 30 ივნისი. ვაშინგტონი

პირველი წრე

| | კლუბი | მოთამაშე | ამპლუა | უნივერსიტეტი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ჩიკაგო | ელტონ ბრენდი | ფორვარდი | დიუკი |
| 2 | ვანკუვერი | სტივ ფრენსისი | უკანა ხაზი | მერილენდი. |
| 3 | შარლოტი | ბარონ დევისი | უკანა ხაზი | ნევადა-ლას ვეგასი |
| 4 | კლიპერსი | ლამარ ოდომი | ფორვარდი | როდ აილენდი |
| 5 | ტორონტო | ჯონათან ბენდერი | ფორვარდი | პიკაიუნის სკოლა |
| 6 | მინესოტა | ველი შჩერბიაკი | ფორვარდი | მაიამი (ოჰაიო) |
| 7 | ვაშინგტონი | რიჩარდ ჰამილტონი | ფორვარდი | კონექტიკუტი |
| 8 | კლივლენდი | ანდრე მილერი | უკანა ხაზი | იუტა |
| 9 | ფინიქსი | შონ მარიონი | ფორვარდი | ნევადა-ლას ვეგასი |
| 10 | ატლანტა | ჯეისონ პერი | უკანა ხაზი | არიზონა |
| 11 | კლივლენდი | ტრაიან ლანგდონი | უკანა ხაზი | დიუკი |
| 12 | ტორონტო | ალექს რადოევიჩი | ცენტრი | ბარტონ ქაუნთი |
| 13 | სიეტლი | კორი მაგიტი* | ფორვარდი | დიუკი |
| 14 | მინესოტა | ვილიამ აივერი | უკანა ხაზი | დიუკი |
| 15 | ნიუ იორკი | ფრედერიკ ვეისი | ცენტრი | ლიმოჟი (საფრანგეთი) |
| 16 | ჩიკაგო | რონ არტესტი | ფორვარდი | სენტ ჯონსი |
| 17 | ატლანტა | კელ ბოუდლერი | ფორვარდი | ოლდ დომინიონი |
| 18 | დენვერი | ჯეიმს პოსი | ფორვარდი | ქსავიე |
| 19 | იუტა | ქვინსი ლუისი | ფორვარდი | მინესოტა |
| 20 | ატლანტა | დიონ გლოვერი | უკანა ხაზი | ჯორჯიის ტექნიკური |
| 21 | გ. სტეიტი | ჯეფ ფოსტერი* | ცენტრი | სამხ.-დას. ტეხასი |
| 22 | ჰიუსტონი | კენი ტომასი | ფორვარდი | ნიუ მექსიკო |
| 23 | ლეიკერსი | დევინ ჯორჯი | ფორვარდი | აუგსბურგი (მინესოტა) |
| 24 | იუტა | ანდრეი კირილენკო | ფორვარდი | ცსკა (რუსეთი) |
| 25 | მაიამი | ტიმ ჯეიმსი | ფორვარდი | მაიამი |
| 26 | ინდიანა | ვონტიგო კამინგსი* | უკანა ხაზი | პიტსბურგი |
| 27 | ატლანტა | ჯუმეინ ჯონსი* | ცენტრი | ჯორჯია |
| 28 | იუტა | სკოტ პაჯეტი | ფორვარდი | კენტუკი |
| 29 | სან ანტონიო | ლეონ სმიტი* | ფორვარდი | მ. ლ. კინგის სკოლა |
| | | მეორე წრე | | |
| ...36 | დალასი | ვან ჟი ჟი | ცენტრი | ჩინეთი |
| ...40 | დალასი | გორდან გირიჩეკი* | უკანა ხაზი | ციბონა (ხორვატია) |

** — დრაფტის დღესვე გაცვლილი მოთამაშეები*

### დრაფტის დამთავრებისთანავე გუნდებმა ერთმანეთს მოთამაშეები გაუცვალეს

**სიეტლი — ორლანდო:** *სიეტლმა მისცა ორლანდოს დრაფტის მე-13 ნომერი კორი მაგიტი, აგრეთვე ბილი ოუენსი, დეილ ელისი და დონ მაკლინი. სანაცვლოდ მიიღო ჰორას გრანტი და მომავალი წლის დრაფტის მეორე წრის ორი არჩევანი.*

**გოლდენ სტეიტი — ინდიანა:** *გოლდენ სტეიტ ვორიორზმა მისცა ინდიანას დრაფტის 21-ე ნომერი ჯეფ ფოსტერი. სანაცვლოდ მიიღო დრაფტის 26-ე ნომერი ვონტივო კამინგსი და მომავალი წლის დრაფტის პირველი წრის არჩევანი.*

**ატლანტა — ფილადელფია:** *ატლანტამ მისცა ფილადელფიას დრაფტის 27-ე ნომერი ჯუმეინ ჯონსი. სანაცვლოდ მომავალი წლის დრაფტის პირველი წრის არჩევანი მიიღო.*

**ატლანტა — პორტლენდი:** *ატლანტამ მიყიდა პორტლენდს დრაფტის 52-ე ნომერი რობერტო ბერგერსონი. თანხაზე ჯერ არ შეთანხმებულან.*

**სან ანტონიო — დალასი:** *სან ანტონიომ მისცა დალასს დრაფტის 29-ე ნომერი ლეონ სმიტი. სანაცვლოდ მიიღო დრაფტის მე-40 ნომერი გორდან გირიჩეკი და მომავალი წლის დრაფტის მეორე წრის არჩევანი.*

**მინესოტა — ორლანდო:** *მინესოტამ მიყიდა ორლანდოს დრაფტის 42-ე ნომერი ლუის ბალოკი. თანხაზე ჯერ არ შეთანხმებულან.*

# სტეფანია მთებზე, ხვანჭკარაზე, მფრინავებსა და რაკეტებზე...

# თითქმის არაფერი კალათბურთზე

*ვლადიმერ სტეფანია დღეს ქართულ სპორტში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა. ბავშვობიდანვე უზომოდ შრომისმოყვარე სტეფანიას საკალათბურთო კარიერას იღბალიც მუდამ თან სდევდა. ჯერ იყო და, ჭაბუკობიდანვე სლოვენიაში გადახვეწილი იქაურ „ოლიმპიაში" იმალლებდა ოსტატობას და შემდეგ, ევროპის გრანდებთან ჭიდილში გამობრძმედილმა, ისეთი ისკუპა, რომ მთელი ქვეყანა აალაპარაკა. ფაქტის წინაშე ყველამ ქედი მოიხარა — ამერიკულ საკალათბურთო ლიგაში ქართველის თამაში მანამდე ხომ თითქოს წარმოუდგენელიც იყო.*

*პირველივე სეზონში დამაჯერებელი გამოსვლის შემდეგ „სიეტლ სუპერსონიქსის" ჩვენებური თავდამსხმელ-ცენტრი შვებულებით სამშობლოში ჩამოვიდა და ერთი თვე მონატრებულ ოჯახში გაატარა, ჟურნალისტებსაც სალაპარაკო მოგვეცა.*

*ამას წინათ სტეფანიასთან ვრცელი ინტერვიუც შემოგთავაზეთ, თუმცა, ცხადია, ერთმა შეხვედრამ მასთან სასაუბრო თემა ვერ ამოწურა და გამგზავრებამდე ვოვასთან კიდევ ერთხელ შეხვედრა და საუბარი გვსურდა. სურვილი სურვილად, მაგრამ მისი ნახვა საძნელო საქმე შეიქნა და რომ არა მამამისი, ზაურ სტეფანია, იქნებ ეს ინტერვიუც არ შემდგარიყო.*

*მოგვიანებით თავად ვოვამაც იხუმრა, მამაჩემი საქართველოში ჩემს პრესატაშეობასაც ითავსებსო და...*

*ახლა უკვე მე და ჩემი სასურველი რესპონდენტი პირისპირ ვსხედვართ და ვსაუბრობთ. ვოვა მალიმალ საათზე იყურება, აეროპორტში არ დამაგვიანდესო. მართლაც, გაფრენამდე ორიოდ საათიღა რჩება, თუმცა ჩემს კითხვებს ნაჩქარევად, ანაც ზერელედ როდი პასუხობს:*

**— ვოვა, ვერც შინ დაგიკავშირდი, ვერც მობილურზე, ბოლოს მამაშენის შეწუხებაც მომიხდა...**

— გამგზავრება უცებ გადავწყვიტე და რალაც პირადი საქმეების მოსაგვარებლად დავრბოდი. სატელეფონო ზარები კი ხელს მიშლიდა, მაფერხებდა. ხშირად უმიზეზოდაც მირეკავდნენ და... მალიზიანებდა. მობილურიც ამიტომ გამოვრთე, თუ დამჭირდებოდა, მაშინ ვრთავდი.

**— ადრე თქვი, ამერიკაში ხუთი ივლისისთვის უნდა ჩავიდეო, ერთი კვირით ადრე რატომ მიდიხარ?**

— ამ ხნის მანძილზე ცოტას ინდივიდუალურად წავივარჯიშებ, მერე საზაფხულო თამაშებში ჩავერთვები. გუნდი ხუთ სექტემბერს იკრიბება, იქამდე კი ერთი თვე კიდევ დასვენება მომიწევს.

**— აქ არ გივარჯიშია?**

— არა, რანაირად, ერთადერთხელ ვესროლე ბურთი, ეგ იყო და ეგ. ისე, აუზის ხშირი სტუმარიც ვიყავი. კარგი იქნებოდა, უფრო სერიოზულად მევარჯიშა, მაგრამ ამას ნორმალური პირობები უნდა. მე რომ აქ ასფალტზე სირბილი დამეწყო, იქნებ კალათბურთი ცხოვრებაში ველარ მეთამაშა. მოკლედ, ყველაფერს თავისი წესი აქვს. მათ შორის სირბილსაც.

**— ისე, გვარიანი დასვენება კი გამოგდის. ჯერ ორი თვე, მერე კიდევ ერთი. თუ საიდუმლო არ არის, აგვისტოს სად გაატარებ?**

— ჯერ არ გადამიწყვეტია, მაგრამ მინდა, სადმე წავიდე და ჩემს გემოზე დავისვენო.

**— ზაფხულში მაიამიზე კარგ ადგილს სად ნახავ...**

— ჰო, მაგრამ იქ ძალიან ცხელა, მაინცდამაინც გულიც არ მიმიწევს. ისე, თითქმის ყველაფერი ნანახი მაქვს.

**— ინდოეთიც?**

— არა, არა. ისე, კარგი აზრია, ბევრი რამაა ინდოეთში სანახავი, მაგრამ... შორია. კიდევ მალაიზია და ახალი ზელანდია მაინტერესებს, მაგრამ ხომ გითხარი, ჯერ არ ვიცი-მეთქი. არ გამოვრიცხავ იქვე, ახლომახლო მთებსაც მივაკითხო. ერთიცაა, იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ვისთან ერთად წავალ.

**— ალბათ, ჯერ არც გადაგიწყვეტია...**

— მართლა არ ვიცი. გააჩნია, თუ დროსტარებას გადავწყვეტ, რომელიმე მეგობარს ვეტყვი, თუ დასვენებას ვარჩევ, აუცილებლად გოგონასთან ერთად წავალ. ოღონდ ახლა არ მკითხო, რომელი გოგონაო.



თბილისში სტეფანიამ გვარიანად დაისვენა...

ბადრი კოთოლაშვილის ფოტოები



–ერთხელ ტელეკომენტატორობაც მოსინჯა

**— ეგრე იყოს, თუმცა მეგობრებზე კი შეგეკითხები. საინტერესოა, ვის თვლის სტეფანია თავის ყველაზე დიდ მეგობრად.**

— ასეთები ბევრიც არ მყავს, ყოველ შემთხვევაში, მე ვისაც მეგობარს ვეძახი, ასეთი სამი კაცია. ერთი სლოვენიელია, ერთიც იქ გაცნობილი რუსი, მესამე კი ამერიკაში ცხოვრობს, ქართველია.

ამ სამ ადამიანს განსაკუთრებულად ვცემ პატივს, ღმერთმა მათი თავი ცუდად ნურაფერში დამაჭირვოს, თორემ ასე რომ მოხდეს, ვფიქრობ, გვერდში დამიდგებიან.

**— თბილისში რითი ერთობოდი?**

— ძირითადად შინ ვიყავი. ერთი ორჯერ ბარში გავიარე, ერთხელაც კაზინოში შევედი და ასი დოლარი ისე წავაგე, თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი.

**— ხშირად აკითხავ კაზინოებს?**

— არა, ამერიკაში არც ვყოფილვარ. სიმართლე გითხრათ, სიეტლში კაზინო თვალით არ მინახავს, ამბობენ, სადღაც გარეუბანში არისო. როგორც თბილისში, ქალაქის ცენტრში ვერ ნახავ.

**— მაინც რა მიგაჩნია ყველაზე კარგ გასართობად?**

— ძალიან მიყვარს თევზაობა. თევზი სულ არ მაინტერესებს, თვითონ პროცესი მსიამოვნებს. კარტის თამაშიც ხშირად მიწევს.

**— ჩვენებური მათრობელას გემო თუ გაიხსენე რაც აქ ხარ?**

— ერთი ჭიქა ხვანჭკარა დავლიე, ისიც გოგომ შემაცდინა, თანაც ხათრი ველარ გავუტეხე. სხვა მხრივ დათრობა არასოდეს მიზიდავდა, სმით კი ადრე უფრო ვსვამდი.

ერთადერთხელ დავთვერი ცხოვრებაში, როცა „ოლიმპიამ" ესპანეთში „ბარსელონას" მოუგო. გახარებულებმა ლუდის სმა დავიწყეთ და ისე შევყევით, თითო კაცს ბოლოს ათ კათხამდე გამოგვივიდა.

**— აქ ყოფნისას ყველაზე მეტად ვინ მოგენატრა?**

— რომ გეკითხა, რა მოგენატრაო, გეტყოდი, კალათბურთის თამაში და ვარჯიში-მეთქი. განსაკუთრებულად მეტი არავინ და არაფერი მომნატრებია.

ნახვით პირველ რიგში იმ კაცს ვნახავ, ვის სახლშიც ვცხოვრობ, აეროპორტში დამხვდება. სულ დეტალებში მომიყვება სან ანტონიო — ნიუ იორკის ფინალურ თამაშებზე.

სამწუხაროდ, ფინალზე ძალიან ცოტა ინფორმაცია მაქვს.

**— მახსოვს, ფინალის წინ უპირატესობას სან ანტონიოს ანიჭებდი...**

— მერე ხომ გამოვიცანი? დევიდ რობინსონისა და ტიმ დანკანის შემჩერებელს ნიუ იორკში ვერ ვხედავდი და იმიტომ. აკი სწორედ ამ კალათბურთელებმა გადაწყვიტეს ყველაფერი. ძლიერები არიან აივერი ჯონსონი და მარიო ელიც. თუმცა იმას ვერ ვიტყვი, სან ანტონიოს საჩემპიონო უკანა ხაზი ჰყავდა-მეთქი.

**— რომ ჩახვალ, პირველ რიგში რას გააკეთებ?**

— კარგად გამოვიძინებ, მერე კი სავარჯიშოდ წავალ. ოღონდ დარბაზში ისეთ დროს მივალ, სხვა რომ არავინ იყოს.

**— შეიძლება, სიეტლელის გარდა სხვაც იყოს ვინმე?**

— არა, სხვას ვინ შეუშვებს, კარებში დაცვა დგას. უბრალოდ, მე თანაგუნდელებთან ერთად ვარჯიშიც არ მინდა, ჯერ ინდივიდუალურ მომზადებას ვაპირებ.

**— ვოვა, შენი აქ ყოფნა საქართველოს ჩემპიონატის ფინალებს დაემთხვა, თუმცა სპორტის სასახლეში ერთადერთხელ დაგინახე. რა იყო ამის მიზეზი, არ გაინტერესებდა?**

— მთლად ეგრეც არ არის, ხან ვერ მოვახერხე, ხან რა და ხან რა.

**— პასუხი არც ისე დამაჯერებელია...**

— როგორ გითხრა, ერთხელ ხომ ვიყავი, ვუყურე და... მე რაც კალათბურთში მიყვარს და მომწონს, იქ მსგავსი ვერაფერი ვნახე. ერთადერთი მოთამაშეთა შემართებაა სამაგალითო, სხვა არაფერი.

**— ერთხელ მიხვედი და ტელევიზიით რეპორტაჟის წაყვანაც მოგიხდა...**

— ოო, მაშინ ერთი სამხიარულო ამბავიც გადამხდა.

**— მაინც?**

— მთხოვეს, რეპორტაჟი უნდა წაიყვანოო. საამისოდ მზად არ ვიყავი, თუმცა უარიც აღარ მითქვამს. ეს შესვენებაზე მოხდა, განახლდა თამაში და კომენტატორმა ჯამლეთ ხუხაშვილმა მაყურებელს წარუდგინა ჩემი თავი, მერე მომიბრუნდა და მთხოვა, ჩემი აზრი გამომეთქვა პირველი ტაიმის შესახებ. მე კი ვუთხარი, პირველი ტაიმი არ მინახავს-მეთქი. რაღაცნაირად გულუბრყვილოდ გამომივიდა, მაგრამ მართლა არ მენახა და ტყუილებს ხომ არ დავიწყებდი. ხუხაშვილს ცოტა არ იყოს, ეწყინა, თავიდანვე ვერ თქვიო. მე რა ვიცოდი, რას მკითხავდა. მგონი, კარგი ისტორიაა.

**— ამბობენ, სტეფანია თამაშებზე იმიტომაც არ დადიოდა, რომ ჟურნალისტები აწუხებენო...**

— ეგ ტყუილია. უარი არასოდეს არავისთვის მითქვამს, სხვა საქმეა მოუცლელობა.

**— პოპულარობა როგორ მოქმედებს შენზე?**

— ჩვეულებრივად. ისე, ბედნიერი ვარ, რომ თბილისში ხალხი მაინცდამაინც არ მიცნობს. მიყურებენ, ფიქრობენ, ვინ არის, რამსიმაღლეაო. ერთიორმა ისიც მკითხა, კალათბურთზე ხომ არ დადიხარო, არა-მეთქი, მოვატყუე. ხომ არ დავუწყებ ესა და ეს ვარ-მეთქი.

**— პოპულარობასთან ერთად შენ ახლა საკმაოდ შეძლებულიც ხარ. ეს კი საშუალებას გაძლევს, რაც გსურს, ის აკეთო. თუ გაქვს განუხორციელებელი ოცნება, ან იქნებ ბავშვობაში ოცნებობდი რაიმეზე?**

— ძალიან მინდოდა, მფრინავი გამოვსულიყავი ან სამხედრო პირი.

**— მშობლებმა თუ იცოდნენ ამის შესახებ?**

— იცოდნენ და გაგებითაც მოეკიდნენ ჩემს სურვილს, მაგრამ მერე, როცა ამხელა გავიზარდე და კალათბურთის თამაში დავიწყე, ოცნებებ ოცნებად დარჩა.

**— ამ სურვილის პრაქტიკულად განხორციელება თუ გიცდია როდესმე?**

— მფრინავებზე და სამხედროებზე თითქმის ყველაფერი მაქვს წაკითხული. ვფლობ დიდძალ ინფორმაციას, მათზე ახლაც ყველაფერი მაინტერესებს. შენც სიამოვნებით გაგესაუბრებოდი, მაგალითად, თვითმფრინავების უახლოეს მოდელებზე.

ერთხელ ამერიკაში ბიჭებმა გამომიარეს და გოგონებთან ერთად გასეირნება შემომთავაზეს, მე კი ვუთხარი, არ მცალია, გემზე მიმეჩქარება-მეთქი. რა გინდაო, გაუკვირდათ. პორტში ახალი რაკეტები შემოუტანიათ და უნდა ვნახო-მეთქი. მასხარად ამიგდეს.

რა ვქნა, მიყვარს ასეთი რალაცეები. ამგვარ გარემოში ყველაფერი მავიწყდება, წყენაც, ტკივილიც...

**— საყვარელი წიგნი თუ გაქვს?**

— საერთოდ, საყვარელი და გამორჩეული არაფერი მაქვს. ისე, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე ვიქტორ სუვოროვის ექვსტომეულმა მოახდინა. იგი საომარ ვითარებებს აღწერს, თანაც როგორც სკოლაში გვასწავლიდნენ, ისე კი არა, სულ საპირისპიროდ. ნათქვამს დამაჯერებლად ასაბუთებს.

არ მიყვარს ფილოსოფიური ნაწარმოებები, აზრის ჩასაწვდომად ტვინის ჭყლეტა რომ მიხდება.

**— ვოვა, რაც აქ ხარ, ამერიკიდან არავინ შეგხმიანებია?**

— ფინანსურმა აგენტმა დამირეკა რამდენჯერმე.

**— ასეთიც თუ გყავდა, ადრე არ დაგცდენია...**

— ახლახან ავიყვანე, მენეჯერმა მირჩია და მეც ჭკუაში დამიჯდა. კარგი ყოფილა. რაც ფინანსებს შეეხება, ყველაფერს ის მიგვარებს, სანაცვლოდ კი პატარა პროცენტს იღებს, ნამდვილად მიღირს. უამრავი წვრილმანია, უნდა იარო, ფული იხადო. არ ჯობია, სხვამ გააკეთოს, შენ კი კალათბურთზე იფიქრო.

**— ბიზნესში ბედი არ გიცდია?**

— ჯერ რა დროს ჩემი ბიზნესია. ეგღა მაკლია, საქმეში ჩადებულ ფულზე ვინერვიულო, ვაითუ არ გამიმართლოს-მეთქი. მერე კალათბურთს როგორღა ვითამაშებ?

ახლა მინდა ჯანმრთელობა, ძლიერი ფეხები, ვარჯიში, ხუთი-ექსი წელი ნბა-ში სტაბილურად თამაში და მერე ბიზნესის დროც მოვა.

**— მუხლებს კიდევ უჩივი?**

— შედარებით უკეთესობაა, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ მოვიშუშე. მომავალში რა იქნება, არ ვიცი, ხანდახან იმასაც ვფიქრობ, ნაადრევად ხომ არ წავედი ნბა-ში, იქნებ ცოტა ხანს ისევ ევროპაში დავრჩენილიყავი-მეთქი, მაგრამ... „ოლიმპიამ" ისეთ დღეში ჩამაგდო, გასაქცევად გამიხადა საქმე. თუმცა ამაზე ადრეც ხშირად გვისაუბრია.

**— ცხოვრებით ისევ იქ იცხოვრებ, თუ ბინის გამოცვლას აპირებ?**

— ვნახოთ, რა როგორ იქნება. „სიეტლს" რომ წამოუაროს და სხვა გუნდში გამცვალოს? იქამდე რომ ბინა ვიქირავო და მერე სხვა ქალაქში მომიწიოს ცხოვრებამ, იმდენი ფული ხომ წყალში გადამეყრება. სასტუმროშიც გავჩერდებოდი, მაგრამ არ მიყვარს, დიდხანს ვერ ვძლებ.

**— ევროპის ჩემპიონატს ადევნებ თვალს?**

— მხოლოდ რუსეთის თამაშები ვნახე, ამიტომ საერთო დონეზე აზრის გამოთქმა მიჭირს. ისე, მე რასაც ვუყურე, იუგოსლავიის გუნდია ძალიან ძლიერი. რუსებთან წაგებამ არ შეგაცდინოს. გუნდმა ისე არ ითამაშა, როგორც შეეძლო. მისი დამარცხება ნებისმიერს ძალიან გაუჭირდება, აი, ნახავ.

*ვოვამ კიდევ ერთხელ დაიხედა საათზე. თქმაც არ მინდოდა, მივხვდი, რომ აეროპორტში მიეჩქარებოდა და წასასვლელად გავემზადე. მომიბოდიშა, დანარჩენი სხვა დროს იყოსო და...*

*ახლა, როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, ვლადიმერ სტეფანია უკვე ამერიკაში იმყოფება და ვინ იცის, იქნებ „სიეტლის" „კი არენაზე" ოფლსაც ღვრის.*

*წინ მისი მეორე პროფესიული სეზონია!*

**გიორგი ბიძაშვილი**

# ერეროსმა ფრანგებს შამპანური ძმრად აქცია



REUTERS

საფრანგეთი — ესპანეთი. ნაბახუსევ ფრანგებთან შედარებით ესპანელები მართლაც დაფრინავდნენ, ისე, როგორც იგნასიო როდრიგესი (№8)

ფრანგები ევროპის ჩემპიონატის ფინალში 1949 წლის მერე არ ყოფილან. მაშინ ეგვიპტეში ვერცხლის მედლები მოიპოვეს. წლეულს კი ბრინჯაოსთვის მოუწევთ იუგოსლავიელებთან ბრძოლა. ბრინჯაოსთვის, რომელიც ბოლოს 1959 წელს სტამბოლში მოიგეს. მესამე ადგილზე გასვლა ფრანგებს 1991 წელს იტალიაშიც შეეძლოთ, მაგრამ მაშინ გადამწყვეტ მატჩში სამი ქულით დამარცხდნენ... ესპანეთთან.

ეჰ, სიკეთე ვის გადაუხდია, თორემ ესპანეთს თავი ძალიანაც არ უნდა გამოედო: მეოთხედფინალში ხომ ფრანგთაგან სლოვენიელების ძლევის წყალობით გავიდა. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ისე, მეორე ეტაპზე ეს გუნდები უკვე შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ მასპინძლებმა 17 ქულით (74:57) აჯობეს მოწინაალმდეგეს. და, იცით, რატომ: იმიტომ, რომ პირინეელების საუკეთესო მსროლელის ალბერტო ერეროსის საიმედოდ ჩაკეტვა მოახერხეს. მადრიდის „რეალის" კალათბურთელმა იმ მატჩში თავისიანებისთვის მხოლოდ ექვსი ქულის მოტანა შეძლო. გუშინ კი იგი შეუდარებელი იყო და ესპანეთის ფინალში გასვლაში მისი წილი მართლაც ლომისაა.

საფრანგეთმა თამაში მძიმედ დაიწყო და მე-3 წუთზე უკვე 0:6-ს აგებდა. თუმცა ამ ჩემპიონატზე სასტარტო ხუთეულში პირველად დაყენებულმა ალენ დიგბომ მწვრთნელს იმედები გაუმართლა და მისი აქტიურობის წყალობით მალე ანგარიში გათანაბრდა — 10:10. დიგბო დაცვაში კარგად ირჯებოდა ერეროსის წინააღმდეგ და ტურნირის ყველაზე შედეგიან კალათბურთელს გასაქანს არ აძლევდა. თუმცა მომავალი ბარსელონელი მალე დაიღალა და სათადარიგოთა სკამს მიაშურა. სანამ დიგბო დაისვენებდა, ერეროსმა ჩვეულებისამებრ გაილაღა და ესპანეთიც მე-13 წუთზე კვლავ წინ გავიდა (23:21). ეს უპირატესობა მაშინვე გააბათილა რონი სმიტმა, ცოტა ხანში კი სტეფან რისაშეს ზუსტი სამქულიანი ტყორცნის შემდეგ უკვე საფრანგეთი იგებდა ოთხ ქულას (29:25, მე-17 წუთზე).

და, აი, აქ „ლურჯებს" თავში აუვარდათ. ეტყობა, იფიქრეს, ყველაფერი კარგად მიგვდის და მატჩის ბედსაც პირველივე ტაიმში გადავწყვეტთო. მათ მაყურებლისთვის შოუს გამართვა გადაწყვიტეს და სანახაობრივი ილეთების გამოყენება დაიწყეს, მაგრამ ისინი ხომ მხოლოდ ფრანგები არიან და არა ამერიკელები? შედეგიც მალე „მოიმკეს" — დროის მცირე მონაკვეთი 0:6 წააგეს და პირველი ნახევარიც გასრულდა.

შესვენების შემდეგ ესპანელთა გამარჯვებაში მთავარი როლი ერეროსთან ერთად მათმა 220-სანტიმეტრიანმა მოუხეშავმა ცენტრმა რობერტო დუენიასმა შეასრულა. არა, მას არც ბევრი ქულა (4) და არც უსაშველოდ ბევრი მოხსნა გაუკეთებია (8), მაგრამ მისი შიშით ფრანგები ფარქვეშ თამაშს გაურბოდნენ, ხოლო როცა ამას ბედავდნენ, უმეტეს შემთხვევაში არაფერი გამოსდიოდათ. ანგარიშში სხვაობაც ნელ-ნელა იზრდებოდა პირინეელთა სასარგებლოდ.

მასპინძლებს ვერც ოდნავ მუხლმტკივანი საკრამენტოელი ტარიკ აბდულ-ვაჰადის თამაშში ჩართვამ (24-ე წუთი) უშველა. ქრისტიანობაში ოლივიე სენ ჟანად წოდებულ მუსლიმს ალაჰი რატომღაც არ დაეხმარა და იგიც თანაგუნდელებს ბევრით ვერაფრით შეეწია. ესპანეთი კი კვლავ წინ მიიწევდა (56:43, 32-ე წუთზე).

ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალი

## საფრანგეთი 63:70 ესპანეთი

2 ივლისი. პარიზი. „ბერსი". I ტაიმი 29:31

მსაჯები: კარლ იუნგენბრანდი (ფინეთი), პეტრ სუდეკი (სლოვაკეთი)

| საფრანგეთი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რიგოდო | 33 | 2/4 | 2/6 | 0/0 | 3 | 4 | 1 | 0 | 4 | 10 |
| ფუარე | 25 | 2/3 | 1/3 | 0/0 | 3 | 2 | 2 | 0 | 3 | 7 |
| დიგბო | 17 | 1/3 | 2/4 | 0/0 | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 8 |
| ბილბა | 28 | 3/7 | 1/2 | 2/2 | 4 | 2 | 2 | 2 | 2 | 11 |
| ვეისი | 9 | 0/1 | 0/1 | 0/0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 |
| სონკო | 19 | 1/4 | 0/0 | 2/4 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 4 |
| სკიარა | 7 | 0/0 | 0/1 | 0/0 | 2 | 3 | 1 | 0 | 2 | 0 |
| აბდულ-ვაჰადი | 9 | 2/4 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 |
| რისაშე | 10 | 0/1 | 1/1 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 3 |
| გადუ | 22 | 5/6 | 0/1 | 0/0 | 4 | 2 | 0 | 1 | 2 | 10 |
| ჟულიენი | 9 | 0/1 | 0/0 | 0/0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 |
| სმიტი | 10 | 3/5 | 0/0 | 0/2 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 6 |
| სულ | - | 19/39 | 7/19 | 4/8 | 22 | 15 | 8 | 3 | 21 | 63 |
| **ესპანეთი** | **წთ.** | **2-ქ.** | **3-ქ.** | **საჯ.** | **მოხს.** | **პასი** | **ჩაჭ.** | **დაფ.** | **ფოლ** | **ქ.** |
| როდრიგესი | 24 | 0/2 | 0/1 | 2/2 | 4 | 6 | 1 | 0 | 2 | 2 |
| ხიმენესი | 9 | 0/1 | 0/1 | 0/0 | 2 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 |
| ერეროსი | 40 | 7/12 | 3/6 | 6/8 | 3 | 3 | 1 | 0 | 1 | 29 |
| დე მიგელი | 23 | 7/8 | 0/0 | 0/1 | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 14 |
| რეიესი | 28 | 3/5 | 0/0 | 4/4 | 9 | 1 | 0 | 0 | 3 | 10 |
| ანგულო | 9 | 1/2 | 0/0 | 0/0 | 2 | 1 | 1 | 0 | 1 | 2 |
| კორალესი | 16 | 1/2 | 0/2 | 1/4 | 2 | 0 | 0 | 0 | 3 | 3 |
| დე ლა ფუენტე | 22 | 3/4 | 0/0 | 0/2 | 4 | 2 | 0 | 0 | 1 | 6 |
| დუენიასი | 29 | 2/4 | 0/0 | 0/2 | 8 | 0 | 1 | 3 | 0 | 4 |
| სულ | - | 24/40 | 3/10 | 13/23 | 36 | 16 | 4 | 4 | 15 | 70 |

მატჩის ბოლოს ანტუან რიგოდო და ლორან ფუარე თითქოს გამოფხიზლდნენ და სამქულიანებიც ჩააგდეს, მაგრამ დიდი ვერაფერი იხეირეს, რადგან მათ წინააღმდეგ თამაშობდა ერეროსი, ვინაც თავისი 29 ქულით ფრანგთა მთავარი ჯალათი გახდა.

„კარგი არაფერი გაგვიკეთებია. მარცხი მთელი გუნდის ბრალია. ეტყობა, სიდნეის ოლიმპიადის საგზურის მოპოვებამ უარყოფითად იმოქმედა. ხუთშაბათ საღამოს ცოტა ვიმხიარულეთ, შამპანურიც დავლიეთ... ვადაზე ადრე გაგვიხარდა. მეტოქემ ფარქვეშ პირწმინდად დაგვჯაბნა, მაგრამ წაგების მიზეზი ეს არაა. საშუალო და შორი მანძილებიდანაც ჩვენზე უკეთ ისროდნენ. ერთი სიტყვით, თამაშის ყველა კომპონენტში გვაჯობეს" — თქვა მომავალი სეზონიდან „ნიუ იორკ ნიქსის" წევრმა, ფრედერიკ ვეისმა, ვინაც მატჩის ძირითად ნაწილს სათადარიგოთა სკამიდან ადევნა თვალი.

ასეა, ქეიფი და დროსტარება კარგია, მაგრამ ნაბახუსევზე ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალის მოგება, ცოტა არ იყოს, ძნელი საქმეა.

# იუგოსლავიამ საუკუნის ბოლო წაიხდინა

1994 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ იუგოსლავიას ცოდვები შეუნდო და მის მიმართ დაწესებული სანქციები გააუქმა. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამაც მაშინვე დაუშვა ეს ქვეყანა თავის შეჯიბრებებში. მას შემდეგ იუგოსლავიას ფიბა-ს ეგიდით გამართული ტურნირი არ წაუგია — გაიმარჯვა ევროპის 1995 და 1997 წლების ჩემპიონატებში, მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზეც ოქრო არავის დაანება.

გუშინ კი იუგოსლავიამ საუკუნის ოქროთი დაგვირგვინების შანსი დაკარგა — ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალი დათმო იტალიასთან და ახლა, საუკეთესო შემთხვევაში, ბრინჯაოს თუ ირგუნებს.

იუგოსლავია ჩემპიონატის ფავორიტი იყო. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ მისი მწვრთნელის ჟელკო ობრადოვიჩის ჩემპიონატისწინა სიტყვებიც ხომ გახსოვთ — გუნდს შეთამაშება აკლია და მოთამაშეთა ფიზიკური მომზადებაც არ მაკმაყოფილებსო. ეტყობა, ავს უგრძნობდა გული ჭკვიან და რეალისტ მწვრთნელს და მისი წინათგრძნობა გუშინ გამართლდა.

იუგოსლავიამ აბსოლუტურად მოშლილმა დაიწყო მატჩი და ჯერ 1:6, მერე კი 3:9 აგებდა. წინა დღით რუსეთის განადგურებით ფრთაშესხმული იტალია ლაღად თამაშობდა — შეტევაში მრავალპასიანობას ეძალებოდა, ხოლო დაცვაში — ხისტ ინდივიდუალურ მეურვეობას თითქმის იდეალური ურთიერთდაზღვევით. ამის საპასუხოდ იუგოსლავიამ ვერაფერი მოიფიქრა. ერთადერთი დეიან ბოდიროგა მიმართავდა ინდივიდუალურ გარღვევებს და იტალიას ძალიან დაწინაურების საშუალებას არ აძლევდა.

8:15-ზე ობრადოვიჩმა წუთშესვენება აიღო და ხეთეული გადაახალისა. მერე ცენტრი დივაცი მთლად გაიყვანა, აქაოდა, იტალიელებს სისწრაფეში ამ მძიმე კაცის გარეშე უფრო ავყვებითო. ამ ხერხმა ვერ გაამართლა — იუგოსლავიელები მაინც ვერ ათამაშდნენ კომბინაციურად. მეტიც, ერთმანეთს ორ მეტრშიც ბურთს წესიერად ვერ აწვდიდნენ.

იტალიელებმა დიდებულად შეირგეს იუგოსლავიელთა წყალობა. კონტრშეტევებზე მათ სწრაფ გარღვევებს თვლა არ ჰქონდა. საქმე იქამდეც მივიდა, აპენინელთა ფორვარდებმა მენეგინმა, გალანდემ და 215-სანტიმეტრიანმა ფუჩკამ სამქულიანებიც კი ჩააგდეს. იუგოსლავიამ ახლა გარბენებს და ბურთის კარგვას მოუხშირა, შედეგად კი ის მიიღო, რომ ტაიმის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე იტალია 37:19 იგებდა. დაწინაურებულებს ბურთი ერთხელ ჰქონდათ დაკარგული, ჩამორჩენილებს — ათჯერ(!).

მეორე ტაიმი იუგოსლავიამ პრესინგით დაიწყო, რამაც აიძულა იტალიელები, ინდივიდუალური ოსტატობისთვის მიემართათ. მენეგინმა და ფუჩკამ არც ამ საქმეში შეირცხვინეს თავი. ფარი და მისი მისადგომები კი იუგოსლავიისა იყო — დივაცმა დაჩაგრა კიაჩიგი, ხოლო ტომაშევიჩს დაცვაში არა უშავდა. შეტევაში ამჯერადაც ბოდიროგას მოუხდა მაგალითის მიცემა — თავის საფირმო გარღვევებსა და საშუალო სროლებს მოუხშირა. ამაზე ნაკლები რითი ვარო და, დანილოვიჩმა ფლანგებიდან ორჯერ გაარღვია მეტოქის დაცვა. ამათ შორის იტალიელებს გალანდა შეეწია სამქულიანით, მერე კი ბოდიროგამ და დანილოვიჩმა გარღვევები მოუნაცვლეს. ასე შემცირდა სხვაობა ორ ქულამდე (52:50). მაიერსმა სამქულიანი ჩააგდო, მაგრამ მყისვე დაჯარიმდა დანილოვიჩზე და ამან ორივე საჯარიმო კალათში ჩაუშვა.

მერე კი ბოდიროგას წუთი დადგა. მან ჯერ საკუთარ ფარზე ბურთი მოხსნა, მთელი მოედანი დრიბლინგით გადასერა და სწრაფი პასით ფარზე მარტო დატოვა დანილოვიჩი. იტალიელთა საპასუხო შეტევისას დეიანი კვლავ დაეუფლა ფარიდან ასხლეტილ ბურთს და იქამდე ატარა, სანამ შჩეპანოვიჩი სამქულიანის სასროლ პოზიციაზე არ გაიყვანა. შჩეპანოვიჩიც არ შედრკა და დამთავრებამდე 6,15 წუთით ადრე იუგოსლავია 57:55 დაწინაურდა.

აქ ცოტა ხნით მოვწყდეთ მატჩს და ბოდიროგაზე შევჩერდეთ. თუკი დღეს ვინმეს შეიძლება უნივერსალი ეწოდოს (ცხადია, საუბარი უმაღლეს ევროპულ დონეზეა), პირველ რიგში ამ 25 წლის კალათბურთელს. ამ შეხვედრაში იგი გამთამაშებლად ირჯებოდა და ამ ამპლუის მოთამაშისთვის უზომოდ ბევრი, 13 ბურთი მოხსნა. შესანიშნავი მაჩვენებელია, მაგრამ ბოდიროგას გამთამაშებლობამ ნაკრებს მოაკლო უძლიერესი ფრთა, რითაც დაირღვა კავშირი უკანა და წინა ხაზებს შორის. იუგოსლავიას სხვა გზა იქნებ არც ჰქონდა — გამთამაშებელი აღარ დარჩა, ყველა დაუშავდა (მართალი იყო ჟელკო ობრადოვიჩი, მოთამაშეთა ფიზმომზადებას რომ უჩიოდა!), ხოლო ფორვარდებმა გუროვიჩმა და სტოიაკოვიჩმა, ამათაც ტრავმების გამო, მთელს ჩემპიონატზე ჯამში ერთი ტაიმი თუ ითამაშეს.

ახლა იმ ადგილას დავბრუნდეთ, სადაც მატჩის მიმოხილვა შევწყვიტეთ და ჰოი, საოცრებავ! ბოდიროგა შესანიშნავი პასით ცარიელ ფართან ტომაშევიჩს პოულობს, ეს კი ბურთს აცილებს. ეს აღმოჩნდა იუგთა უბედურების მაცნე. იტალია ზონის პრინციპს არღვევს, ხოლო დივაცი ბურთის ჩაგდების ნაცვლად სახეში იდაყვს ურტყამს ფუჩკას. ერთ წუთში დივაცი კიდევ ორ საბედისწერო შეცდომას უშვებს — დანილოვიჩის აცილებულ და ფარიდან გადმოვარდნილ ბურთს ხელში ვერ იჭერს, რითაც ფუჩკას სწრაფი გარღვევის საშუალებას აძლევს (65:59 იტალიის სასარგებლოდ). მერე ტოპიჩი უაზროდ ესვრის სამქულიანს — ფარსმოხვედრილი ბურთისთვის ბრძოლაში დივაცი მეხუთე პერსონალურს იღებს.

ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალი

## იტალია 71:62 იუგოსლავია

2 ივლისი. პარიზი. „ბერსი". I ტაიმი 37:23

მსაჯები: რუვენ ვიროვნიკი (ისრაელი), რომუალდას ბრაზაუსკასი (ლიტვა)

| იტალია | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მაიერსი | 34 | 1/5 | 1/3 | 6/6 | 1 | 4 | 0 | 1 | 1 | 11 |
| დე პოლი | 16 | 1/2 | 0/1 | 0/0 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 2 |
| მენეგინი | 36 | 4/6 | 2/4 | 2/2 | 1 | 2 | 2 | 0 | 3 | 16 |
| ფუჩკა | 28 | 5/8 | 1/1 | 4/6 | 5 | 1 | 2 | 0 | 4 | 17 |
| კიაჩიგი | 15 | 0/1 | 0/0 | 0/0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 |
| ბაზილე | 7 | 1/2 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 |
| გალანდა | 21 | 1/1 | 2/4 | 4/6 | 5 | 1 | 0 | 0 | 1 | 12 |
| მარკონატო | 16 | 2/4 | 0/0 | 1/2 | 3 | 1 | 1 | 0 | 3 | 5 |
| აბიო | 23 | 1/4 | 1/1 | 1/2 | 1 | 4 | 0 | 1 | 4 | 6 |
| ბონორა | 4 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| სულ | - | 16/33 | 7/14 | 18/24 | 19 | 13 | 5 | 2 | 24 | 71 |
| **იუგოსლავია** | **წთ.** | **2-ქ.** | **3-ქ.** | **საჯ.** | **მოხს.** | **პასი** | **ჩაჭ.** | **დაფ.** | **ფოლ** | **ქ.** |
| ლონჩარი | 10 | 1/2 | 1/1 | 0/0 | 0 | 1 | 0 | 0 | 4 | 5 |
| ბოდიროგა | 36 | 5/8 | 0/0 | 7/9 | 13 | 2 | 0 | 0 | 4 | 17 |
| დანილოვიჩი | 36 | 6/8 | 0/2 | 2/2 | 0 | 2 | 0 | 0 | 3 | 14 |
| ტომაშევიჩი | 21 | 1/2 | 0/0 | 2/4 | 4 | 2 | 2 | 2 | 4 | 4 |
| დივაცი | 26 | 1/5 | 0/1 | 6/10 | 4 | 1 | 0 | 0 | 5 | 8 |
| შჩეპანოვიჩი | 32 | 3/3 | 1/2 | 3/6 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 12 |
| ლუკოვსკი | 6 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ტარლაჩი | 8 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ტოპიჩი | 25 | 1/1 | 0/1 | 0/0 | 2 | 1 | 1 | 0 | 1 | 2 |
| სულ | - | 18/29 | 2/7 | 20/31 | 26 | 10 | 3 | 2 | 23 | 62 |

იუგოსლავია რომ საბოლოოდ განწირული იყო, ეს პრედრაგ დანილოვიჩის უიმედობისგან სასოწარკვეთით ნასროლმა სამქულიანმაც დაადასტურა. ამ დიდებულ კალათბურთელს 70-80-იანი წლების თბილისურ სპორტსკოლაში ასე რომ ესროლა, მასწავლებელი ჯოხით ხელისგულებს გადაუტყავებდა...

დღეს კი ევროპის 1983 წლის ჩემპიონატის ფინალი განმეორდება. იტალია ესპანეთს შეხვდება. ამ გუნდების 16 წლის წინანდელი დაპირისპირება იტალიამ 105:96 მოიგო. ის ფინალიც საფრანგეთში გაიმართა, ოღონდ ლიმოჟში. იმ იტალიის ნაკრებში დინო მენეგინი თამაშობდა. ახლანდელი იტალიის ნაკრების მეორე მწვრთნელი და გუნდის ერთ-ერთი ამჟამინდელი ლიდერის ანდრეა მენეგინის მამა.

ისე, კვიცი გვარზე ხტისო, და...

# ბოიფრენდ-გელფრენდობა ჩოგნებთან ერთად

თქვენ ბადმინტონი კოჯორში სათამაშო რამ ხომ არ გგონიათ? ბადმინტონის ალთქმულ ქალაქში, მალაიზიურ კუალა-ლუმპურში იქაურობის ღია პირველობა მიმდინარეობს. მსუბუქი ჩოგნისა და ბუმბულა ბურთის ყველა ვარსკვლავი აქ შეკრებილა. დანიელი გოგონა კამილია მარტინი ისე გაუხარებია მეოთხედფინალში გასვლას, რომ თავის ბოიფრენდ პეტერ კრისტენსენს ჩაკონებია. პეტერსაც უხარია კამილიას გასვლა, მაგრამ თვითონ უკვე წაუგია მალაიზიელ როსლინ ჰაშიმთან და ახლა თვალებში სევდა უდგას.

მძიმე ჩოგნის ოსტატთა გელფრენდ-ბოიფრენდობა კი უიმბლდონზეა თავშეყრილი.

სანამ ბრიტი ტიმ ჰენმანი ოფლსა ღვრის ფრანგ სედრიკ პიოლინის წინააღმდეგ, მისი გულის მურაზი, ლუსი ჰელდი ტერასაზე ზის და საქმაროს ქომაგობს.


REUTERS კუალა-ლუმპურიდან


REUTERS ლონდონიდან

## კასპაროვი — მსოფლიო



კასპაროვმა მეექვსე სვლით მეორე მხედარიც განავითარა და ექსპერტთა აზრით, მსოფლიოს ნაკრებმაც იგივე უნდა მოიმოქმედოს.

| | | |
|---|---|---|
| 1 | e2-e2 | c7-c5 |
| 2 | მg1-f3 | d7-d6 |
| 3 | კf1-b5+ | კc8-d7 |
| 4 | კb5:d7+ | ლd8:d7 |
| 5 | c2-c4 | მb8-c6 |
| 6 | მb1-c3 | |




# რეკორდი ჰალმსტადში

აბა, ვის ეგონა, რომ ჰალმსტადის აუზი მსოფლიოს ახალ რეკორდს დაიტევდა. შვედეთის ქალ მოცურავეთა პირველობაზე კარილ კამერლინგმა 26,39 წამში გაცურა 50 მეტრი და ბატერფლაის სტილის ახალი მსოფლიო ნიშნული დაუდო წყალოსან ქალებს.


REUTERS ჰალმსტადიდან

# შეხედეთ, ქონდრისკაცი

ბეისბოლის საყურებლად რომ წახვალ, იქ მხოლოდ ბეისბოლს კი არ ნახავ, არამედ ათას სხვა რამეს. აი, სან დიეგოშიც, იქაურ „პადრეთა“ და ლოსანჯელესელ „დოჯერთა“ თამაშის წინ პირველი პიჩის უფლება მავან ქონდრისკაცს მიუღია. ეს ქონდრისკაცი აწ უკვე განთქმული მსახიობი ვერნ ტროიერია, რომელსაც ძლიერ უყვარს ბეისბოლი. ხოლო იმისთვის, რომ ხალხს უკეთ შეენიშნა ვერნი, „პადრე“ ფილ ნევინს ის ხელში აუტაცია.



REUTERS სან დიეგოდან



REUTERS მერილენდიდან

# წინ, ამერიკა!

*სამშობლოს სიყვარულისა და ერთგულების გამოხატვის ათასი გზა არსებობს. ასე გამოხატავენ ამ გრძნობას კაი-კაი მერილენდელი გოგოები, რომლებიც შეერთებული შტატების ქალ ფეხბურთელთა გუნდის საქომაგოდ მოსულან რელჯონის სტადიონზე. აი, გოგოები! აი, სამშობლო! აი, ფეხბურთი!*

# გლენ ჰოდლი უიმბლდონზე

ჩანს, გლენ ჰოდლი სულთა გადასახლებაზე ფიქრს დაუღლია და ჭმუნვათა გასაქარვებლად უიმბლდონის ცენტრალურ კორტს სწვევია. თან ახლდა თურმე მეგობარი ქალი ვანესა შინი, ხოლო მეოთხედფინალში ერთმანეთს ხვდებოდნენ დიადი ვეტერანი შტეფი გრაფი და იელოველი ვენერა, ვინუს უილიამსი. მეორე სეტის ჟამს წამოსულმა წვიმამ, ჰოდლიანთ წყვილს სანახაობა წაუხდინა. თუმც, ჰოდლი და მისი ახალი ვანესა დიდად არ დაჩაგრულან წვიმის დროს და იქაურ საზოგადოებასთან ერთად „მექსიკური ტალღის“ კეთებაში ჩაერთნენ.




REUTERS ლონდონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აბვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29